

178  
1967



178

# სახჭოთა სამართალი

90

საქართველოს კვ. მენჯრადუკი კოშირევის გეომხმეპელოგე

1967

4



# საბჭოთა სამართალი

ივლისი—აგვისტო

1967 წელი

ბამოცემის XIV წელი

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო**  
**ო რ ტ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

შურნალის ეს ნომერი მთლიანად მომზადდა საქართველოს სსრ მცენიარებათა აპალდემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სა მ ა რ ტ ლ ი ს ე მ ა ტ ო რ უ ი, როგელსაც ა. წ. ოპტომზეაზი უსრულდება არსებობის ათი წელი.

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

### საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის

- ა. შვანია — საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობა დეკრეტისა ზავის შესახებ . . . . . 3
- ბ. ტყეშელაძე — სისხლისსამართლებრივი ნორმები ოქტომბრის დეკრეტებში . . . . . 14
- ლ. სურგულაძე — საბჭოთა საქართველოს პირველი წლების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი . . . . . 22

### თანამედროვე საბჭოთა სამართლის საკითხები

- ა. აბესაძე — კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხებისათვის . . . . . 29
- რ. ჩიჩუა — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის გაფართოება ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით . . . . . 33
- თ. წერეთელი — ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში . . . . . 39
- თ. ცაგურია — კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინების თუ დადგენილების ვადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო . . . . . 47
- თ. ლილუაშვილი — სახელმწიფო მმართველობისა და პროკურატურის ორგანოების დასკვნების გამოყენება სამოქალაქო სამართლის პროცესში . . . . . 53

### ქართული სამართლის ისტორიიდან

- ი. დოლიძე — ვახტანგ VI-ის სამართლის წინის ერთი ადგილის აღდგენისათვის . . . . . 58
- გ. ნაღარავიშვილი — „ახსნილისა“ და „მოკიდებულის“ ცნებებისათვის . . . . . 64

### თანამედროვე ბუკუხაზიული სამართლის კრიტიკა

- მ. უგრეხელიძე — გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში . . . . . 65

### კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

- თ. შვაგულიძე — ნასამართლობის გაქარწყლება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით . . . . . 71


### იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხები

- დ. ფურცელაძე — ქართული სამართლებრივი ტერმინების ძიებისათვის . . . . . 75

### კრიტიკა და გიგლიოგრაფია

- ი. ფოტკარაძე — საყურადღებო ნაშრომი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფის საკითხებზე . . . . . 81
- ო. გამყრელიძე — თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი . . . . . 83
- ლ. გიორგაძე — საინტერესო გამოკვლევა თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შესახებ . . . . . 88
- ინფორმაცია . . . . . 91

1490







# СОДЕРЖАНИЕ

## К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОГО ГОСУДАРСТВА

Г. Жваниа — Международно-правовое значение Декрета о мире . . . . .	3
Г. Ткешелиадзе — Уголовно-правовые нормы в декретах Октября . . . . .	14
Л. Сургуладзе — Некоторые вопросы уголовного законодательства первых лет Советской Грузии . . . . .	22

## ВОПРОСЫ СОВРЕМЕННОГО СОВЕТСКОГО ПРАВА

А. Абесадазе — К вопросу о взаимозависимости конституционных прав и свобод . . . . .	29
Р. Чичуа — Расширение компетенции Совета Министров Союзной республики в связи с экономической реформой . . . . .	33
Т. Церетели — Развитие понятия вины в советском уголовном праве . . . . .	39
Т. Цагуриа — Пересмотр по вновь открывшимся обстоятельством решений, определенных и постановлений, вступивших в законную силу . . . . .	47
Т. Лилуашвили — Использование заключений органов государственного управления и профсоюзов в гражданском процессе . . . . .	53

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

И. Дolidze — К восстановлению одного места в Судебнике Вахтанга VI . . . . .	58
Г. Надарейшвили — К вопросу о понятиях «ახსილი» и «მოქიდეული» . . . . .	54

## КРИТИКА СОВРЕМЕННОГО БУРЖУАЗНОГО ПРАВА

М. Угрехелидзе — Масштаб неосторожности в англо-американском уголовном праве . . . . .	65
--	----

## КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Т. Шавгулидзе — Погашение судимости по уголовному кодексу Грузинской ССР . . . . .	71
--	----

## ВОПРОСЫ ЮРИДИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

Д. Пурцеладзе — К поискам грузинских правовых терминов . . . . .	75
--	----

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Я. Путкарадзе — Значительная работа по вопросам совершенствования Советского государственного аппарата . . . . .	31
О. Гамкрелидзе — Т. Церетели, Преступное действие и его последствие . . . . .	34
Л. Гиоргадзе — Интересное исследование о современном буржуазном государстве . . . . .	89
Информация . . . . .	91

### სარედაქციო კოლეგია

შგ. № 3025  
ტირაჟი 5500  
შე 11517

მ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,  
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,  
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,  
ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 9-09-62

გადეცა წარმოებას 27/VII-67 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-67 წ. ანაწილის ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ტვ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.



## საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობა დეკრეტისა ზავის შესახებ

დოც. ვ. შვანიძე

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღესვე, 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს ახალი სტილით), მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ ვ. ი. ლენინის წინადადებით ერთხმად მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს პირველი ნაბიჯი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, პირველი საგარეო-პოლიტიკური აქტი, მიმართული უპირველეს ყოვლისა იქითკენ, რომ სამართლიანი, დემოკრატიული ზავით დაუყოვნებლივ მოღებოდა ბოლო მსოფლიო ომს.

ბოლშევიკების პარტიის დამოკიდებულება პირველი მსოფლიო ომისადმი იმთავითვე ნათელი იყო. ომის დაწყებიდან ორიოდ თვის შემდეგ ლენინმა ამომწურავი შეფასება მისცა მას სტატიის „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“:

„ევროპის ომი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ამზადებდნენ ყველა ქვეყნის მთავრობანი და ბურჟუაზიული პარტიები, დაიწყო. შეიარაღების ზრდას, ბაზრებისათვის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებას მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმის განვითარების უახლესი, იმპერიალისტური, სტადიის ეპოქაში, ყველაზე ჩამორჩენილი, აღმოსავლეთ ევროპის მონარქიების დინასტიურ ინტერესებს აუცილებლად უნდა გამოეწვიათ და კიდევაც გამოიწვიეს ეს ომი. სხვა ერების მიწების დაპყრობა და ამ ერების დამორჩილება, მეტოქე ერის გაჩანაგება, მის სიმდიდრეთა გაძარცვა, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორება რუსეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების შინაური პოლიტიკური კრიზისებისაგან, მუშების გათიშვა და ნაციონალისტური გაბრყვება და მათი ავანგარდის განადგურება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით — ასეთია თანამედროვე ომის ერთადერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი“<sup>1</sup>.

გასაგებია, რომ ასეთი აშკარად უსამართლო, მძარცველური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო სოციალისტური რევოლუციისა, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატი ამზადებდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. სწორედ ამის შესახებ წერდა ლენინი ერთი თვით ადრე ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე სტატიის „რევოლუციის ამოცანები“: როგორც კი გადავა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში, „საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ წინადადება უნდა მისცეს ყველა მეომარ ხალხს (ე. ი. იმავე დროს მათს მთავრობებსაც, მუ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 21, გვ. 15.



შათა და გლახთა მასებსაც) ახლავე შეჰკრან საერთო ზავი დემოკრატიული პირობების საფუძველზე...“<sup>2</sup>

მსოფლიო იმპერიალისტური ომის მკაცრი დაგმობა, კატეგორიული მოთხოვნა იმისა, რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს დემოკრატიული ზავით და რომ, ყოველ შემთხვევაში, რუსეთი აუცილებლად უნდა გამოვიდეს ამ ომიდან, — აი ის პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი გახდა. და სოციალისტურ რევოლუციას არც გაუცრუებია იმედი რუსეთის მშრომელი მასებისათვის: როგორც კი იშვა საბჭოთა სახელმწიფო, ამ იმედის განხორციელება არამართლებადურ შესაძლებლობად იქცა, არამედ ისტორიულ კანონზომიერებადაც.

„მუშათა და გლახთა მთავრობა, რომელიც შექმნა 24-25 ოქტომბრის რევოლუციამ და მუშათა, ჯარისკაცთა და გლახთა დეპუტატების საბჭოებს ეყრდნობა, წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხს და მათ მთავრობებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ“, — ნათქვამია დეკრეტში ზავის შესახებ და შემდეგ: „ამ ომის განგრძობა იმის გულისთვის, თუ როგორ გაიყონ ურთიერთშორის ძლიერმა და მდიდარმა ერებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ეროვნებანი, მთავრობას მიაჩნია უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ და საქვეყნოდ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი იმ ზავის პირობებს, რომელიც შეწყვეტს ამ ომს აღნიშნული, გამოუკლებლივ ყველა ეროვნებისთვის თანასწორად სამართლიანი პირობების საფუძველზე“<sup>3</sup>.

სამართლიანი, დემოკრატიული ზავის მოთხოვნასთან ერთად დეკრეტის ამ სიტყვებში უაღრესად დიდი, შეიძლება ითქვას — ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მძარცველური, უსამართლო ომის გამოცხადებას „უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ“. საერთაშორისო ურთიერთობათა და საერთაშორისო სამართლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სუვერენულმა სახელმწიფომ ოფიციალური აქტით აღიარა უსამართლო, აგრესიული ომის დანაშაულებრივი არსი და, ამგვარად, სრულიად ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპი დაუდო საფუძველად თავის საგარეო პოლიტიკას.

არც ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის საერთაშორისო სამართალი არ იცნობდა რაიმე მყარ კრიტერიუმს იმისა, რომ ერთმანეთისაგან მკვეთრად განესხვავებინა სამართლიანი და უსამართლო ომები და, მაშასადამე, არ იცნობდა არც უსამართლო, აგრესიული ომის დანაშაულებრიობის პრინციპს. პირიქით, ექსპლოატატორული საზოგადოებისათვის ომი მართლზომიერ მოვლენად ითვლებოდა და საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ იყო აღიარებული ომის უფლება, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელშეუვალი უფლება, როგორც თვით სუვერენიტეტის ერთ-ერთი განუყოფელი ნიშანი. ეყრდნობოდა რა ძირითადად პოზიტიურ სამართალს, ბურჟუაზიული საერთაშორისო-სამართლებრივი დოქტრინაც უყოყმანოდ ცნობდა ომის უფლებას და ომს, როგორც საერთაშორისო დავის გადაწყვეტის თუნდაც უკიდურეს საშუალებას. საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების ფუძემდებელი ჰუგო გროციუსი, მართალია, განასხვავებდა სამართლიან ომს უსა-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 56.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 287-289.



მართლოსაგან, მაგრამ პირველის მიზეზთა შორის სამართალდარღვევათა უფრო ფართო წრეს ასახელებდა, რომ არსებითად ომს მიიჩნევდა თითქმის ყოველგვარი საერთაშორისო დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად. ამიტომ მისი ზოგადი დასკვნა ასეთი იყო:

„ხალხთა სამართალი, დადგენილი ნებით (იგულისხმება ნება ღვთისა — გ. უ.), აგრეთვე ყველა ხალხის კანონები და ჩვეულებანი, როგორც ამას საკმაოდ მოწმობს ისტორია, სულაც არ გმობენ ომებს“<sup>4</sup>.

გროციუსის შემდეგ, თითქმის 300 წლის განმავლობაში, საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიული დოქტრინა, შეიძლება ითქვას, ურყევად იდგა ომის უფლების კანონიერების თვალსაზრისზე, რომელსაც ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორც, მაგალითად, ინგლისელი იურისტი ფილმორი იყო, ასე ასაბუთებდა: ომი წარმოადგენს „სარჩელის უფლების... განხორციელებას, რასაც, ბუნებრივია, უნდა მიმართონ ხალხებმა თავიანთი უფლებების დადასტურებისა და დაცვისათვის, ვინაიდან რაიმე უმაღლესი სასამართლო არ არსებობს“<sup>5</sup>.

გასაგებია, რომ, თუ თეორიაში ასეთი თვალსაზრისი იყო გაბატონებული, პოზიტიურ საერთაშორისო სამართალში კიდევ უფრო მეტად აბსოლუტური ხასიათი უნდა ჰქონოდა ომის უფლებას. მართლაც, კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელშეკრულებითი პრაქტიკა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ე. ი. იმპერიალიზმის სტადიის დასაწყისიდან, სულ უფრო მეტად ეყრდნობოდა ომის შეუზღუდველ უფლებას და სულ უფრო აშკარად იყო მიმართული ომების მოსამზადებლად მსოფლიოს „საბოლოო“ განაწილებისა და განანაწილებისათვის. ეს პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არ ცნობდა ომის სამართლიანობის თუ უსამართლობის იდეას, რომელიც აქა-იქ მაინც იჩენდა თავს ცალკეული ავტორების შრომებში და რომელსაც არ შეეძლო რაიმე ცვლილება შეეტანა მოქმედ საერთაშორისო სამართალში. ამიტომ უთუოდ არ სცდებოდა ოპენჰაიმი, როცა იმ დროის საერთაშორისო სამართალზე წერდა:

„...მანამდის, სანამ ომი იყო ეროვნული პოლიტიკის აღიარებული იარაღი როგორც მოქმედ უფლებათა განსახორციელებლად, ასევე უფლების შესაცვლელად, ომის მიზეზთა სამართლიანობას თუ უსამართლობას არ ჰქონდა იურიდიული მნიშვნელობა. ომისათვის მიმართვის უფლება, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო, წარმოადგენდა ეროვნული სუვერენიტეტის პრეროგატივას. ამ გაგებით ყოველი ომი სამართლიანი იყო“<sup>6</sup>.


ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ საერთაშორისო სამართალში ომის უფლების აღიარებასთან ერთად ვითარდებოდა საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ინსტიტუტი, სრულიადაც არ ნიშნავდა ამ უფლების შეზღუდვას. ამ ინსტიტუტის ცალკეულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს დიდი ხნის ისტორია აქვთ (მაგალითად, შუამავლობას, „კეთილ სამსახურს“ და სხვ.), მაგრამ საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებათა პირველი საყოველთაო კოდიფიკაცია სწორედ იმპერიალიზმის ეპოქას, პირველი მსოფლიო ომის მომზადებას უკავშირდება, რაც იმით აიხსნება, რომ საომარი დაძაბულობისა და გამალებული შეიარაღების ვითარებაში საჭირო გახდა, ერ-

<sup>4</sup> Гуго Гроций. О праве войны и мира, М., 1956. гл. 87.

<sup>5</sup> R. Phillimore, Commentaries upon International Law, London, 1885, гл. 77.

<sup>6</sup> Л. Оппенгайм. Международное право, т. 11, М., 1949, гл. 241.





თის მხრივ, საზოგადოებრივი აზრის დაშოშმინება და, მეორეს მხრივ, ძირითადად ომის სამართლის კოდიფიკაცია. ამ მიზნით მოწვეულ ჰააგის პირველ სამშვიდობო კონფერენციაზე 1899 წელს მიღებულ იქნა კონვენცია „საერთაშორისო შეტაკებათა მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“. უფრო დეტალიზებული სახით ასეთივე კონვენცია მიიღო ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენციამ 1907 წელს<sup>7</sup>.

არც ერთი ეს კონვენცია არ ზღუდავდა არსებითად ომის უფლებას. მაგალითად, 1907 წლის კონვენციის მიზნად გამოცხადებული იყო „თავიდან აცილება, შეძლებისდაგვარად, ძალის გამოყენებისა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში...“ (მ. 1) (ხაზგასმა ავტორისა), ხოლო ცალკეულ საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებების დადგენისას კონვენცია არ იშურებდა ისეთ გამოთქმებს, როგორცაა: „მანამდე, სანამ იარაღს მიმართავდენ...“ (მ. 2), „რამდენადაც გარემოებანი ამის ნებას მისცემენ...“ (მ. 9) და ა. შ.<sup>8</sup>

ამგვარად, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნამდე საერთაშორისო სამართლის არც ერთი პრინციპი თუ ნორმა არ კრძალავდა უსამართლო, აგრესიულ ომს. დეკრეტი ზავის შესახებ პირველი სახელმწიფოებრივი აქტი იყო, რომელმაც წამოაყენა ასეთი ომის უმძიმესი დანაშაულებრიობის და, მაშასადამე, მისი აკრძალვის საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპი.

რევოლუციის მტრები იმედოვნებდნენ, რომ ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ხელისუფლებას, ვერ შექმნიდნენ ასე თუ ისე მყარ სახელმწიფო მანქანას. და თუნდაც იმიტომ, რომ მათ არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, კერძოდ, დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის დარგში და არც სათანადო კადრები არ გააჩნდათ, მათი აზრით, საბჭოთა რუსეთს სწრაფად უნდა განეცადა კრახი.

მენშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა, დროებითი მთავრობის მინისტრმა ი. წერეთელმა ბოლშევიკებს განუცხადა: „ავად იყო თუ კარგად, ჩვენ ექვსი თვე მაინც ვავძელით. თქვენ თუნდაც ექვს კვირას თუ გაძლებთ, მაშინ ვალიარებ, რომ მართალი იყავით“-ო<sup>9</sup>.

ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებმა ნათელჰყო, რომ რევოლუციის მტრების მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა: საბჭოთა ხელისუფლება ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ შეუდგა ახალი, სოციალისტური სახელმწიფო მანქანის შექმნას; კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში საბჭოთა ხელისუფლება შეიარაღებული იყო ბოლშევიკების მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელსაც საფუძვლად ედო სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პრინციპები და, მაშასადამე, ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებიც.

დეკრეტი ზავის შესახებ სწორედ ასეთ პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენდა. გარდა ზემოთ აღნიშნული დებულებისა (აგრესიული ომის როგორც

<sup>7</sup> ჰააგის პირველი კონფერენციის შემდეგ განვლილი რვა წელიწადი აღინიშნა საერთაშორისო ურთიერთობათა უციღურესი გამწვავებით: საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ორი ძირითადი დაჯგუფება და ამ პერიოდში მძვინვარებდა ორი იმპერიალისტური ომი — დიდი ბრიტანეთისა ბურების რესპუბლიკათა წინააღმდეგ და რუსეთ-იაპონიის ომი. ამიტომ ზემოთ აღნიშნული მიზნების უფრო ეფექტური განხორციელებისათვის მოწვეული იქნა ჰააგის მეორე კონფერენცია.

<sup>8</sup> Международное право в избранных документах, т. II, М., 1957, 33-247—249.

<sup>9</sup> История дипломатии, изд. второе, т. 111, М., 1965, 33. 51—52.



უძძიმესი საერთაშორისო დანაშაულის შესახებ), დეკრეტი შეიცავს სამართლიანი ანუ დემოკრატიული ზავის განმარტებას:

„სამართლიან ანუ დემოკრატიულ ზავად... მთავრობას მიაჩნია დაუყოვნებლივი ზავი უანექსიოდ (ე. ი. სხვისი მიწა-წყლის მიუტაცებლად, უცხო ეროვნებათა ძალდატანებით შემოუერთებლად) და უკონტრიბუციოდ“.

საყოველთაო საერთაშორისო სამართლის განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ანექსიის დაგმობა და, განსაკუთრებით, ანექსიის ცნების დეკრეტისეული განსაზღვრა:

„ანექსია ანუ სხვისი მიწა-წყლის დაპყრობა მთავრობას ესმის საერთოდ დემოკრატიის და განსაკუთრებით მშრომელი კლასების უფლებრივი შეგნების თანახმად როგორც მცირე ან სუსტი ეროვნების ყოველი შეერთება დიდი ან ძლიერი სახელმწიფოსადმი ამ ეროვნების ზუსტად, ნათლად და ნებაყოფლობით გამოთქმული თანხმობისა და სურვილის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მოხდა ეს ძალდატანებითი შეერთება, აგრეთვე იმის დამოუკიდებლად, თუ რამდენად განვითარებული თუ ჩამორჩენილია ის ერი, რომელსაც ძალდატანებით აკავებენ მის საზღვრებში. ბოლოს, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს ერი — ევროპაში თუ შორეულ ოკეანისიქითა ქვეყნებში.“

თუ რომელიმე ერს ძალდატანებით აკავებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში, თუ მას, მიუხედავად მის მიერ გამოთქმული სურვილისა — სულ ერთია, ეს სურვილი გამოთქმულია პრესაში, სახალხო კრებებზე, პარტიათა გადაწყვეტილებებში თუ აღმფთვებით და აჯანყებებით ნაციონალური ჩაგრვის წინააღმდეგ — არ ენიჭება უფლება თავისუფალი კენჭისყრით, შემოერთებული ან საერთოდ უფრო ძლიერი ერის ჯარის სრული გაყვანის პირობებში, სრულიად ძალდაუტანებლად გადაწყვიტოს ამ ერის სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმების საკითხი, მისი შემოერთება წარმოადგენს ანექსიას, ე. ი. დაპყრობას და ძალმომრეობას“.

დეკრეტის ამ ნაწილში, როგორც ვხედავთ, გამოცხადებულია ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი და მისი ქვაკუთხედის — ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად საწყისად. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს დეკრეტის დებულებას იმის შესახებ, რომ რაგინდ მცირე და სუსტი უნდა იყოს ესა თუ ის ერი, იგი სუვერენულია, ე. ი. მხოლოდ მას აქვს უფლება თავისი სურვილისამებრ გადაწყვიტოს თავისი სახელმწიფოებრიობის საკითხი, მხოლოდ იგია თავისი ტერიტორიის უზენაესი ბატონ-პატრონი<sup>10</sup>. მაშასადამე, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული უზენაესობის მიხედვით არავითარი განსხვავება არაა დიდსა და მცირე, ძლიერსა და სუსტ, ეკონომიკურად თუ კულტურულად განვითარებულსა და ჩამორჩენილ ერებს შორის. საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში მანამდე არც ერთ სახელმწიფოებრივ აქტს არ ჩამოუყალიბებია ასე სრულად და ასეთი სიცხადით ერთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი.

<sup>10</sup> ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ურთულესი პრობლემის — ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთ შესაძლებლობად რუსეთის მარქსისტებს ვ. ი. ლენინის მეთაურობით ყოველთვის მიაჩნდათ ერის სუვერენობის აღიარება, მისი თვითგამორკვევის უფლების განხორციელება; ეს ამოცანად დასახული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველსავე პროგრამაში (იხ. КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, т. 1, 1953, გვ. 40).



ყურადღებას იპყრობს ის, რომ აღნიშნული პრინციპი დეკრეტში დასაბუთებულია ზოგადდემოკრატიული მართლმშეგნებითაც. ამ შემთხვევაში დეკრეტს უთუოდ მხედველობაში აქვს არა მარტო ის ჭეშმარიტება, რომ პროგრესულ კაცობრიობას ყოველთვის უსამართლობად მიაჩნდა ეროვნული ჩაგვრა და სხვა ქვეყნების ძარცვა-დამორჩილება, არამედ ის გარემოებაც, რომ ერების დამოუკიდებლობისა და ეროვნულ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომელსაც ბურჟუაზიული დემოკრატიის გარიჟრაჟზე დასაბამი მიეცა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის აქტებში, ამ დროისათვის უკვე დამკვიდრებულად ითვლებოდა საერთაშორისო სამართალში. მაგრამ კაპიტალიზმის ეპოქის, განსაკუთრებით კი იმპერიალიზმის პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში ეს პრინციპი უხეშად იქელებოდა და ამიტომ პოზიტიური საერთაშორისო სამართლის აზრით მას უფრო ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა და ისიც მარტოდენ ევროპული, ე. წ. „ცივილიზებული“ ერების სახელმწიფოების ურთიერთობათა სფეროში<sup>11</sup>. რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობებს „არაცივილიზებულ ერებთან“ ანუ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეკონომიკურად ჩამორჩენილ ხალხებთან, ამ სფეროში მოქმედებდა ე. წ. „კოლონიური საერთაშორისო სამართალი“, რომელიც ფორმალურადაც კი არ ცნობდა აღნიშნულ პრინციპს და, პირიქით, სავსებით მართლზომიერად მიიჩნევდა ასეთი ხალხებისა და მათი ქვეყნების ძარცვის, დამორჩილების თუ სრული დაპყრობის იმპერიალისტურ პრაქტიკას (კაპიტულაციების რეჟიმი, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები, კოლონიური ომები და ა. შ.), იმისდა მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა მათ სახელმწიფოებრიობის ესა თუ ის სტატუსი.

ამგვარად, საბჭოთა სახელმწიფოს პირველ დეკრეტში გამოცხადებული პრინციპი, რომლის თანახმადაც ეროვნული სუვერენიტეტი და ერთა თვითგამორკვევის უფლება უნდა ედოს საფუძვლად დემოკრატიულ ზავს და, საერთოდ, მშვიდობიან ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის, არსებითად ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპი იყო, მკვეთრად განსხვავებული იმ ინსტიტუტებისა და ნორმებისაგან, რომლებსაც ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართალი იყენებდა ეროვნულ და კოლონიურ ურთიერთობათა სფეროში.

დაგვი რა აგრესიული ომი და მცირე და ჩამორჩენილ ხალხთა უუფლებობა, საბჭოთა სახელმწიფომ, აქედან გამომდინარე, უარყო აგრეთვე ექსპლოატატორული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი საიდუმლო დიპლომატია და საიდუმლო ხელშეკრულებათა დადების იმპერიალისტური პრაქტიკა: „საიდუმლო დიპლომატიას მთავრობა აუქმებს — აცხადებდა დეკრეტი ზავის შესახებ — და თავის მხრივ გამოთქვამს მტკიცე განზრახვას ყოველგვარი მოლაპარაკება აწარმოოს სრულიად მთელი ხალხის წინაშე, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საიდუმლო ხელშეკრულებათა სრულ გამოქვეყნებას, რომლებიც დაუდასტურებია ან დაუდვია მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობას 1917 წლის თებერვლიდან 25 ოქტომბრამდე. ამ საიდუმლო ხელშეკრულებათა მთელ

<sup>11</sup> ბურჟუაზია ამ პრინციპს იყენებდა თავისი ეროვნული ბაზრისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკურ იარაღს. მხედველობაში გვაქვს ბრძოლა საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის, ბელგიის გამოყოფა ნიდერლანდებისაგან, სუვერენული სახელმწიფოების შექმნა ესპანეთის ყოფილ კოლონიებში ამერიკის კონტინენტზე, ბრძოლა იტალიის გაერთიანებისათვის, სერბიის, ჩერნიგორიის, რუმინეთისა და ბულგარეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და ა. შ.



შინაარსს, რამდენადაც იგი მიმართულია, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ყოფილა, იმისაკენ, რომ რუსეთის მემამულეებსა და კაპიტალისტებს არგუნოს სარფა და პრივილეგიები, ველიკორუსებს შერჩეთ ან გაუდიდდეთ ანექსიები, — მთავრობა უცილობლად და დაუყოვნებლივ გაუქმებულად აცხადებს“.

საიდუმლო დიპლომატიისა და საიდუმლო ხელშეკრულებათა უარყოფა საბჭოთა მთავრობის მიერ სავსებით ლოგიკური იყო, რადგან სწორედ მათი საშუალებით ამზადდებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები აგრესიულ ომებს, წინასწარ უთანხმდებოდნენ ერთმანეთს კოლონიების თუ „გავლენის სფეროების“ დატაცებაზე. განმარტავდა რა საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას, საბოლოო სიტყვაში ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„საიდუმლო ხელშეკრულებები უნდა გამოქვეყნდეს. უნდა გაუქმდეს ანექსიებისა და კონტრიბუციების მუხლები. არის სხვადასხვა მუხლი, ამხანაგებო, — მძარცველური მთავრობები ხომ არათუ უთანხმდებოდნენ ერთმანეთს ძარცვის შესახებ, არამედ ასეთ უთანხმებებს შორის აქცევდნენ ისინი ეკონომიურ შეთანხმებებსაც და კეთილმეზობლური ურთიერთობის სხვადასხვა მუხლსაც“. და შემდეგ: „ჩვენ უარყოფთ ძარცვისა და ძალმომრეობის ყველა მუხლს, მაგრამ ყოველ მუხლს, რომელიც შეიცავს კეთილმეზობლურ პირობებს და ეკონომიურ შეთანხმებებს, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ, ჩვენ მათ ვერ უარყოფთ“<sup>12</sup>.

ლენინის ამ სიტყვებში გამოთქმული იყო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი, განმსაზღვრელი პრინციპი — სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, როგორც ობიექტური აუცილებლობა თანამედროვე ეპოქისა, როცა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა ირღვევა და მის გვერდით ჩნდება და ვითარდება სოციალისტური ქვეყნები.


აგრესიული ომის გამოცხადება უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად, ეროვნული სუვერენიტეტისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპად და, ბოლოს, საიდუმლო დიპლომატიისა და მძარცველური საიდუმლო ხელშეკრულებათა უარყოფა — ყოველივე ეს საერთაშორისო სამართლის სხვა ძირითად საწყისებთან ერთად არის არსი მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპისა, რომელიც, თავისმხრივ, ლოგიკურად გამომდინარეობს ვ. ი. ლენინის მოძღვრებიდან სოციალისტური რევოლუციის შესახებ<sup>13</sup>.

დეკრეტში ზავის შესახებ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მომენტი: საბჭოთა მთავრობის წინადადება დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ომი (წინადადება დროებითი ზავის და შემდეგ დემოკრატიული ზავის შესახებ) მიმართული იყო არა მხოლოდ მეომარ სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, არამედ აგრეთვე შესაბამისი ხალხებისადმი. ეს მომენტი მრავალგზისაა დეკრეტში ხაზგასმით აღნიშნული: „მუშათა და გლეხთა მთავრობა... წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხს და მათ მთავრობებს

12 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. გვ. 295-296.

13 ამ წერილის მიზანი არაა განხილული იქნეს მშვიდობიანი თანაარსებობის როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი საწყისის ისტორიული კანონზომიერება და თუნდაც მთავარი ასპექტები. წერილი ამას ეხება იმდენად, რამდენადაც დეკრეტი ზავის შესახებ შეიცავს ამ პრინციპის ზოგიერთ არსებით მხარეს.





დაუყოვნებლივ დაიწყო მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ...“ „რუსეთის მთავრობა ასეთი ზავის შეკვრას სთავაზობს ყველა მეომარ ხალხს...“ „მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მეომარი ქვეყნის ყველა მთავრობას და ხალხს დაუყოვნებლივ შეჰკრან დროებითი ზავი...“ და ბოლოს: „მიმართავს რა ყველა მეომარი ქვეყნის მთავრობებს და ხალხებს ზავის ამ წინადადებით, რუსეთის მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა მიმართავს აგრეთვე განსაკუთრებით კაცობრიობის სამი ყველაზე მოწინავე ერის და დღევანდელი ომის მონაწილე ყველაზე დიდი სახელმწიფოების: ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის შეგნებულ მუშებს. ამ ქვეყნების მუშებმა ყველაზე დიდი სამსახური გაუწიეს პროგრესისა და სოციალიზმის საქმეს, უდიდესი ნიმუშები მოგვცეს ჩარტისტული მოძრაობისა ინგლისში, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი რევოლუციები მოახდინა საფრანგეთის პროლეტარიატმა, ბოლოს, დიდი სამსახური გაუწიეს გამირულ ბრძოლას განსაკუთრებული კანონის წინააღმდეგ გერმანიაში და მთელი მსოფლიოს მუშების სანიმუშო, ხანგრძლივ, მედგარ დისციპლინირებულ მუშაობას გერმანიის მასობრივი პროლეტარული ორგანიზაციების შესაქმნელად. პროლეტარული გამირობისა და ისტორიული შემოქმედების ყველა ეს ნიმუში ჩვენთვის ზრის საწინდარია, რომ დასახლებული ქვეყნების მუშები შეიგნებენ ომის საშინელებათა და მისი შედეგებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ამჟამად მათზე დაკისრებულ ამოცანებს, რომ ეს მუშები თავისი ყოველმხრივი, გაბედული, თავდადებულად ენერგიული მოქმედებით დაგვეხმარებიან წარმატებით დავაბოლოოთ ზავის საქმე...“<sup>14</sup>

ასაბუთებდა რა ასეთი მიმართვის აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი თავის მოხსენებაში ამბობდა: „...ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს ამავე დროს არ მივმართოთ ხალხებსაც. ყველგან მთავრობები და ხალხები ვერ უთანხმდებიან ერთმეორეს, ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხებს ჩაერიონ ომისა და ზავის საკითხებში“<sup>15</sup>, ხოლო საბოლოო სიტყვაში დემოკრატიული ზავის მოთხოვნასთან დაკავშირებით ლენინმა განაცხადა: „ჩვენ ყველა მთავრობას დავაყენებთ ჩვენი პირობების წინაშე, — და დაე პასუხი გასცენ მათ თავიანთ ხალხებს“<sup>16</sup>.

ამგვარად, საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა, და სავსებით მართებულადაც, რომ საყოველთაო მშვიდობის აღდგენა და განმტკიცება არა მარტო სახელმწიფოთა მთავრობების, არამედ აგრეთვე ხალხების საქმეა, რომ მშრომელთა მასებს ძალუძთ და ისინი კიდევ უნდა ჩაერიონ თავიანთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომ მათ თავიანთ მთავრობებს ხელი უნდა აღებინონ აგრესიულ პოლიტიკაზე და განახორციელებინონ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს, უპირველეს ყოვლისა — მუშათა კლასის ინტერესებს. მაშასადამე, დეკრეტში ზავის შესახებ აისახა აგრეთვე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტული პრინციპი, კერძოდ, ყველა ქვეყნის მუშებისა და საერთოდ მშრომელთა მასების სოლიდარობის აუცილებლობა (განპირობებული მათი ინტერესების ერთიანობით) საერთაშორისო პრობლემების დემოკრატიული, სამართლიანი გადაჭრისათვის. დეკრეტის ზემოთ მოყვანილი სიტყვები იმაზე მიუთითებს,

<sup>14</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. გვ. 287, 288, 290-291.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 291.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 295.



რომ სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, მისი საერთაშორისო-სამართლებრივი პოზიცია აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს; ამ სიტყვებში განჭვრეტილია მომავალიც — ჩვენი დროის საერთაშორისო ვითარება, როცა მსოფლიოს ხალხთა მოძრაობა სულ უფრო გადამწყვეტი ფაქტორი ხდება მშვიდობის დაცვის დიდ საქმეში.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პრინციპები, რომლებსაც ლენინური დეკრეტი შეიცავს, ამავე დროს წარმოადგენდნენ, როგორც აღინიშნა, ახალ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებს; მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ისინი უმაღლვე იქცნენ მოქმედი, პოზიტიური საერთაშორისო სამართლის პრინციპებად. რა თქმა უნდა, არა. სახელმწიფოს ქცევის ესა თუ ის წესი მხოლოდ მაშინ იძენს იურიდიულად სავალდებულო ძალას საერთაშორისო ურთიერთობებში, ე. ი. მხოლოდ მაშინ იქცევა საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმად, როცა სახელმწიფოები (ანდა მათი უმრავლესობა მაინც, დიდი სახელმწიფოების ჩათვლით), მას ასეთად მიიჩნევენ საერთაშორისო შეთანხმებით ან იმით, რომ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში დაიცავენ მის მოთხოვნებს.

საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საგარეო-პოლიტიკური აქტის დიდი ისტორიული მნიშვნელობა იმაშია, რომ მასში ჩამოყალიბებული პრინციპები, სავსებით შეესაბამებოდნენ რა კაცობრიობის პოლიტიკური პროგრესის ინტერესებს, მსოფლიო ისტორიის მსვლელობას, მომდევნო ათეული წლების განმავლობაში თანდათანობით დამკვიდრდნენ როგორც საყოველთაო საერთაშორისო სამართლის პრინციპები. სახელმწიფოების მიერ მათი აღიარების პროცესი — ეს იყო კაპიტალისტურ სამყაროსთან საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლისა და თანამშრომლობის რთული გზა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად დემოკრატიულ საერთაშორისო-სამართლებრივ პოზიციას სულ უფრო მეტად უჭერდა მხარს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

მაგალითის სახით შეიძლება მივუთითოთ აგრესიული ომის როგორც უძიმესი საერთაშორისო დანაშაულის აკრძალვაზე თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. დეკრეტმა ზავის შესახებ უმაღლვე აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი უფრო კონკრეტული სახე მიეცა თავისი პაციფისტური დაპირებისათვის და გამოსულიყო ზავის პროგრამით. 1918 წლის 8 იანვარს კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში ვილსონმა 14 პუნქტად ჩამოაყალიბა ეს პროგრამა; ბოლო პუნქტი ითვალისწინებდა ერთა კავშირის შექმნას იმ მიზნით, რათა დიდსა და მცირე სახელმწიფოებს თანაბრად ესარგებლათ პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთგარანტიებით<sup>17</sup>. მაგრამ ამ პუნქტებში არაფერი იყო აგრესიული ომის აკრძალვის თაობაზე და არც ხსენებული კავშირის — ერთა ლიგის წესდება არ გამორიცხავდა ომის გამოყენებას საერთაშორისო დავის გადასაწყვეტად თვით ლიგის წევრებს შორის. პირიქით, წესდების მე-12 და მე-15 მუხლების მიხედვით დავის მონაწილე წევრი სახელმწიფოს მიერ ომის გაჩაღება გარკვეულ პირობებში სავსებით კანონიერად ითვლებოდა<sup>18</sup>; აგრესიული ომის აკრძალვას არ ნიშნავდა არც ვერსალის საზავო ხელშეკრულების 227-ე და 228-ე მუხლები, რომლებიც

<sup>17</sup> Ю. В. Ключников и А. Сабанин. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. II, М., 1926, стр. 109.

<sup>18</sup> ერთა ლიგის წესდება იხ. წიგნში. Международное право в избранных документах, т. II, М., 1957, стр. 77—84.



ითვალისწინებდნენ ყოფილი კაიზერის ვილჰელმ II-ისა და ომის სხვა დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ დევნას ომის სამართლის დარღვევისათვის და რომლებიც განუხორციელებელი დარჩა. მხოლოდ 1928 წელს დაიდო პირველი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლითაც ყველა სახელმწიფო ხელს იღებდა ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღზე. ეს იყო ბრიან-კელოგის პაქტი<sup>19</sup>, რომლის მონაწილე გახდა საბჭოთა კავშირიც. მიუხედავად იმისა, რომ ომზე ხელის აღების პრინციპი ამ პაქტში ძალიან ზოგადი, აბსტრაქციული ხასიათისა იყო და პაქტის თავდაპირველმა მონაწილეებმა (ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვ.) პაქტზე ხელის მოწერისას ისეთი დათქმები გააკეთეს, რომლებიც მათ მაინც უტოვებდათ ომის გაჩაღების შესაძლებლობას. საბჭოთა სახელმწიფომ პირველმა მოახდინა პაქტის რატიფიკაცია და ვადაზე ადრე შეიყვანა იგი ძალაში დასავლეთის ოთხ მეზობელ სახელმწიფოსთან საამისოდ ხელმოწერილი მოსკოვის ოქმით, რადგან ეს პაქტი დიდი ნაბიჯი იყო წინ აგრესიული ომის სრული და ეფექტური აკრძალვისაკენ. ასეთი აკრძალვა საბჭოთა კავშირის თაოსნობით საბოლოოდ განხორციელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. წესდების პრინციპთა შორის (მუხლი 2) ვკითხულობთ:

— „3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავას წყვეტს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და სამართლიანობას;

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს თავის საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისაგან ან ძალის გამოყენებისაგან როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე სხვა რაიმე სახით, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების მიზნებთან“.

მასასადამე, პრინციპი, რომელიც პირველად წამოაყენა საბჭოთა დეკრეტმა ზავის შესახებ, 28 წლის შემდეგ იქცა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად<sup>20</sup>. პროგრესისა და რეაქციის ძალების ბრძოლის კიდევ უფრო ძნელი გზა განვლო ლენინურ დეკრეტში გამოცხადებულმა ეროვნული სუვერენიტეტისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპმა, სანამ იგი საყოველთაო საერთაშორისო-სამართლებრივ აღიარებას მოიპოვებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში (მუხლები 1,55) და კონკრეტული ნორმების სახით ჩამოყალიბდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ (1960 წ.) და ადამიანის უფლებათა პაქტებში (1966

19. იხ. იქვე. ტ. III, გვ. 3-4.

20 აღნიშნული პრინციპი მრავალგზის იქნა დადასტურებული სხვადასხვა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში (მაგალითად, ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდებაში), ოუმცა მისი დეტალიზაცია კონკრეტულ ნორმებში, სახელდობრ, აგრესიის ცნების განსაზღვრისა თაობაზე საერთაშორისო კონვენციის დადებით, ჯერაც განუხორციელებელია.



წ.). რაც შეეხება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს, კაპიტალიზმის არსებობის პირობებში იგი, ცხადია, ვერ იქცევა საყოველთაო საერთაშორისო სამართლის პრინციპად, მაგრამ საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში სოციალიზმის ბანაკის შიგნით და სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში იგი ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად ითვლება.

ამგვარად ოქტომბრის რევოლუციამ, რომლითაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საგარეო პოლიტიკური აქტით — დეკრეტით ზავის შესახებ დასაბამი მისცა ახალი, დემოკრატიული საყოველთაო საერთაშორისო სამართლის განვითარებას. ამაშია დეკრეტის დიდი საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობა.

---



# სისხლისსამართლებრივი ნორმები ოჯახობის დეკრეტში

გ. ტყეშელაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1. ჩვენს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგებს შეუთავსებლად მიაჩნიათ პროლეტარიატის დიქტატურა კანონიერებასა და მართლწესრიგთან. ამ ყალბი თეზისის არგუმენტად ისინი იშველიებენ მარქსისტულ-ლენინურ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც პროლეტარიატის დიქტატურა კანონით შეუზღუდველი ხელისუფლებაა. სინამდვილეში ამ განსაზღვრებაში ნავულისხმებია სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი, როდესაც გამარჯვებულმა პროლეტარიატმა გააუქმა ძველი კანონები, რომლებიც კაპიტალის ბატონობას, კერძო საკუთრებასა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას იცავდნენ.

მაგრამ ახლად შექმნილ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო, თავის მხრივ ერთბაშად მოეწესრიგებინა ურიცხვი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რადგან: სამართლის კოდიფიკაცია გულისხმობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტაბილურობასა, საზოგადოებრივი პრაქტიკის (კერძოდ, სასამართლო პრაქტიკის), მისი განვითარების ტენდენციების, საზოგადოებრივი აზრის, იურიდიული მეცნიერების დასკვნების შესწავლასა და გათვალისწინებას. ამ პირობების არარსებობით შეიძლება აიხსნას, რომ თავდაპირველად ნებადართული იყო რევოლუციამდელი კანონების გამოყენება.

საბჭოთა რუსეთში ძველი კანონებით მეტად მცირე ხანს სარგებლობდნენ (1917 წლის 24 ნოემბრიდან 1918 წლის 20 ივლისამდე) და რაც მთავარია, მათი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ. თუ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ: ა) საბჭოთა კანონმდებლობას, ბ) პარტიულ პროგრამას, გ) რევოლუციურ სინდისსა და რევოლუციურ მართლშეგნებას. საგულისხმოა რომ იმთავითვე რევოლუციურ ტრიბუნალებს უფლება არ ჰქონდათ ძველი კანონები მიეთითებინათ, მათ უნდა ეხელმძღვანელათ საბჭოთა მთავრობის დეკრეტებით, ხოლო თუ ასეთები არ იყო ან მათ სისრულე აკლდათ სოციალისტური მართლშეგნებით.

სახალხო სასამართლოების პრაქტიკაში ძველ კანონებს მხოლოდ სათანადო კორექტივით იყენებდნენ; კერძოდ, როცა ძველი კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი რევოლუციურ მართლშეგნებას ეწინააღმდეგებოდა. უპირატესობა მეორეს ეძლეოდა. მაგალითად, სახალხო სასამართლოებს მეტისმეტლობიერად მიაჩნდათ სასჯელი შინ არყის გამოხდისათვის, რომელსაც სააქციზო მოსაკრებელთა წესდების 1068 მუხლი ითვალისწინებდა; ამ წესდებით დადგენილი მსუბუქი სასჯელები არ შეესაბამებოდა ახალ, რევოლუციურ მართლშეგნებას, რადგან აღნიშნულ დანაშაულს სჩადიოდნენ სპეკულანტები-კულაკები, რომლებიც ანგარებით სპობდნენ პუტრის ისედაც მცირე მარაგს. ასევე უფრო მკაცრად სჯიდნენ სასამართლოები თანამდებობრივ დანაშაულსა და მექორთამეობას, რადგან ასეთი დანაშაული ახალ ხელისუფლებას სახელს უტეხდა.



გაცილებით უფრო ღმობიერად ეკიდებოდნენ ისინი ქონებრივ დანაშაულს (ქურდობასა და გაძარცვას) და მისთვის ძველ, სასჯელთა დებულებას არ იყენებდნენ<sup>1</sup>.

საკითხს ძველი კანონების გამოყენების შესახებ პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის. თუ საბჭოთა რუსეთში ძველ კანონებს რამდენიმე თვეს იყენებდნენ, ამ ქვეყნებში ეს პროცესი წლობით გრძელდებოდა (მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში 3 წელს, ბულგარეთში 6 წელს, უნგრეთში 10 წელს და ა. შ.) როგორც აღინიშნა, საბჭოთა რუსეთში სარგებლობა ძველი კანონებით მეტად შეზღუდული იყო, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კი რევოლუციამდელი კოდექსები მთლიანად მოქმედებდნენ ანდა დღესაც მოქმედებს და ძველი კანონმდებლობით ყველა სასამართლო ხელმძღვანელობს. დასასრულ, საბჭოთა რესპუბლიკაში დამხობილი მთავრობის კანონების მითითება სავალდებულო არ იყო, ხოლო ხსენებულ ქვეყნებში ასეთი მითითება სავალდებულოა.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იყენებენ ძველ სამართლებრივ ფორმას, რომელმაც ახალი კლასობრივი შინაარსი შეიძინა. ძველი კანონების ამგვარი ხანგრძლივი და ფართო გამოყენება ძირითადად იმით აიხსნება, რომ აქ სოციალისტური რევოლუცია უფრო მშვიდობიან პირობებში ვითარდება; აგრეთვე აღნიშნული ქვეყნების რევოლუციამდელ კანონებში მეტია დემოკრატიული ნორმები, ვიდრე მეფის რუსეთის კანონმდებლობაში იყო.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც ძველი კანონები თანდათან ახლით იცვლება და ეს კიდევ ერთხელ აბათილებს ბურჟუაზიის იდეოლოგთა ყალბ თეზისს „სამართლებრივი წესრიგის უწყვეტობის“ შესახებ.

2. 20 — 30-იანი წლების საბჭოთა იურიდიული ლიტერატურაში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ კანონები, რომლებიც უფლებას აძლევდნენ სასამართლოებს ცალკეული საქმეები სოციალისტური მართლშეგნების საფუძველზე გადაწყვიტათ, წარმოადგენდნენ სასამართლოების სამართლმემკმედების დადასტურებას<sup>2</sup>. ამ მოსაზრებას სამართლიანად უარყოფს ლ. ანტონოვა-სამართლის ნორმა ქცევის ზოგადი წესია; სასამართლო როდი ქმნიდა ასეთ ნორმას. რევოლუციის პირველ წლებშიც მისი განაჩენი არ შეიცავდა ქცევის ზოგად წესს, რომელიც ანალოგიურ საქმეთა გადაწყვეტისას სავალდებულო იქნებოდა სხვა სასამართლოებისათვის; რევოლუციის პირველი წლებშიც სახელმწიფო ქმნიდა სამართლის ნორმას საკანონმდებლო გზით და არა სასამართლო ორგანოების საშუალებით<sup>3</sup>.

ამ საკითხის გამო, ჩვენი აზრით, ყურადსაღებია სხვა გარემოებებიც. მაშინაც არ იყო გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სასამართლოში საქმე გადაწყდებოდა ისევე, როგორც ანალოგიური საქმე აღრე სხვა სასამართლოში გადაწყდა. მაგრამ ეს უნდა აიხსნას არა პრეცედენტის სავალდებულო ძალით, არამედ წინათ გამოტანილი განაჩენის შინაარსითა და ავტორიტეტით. იურიდიულად სავალდებულო ძალის გარეშე ასეთი განაჩენიც არ ჩაითვლებოდა სამართლის

<sup>1</sup> З. Сперанский. Народные заседатели (личные впечатления), «Пролетарская революция и право», 1918, № 1, стр. 28—29.

<sup>2</sup> Д. И. Курский. Новое уголовное право. Избранные статьи и речи, М., Госюриздат, 1958, 83, 74—75.

<sup>3</sup> об. Л. И. Антонова. Проблема правотворчества и некоторые вопросы становления советского права — «Вестник Ленинградского университета. № 23, серия экономики, философии и права», выпуск 4, 1964, 83, 93.



ნორმად, მაგრამ ანალოგიურ საქმეთა გამო გამოტანილ ერთგვაროვან განსჯენებს მეტად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა სამართლებრივი ნორმის შექმნისათვის. თვითონ ასეთი განაჩენის არსებობა ერთგვარად ანიშნებდა კანონმდებელს, რომ საჭიროა მისი ჩარევა; იგი სამართლის ერთ-ერთი „სოციალური“ წყარო იყო. საზოგადოთ სასამართლო პრაქტიკა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნორმების ჩამოყალიბებაში მანამდე, სანამ მოხდებოდა სოციალისტური სამართლის კოდიფიცირება.

ზემოაღნიშნულთან ერთად ანგარიშგასაწევია ისიც, რომ, მართალია, სასამართლოები რევოლუციის პირველ წლებშიც არ ეწეოდნენ სამართალშემოქმედებას, მაგრამ სამართლებრივ ნორმებს აწესებდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ადგილობრივი საბჭოების განსაკუთრებული წესები, დებულებები, დადგენილებები და განაწესები, რომლებშიც განსაზღვრული იყო სახალხო სასამართლოების კომპეტენცია. 1918 წლის აპრილში სრულიად რუსეთის იუსტიციის საოლქო და საგუბერნიო კომისართა პირველ ყრილობაზე დ. კურსკი აღნიშნავდა: „სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის გამოქვეყნებამდე ადგილებზე გამოცემული ზოგიერთი დებულება არა მარტო ქმნიდა ძველის ნანგრევებზე სასამართლო ორგანიზაციას, არამედ ხშირად მატერიალური სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ნორმებსაც შეიცავდა“<sup>4</sup>. ასეთ აქტებს მიზნად ჰქონდა არა კონკრეტული, არამედ ტიპობრივი შემთხვევების ერთგვაროვანი მოწესრიგება.

3. ოქტომბრის რევოლუციის განხორციელებისა და სამოქალაქო ომის პერიოდში გამოიკა 400-დე საკანონმდებლო აქტი, რომლებიც სისხლისსამართლებრივ ნორმებს შეიცავდნენ. წინამდებარე წერილში შეუძლებელია ყველა ამ აქტის თუნდაც ჩამოთვლა და ზოგადი დახასიათება. საზოგადოთ ეს აქტები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს. მათი ერთი ნაწილი მიმართული იყო დაპირობილი კლასების წინააღმდეგობის დასაძლევად, ხოლო მეორე ხელს უწყობდა ახალი, სოციალისტური ეკონომიკის აშენებას.

ოქტომბრის დეკრეტები, რომლებიც დამხობილი კლასების წინააღმდეგობის დასაძლევად იყო მიმართული, ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას კონკრეტული კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის. ასეთი იყო, მაგალითად, ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „მოწოდება მოსახლეობისადმი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და ბრძოლის ამოცანების შესახებ ადგილებზე“, 1917 წლის 24 ნოემბრის დეკრეტი „სასამართლოს შესახებ“, სახკომსაბჭოს 1917 წლის 26 ნოემბრის მიმართვა მოსახლეობისადმი „ბრძოლის შესახებ კალენდისის, კორნილოვის, დუტოვის კონტრრევოლუციურ აჯანყებასთან, რომელსაც მხარს უჭერს ცენტრალური რადა“, სახკომსაბჭოს 1917 წლის 30 ნოემბრის მიმართვა „ჩახშობაზე ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური აჯანყებისა, რომელსაც კადეტური პარტია ხელმძღვანელობს“ და სხვ.

1917-1918 წლების საბჭოთა სისხლის სამართლისა და რევოლუციური ტრიბუნალების პრაქტიკაში ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციური ამბოხებისა და აჯანყების ცნება. ამ დანაშაულის ნიშნებად ითვლებოდა: ა) კონტრრევოლუციური ამბოხებისა თუ აჯანყების მომზადება, ორგანიზაცია და მასში მონაწი-

4 Д. И. Курский. Избранные статьи и речи, М. 1948, стр. 18.



ლებოა. ბ) ისეთ შეთქმულებასა თუ ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომელმაც ძიხად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

გარდა ამისა, კონტრრევოლუციურ დანაშაულად ითვლებოდა აგრეთვე სხვადასხვა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა თუ პირის ცდა მიეთვისებინა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქცია. ამ დანაშაულის შემადგენლობა განსაზღვრული იყო რსფსრ-ს ცაკის 1918 წლის 5 იანვრის დადგენილებით. დეკრეტს მხედველობაში ჰქონდა დამფუძნებელი კრების კადეტურ-ესერული ჯგუფი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდა და აგრეთვე მონარქისტული, ესერული და სხვა კონტრრევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც ადგილებზე სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების მითვისებას ცდილობდნენ.

კონტრრევოლუციური საქმიანობა ვლინდებოდა აგრეთვე ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროზაგანდაში, რომლებსაც ბურჟუაზიული და ესერულ-მენშევიკური პრესა ეწეოდა. საბჭოთა მთავრობის დეკრეტებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში საკმაოდ დაწვრილებით იყო განსაზღვრული ამ დანაშაულის ნიშნები.

იმდროინდელი ნორმატიული აქტების მნიშვნელოვანი ნაწილი აწესებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას სოციალისტური ქონების ხელყოფისათვის, აგრეთვე ბანდიტიზმისათვის, სპეკულაციისა და სხვა დანაშაულები-სათვის, რომლებიც როგორც ექსპლოატატური კლასების, ისე წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი აქტით, 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტით „მიწის შესახებ“ მიძიმე დანაშაულად გამოცხადდა მემამულეთა კონფისკებული ქონების ყოველგვარი დაზიანება. სახკომსაბჭომ 1917 წლის 15 ნოემბრის მიმართვაში „სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“ პოლიტიკური შეფასება მისცა ამ დანაშაულს და მოსთხოვა რევოლუციურ ტრიბუნალებს საქმის განხილვამდე დაეხატებინათ და კრონშტანდტის საპრობილეში მოეთავსებინათ სპეკულანტები, მაროდორები და მათი დამხმარენი.

სახკომსაბჭოს 1918 წ. 15 ივნისის დეკრეტმა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სამთო, მეტალურგიული, ლითონდამმუშავებელი, საფეიქრო, ელექტროტექნიკური, ხეცყის სამხერხაო და დამმუშავებელი, თამბაქოს, მინის, კერამიკული, ცემენტისა და მრეწველობის სხვა დარგების მსხვილი საწარმოების, აგრეთვე ორთქლის წისქვილების, ადგილობრივი კეთილმოწყობისა და რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოების ნაციონალიზაცია, დააკისრა პასუხისმგებლობა ნაციონალიზებულ საწარმოთა დაცვისათვის მათი გამგეობის წევრებს, დირექტორებს და სხვა განმკარგულებლებს.

ზემოაღნიშნული აქტების უმრავლესობა ფართო გზას აძლევდა სოციალისტურ მართლმეგნებას კონკრეტული დანაშაულის ნიშნებისა და სუბიექტის განსაზღვრაში.

იურიდიული სიზუსტის მხრივ იმდროინდელ აქტებს შორის გამოირჩეოდა სახკომსაბჭოს 1918 წლის 9 მაისის დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“. მასში ზუსტად მოიხაზა ამ დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარეები, გამოიკვეთა მექრთამეობის სუბიექტების ნიშნები, განისაზღვრა სასჯელის ზომა. იგივე ითქმის 1918 წლის 22 ივლისის დეკრეტზე „სპეკულაციის შესახებ“, რო-



მელნიც დაწვრილებით იყო აღწერილი სპეკულაციისა და ზოგიერთი სხვა მონათესავე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები.

უფრო მოგვიანებით კანონმდებელმა დაიწყო ისეთი აქტების გამოცემა, რომლებშიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ერთბაშად რამდენიმე დანაშაულისათვის. ასეთი აქტებით წესდებოდა სასჯელი სამხედრო, კონტრრევოლუციური და სხვა ზოგიერთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის<sup>5</sup>.

4. ოქტომბრის დეკრეტები არ უგულებელყოფენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საკითხებსაც.

დაშვებული იყო კანონის უკუქცევით მოქმედება, როდესაც ახალი კანონი აძლუბუქებდა სასჯელს ან აუქმებდა ქმედობის დანაშაულებრიობასა და დასჯადობას. კანონს, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს აწესებდა ან ახლად ადგენდა ქმედობის დანაშაულებრიობას, უკუქმედობითი ძალა არ ჰქონდა, გამოჩაქვლის წარმოადგენდა სახკომსაბჭოს 1918 წლის 8 მაისის დეკრეტი „მექრთაძეობის შესახებ“, ოღონდ მისი უკუმოქმედებითი ძალა არ ვრცელდებოდა ქრთამის მიმცემზე, რომელიც დეკრეტის გამოცემის შემდეგ სამი თვის განმავლობაში განუცხადებდა სასამართლო ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

იმთავითვე საბჭოთა სისხლის სამართალი აპირობებდა პასუხისმგებლობას ბრალის არსებობით. უფრო მეტიც, დეკრეტებში განსხვავებული იყო ბრალის სხვადასხვა ფორმა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორ მაგალითს. სახკომსაბჭოს დეკრეტი „რუსეთის დამნობილი იმპერატორისა და ყოფილი საიმპერატორო სახლის ქონების ნაციონალიზაციის შესახებ“ ადგენდა: „ყველა პირი და დაწესებულება, რომლებმაც იციან ამ დეკრეტის პირველი პუნქტში მითითებული ქონების ადგილსამყოფელი, მოვალე არიან დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ სათანადო ცნობები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. ამ მუხლში მითითებული ცნობების შეუტყობინებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს“. ამრიგად ეს დეკრეტი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მხოლოდ განზრახი ქმედობისათვის. პირიქით, შრომის ინსპექციის განაწესი ითვალისწინებდა წარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, უკეთეს სამსახურებრივი დამოკიდებულებისადმი მათი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგათ მუშათა საერთო საცხოვრებელში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პირობები წარმოიშვებოდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებდა გაუფრთხილებლობითს ბრალს დაუდევრობის სახით.

განსახილველი პერიოდის ნორმატიული აქტებით დასჯადობის მხრივ დაუმთავრებელი დანაშაული პრინციპულად გაუთანაბრდა დამთავრებულ დანაშაულს. მაგალითად, სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 5 იანვრის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მითვისების ყოველგვარი ცდა განხილული იქნება როგორც კონტრრევოლუციური დანაშაული, ხოლო სახკომსაბჭოს 1918 წლის 30 ივლისის დეკრეტი „საგანგაშო ზარის შესახებ“ ითვალისწინებდა, რომ „აღნიშნული ქმედობის ჩადენის მცდელობა ისჯებ როგორც დამთავრებული დანაშაული“.

<sup>5</sup> იხ. მაგალითად, რსფსრ-ს ცაკის საკასაციო განყოფილების 1918 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „რევოლუციური ტრიბუნალების განსჯადობის შესახებ“.



თანამონაწილეობის ინსტიტუტი წარმოიშვა საბჭოთა სისხლის სამართალში ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში. ეს შეპირობებული იყო კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან, ანტისაბჭოთა შეთქმულებებთან და ამბოხებებთან ბრძოლის აუცილებლობით. მაშინდელი აქტები არ განსხვავდება თანამონაწილეობას შემხებლობისაგან. მაგალითად, 1918 წლის 10 ივლისის დეკრეტი „სავანგამო ზარის შესახებ“ ითვალისწინებდა შემხებლების დასჯადობას აშსრულებლის თანაბრად.

5. საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტები და ნორმატიული აქტები, რომლებიც მიმართული იყო კონტრრევოლუციურ და სხვა მძიმე დანაშაულთა წინააღმდეგ, არ მიუთითებდა სასჯელის ზუსტ ფარგლებს. ამ დეკრეტებით დაწესებული სანქციები ხშირად აბსოლუტურად განუსაზღვრელი იყო. სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრის უფლება მინიჭებული ჰქონდა სასამართლოებსა და რევოლუციურ ტრიბუნალებს, რომლებსაც სასჯელის დანიშვნის დროს უნდა ეხელმძღვანელათ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებითა და რევოლუციური მართლშეგნებით.

სასჯელთა სისტემის შექმნის პირველ ცდას წარმოადგენდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 19 დეკემბრის ინსტრუქცია. მასში გათვალისწინებული იყო შემდეგი სასჯელები: 1) ფულადი ჯარიმა, 2) თავისუფლების აღკვეთა, 3) დედაქალაქიდან, ცალკეული ადგილიდან ან რუსეთის რესპუბლიკიდან გაძევება, 4) საზოგადოებრივი გაკიცხვა, 5) დამნაშავეს მშრომელთა მტრად გამოცხადება, 6) ყველა ან ზოგიერთი პოლიტიკური უფლების ჩამორთმევა, 7) ქონების ნაწილობრივი ან მთლიანი სეკვესტრი თუ კონფისკაცია, 8) სავალდებულო საზოგადოებრივი სამუშაოები.

აღნიშნული ინსტრუქცია სასჯელის უმაღლეს ზომას, დახვრეტას, არ ითვალისწინებდა, და ეს შემთხვევითი არ იყო: მემარცხენე ესერები, რომლებიც ძაშინ იუსტიციის სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდნენ, ცდილობდნენ შეესუსტებინათ ტრიბუნალთა რევოლუციური რეპრესიები; ამ მიზნით ისინი შეეცადნენ არ მიეცათ რევოლუციური ტრიბუნალებისათვის კონტრრევოლუციური ამბოხებებისა თუ აჯანყებების ორგანიზატორთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების უფლება. ასეთი უფლება რევოლუციურმა ტრიბუნალებმა მიიღეს მას შემდეგ, რაც მემარცხენე ესერები საბჭოთა მთავრობიდან გავიდნენ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1918 წლის 16 ივნისის დადგენილებით რევოლუციურ ტრიბუნალებს უფლება მიეცათ გამოეყენებინათ ყოველგვარი სასჯელი: კერძოდ, სიკვდილით დასჯაც, მაგრამ რევოლუციური ტრიბუნალების პრაქტიკაში ამ სასჯელის გამოყენება მეტად იშვიათი იყო.

ჩეხოსლოვაკების აჯანყებამ, მემარცხენე ესერების ამბოხებამ მოსკოვსა და იაროსლავში, ანტანტის მიერ ჩრდილოეთ რუსეთის ოკუპაციამ, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური ორგანიზაციების გამოსვლებმა და აშკარა ტერორმა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვოლოდარსკისა და ურიცკის მკვლელობამ, ვ. ი. ლენინის მკვლელობის მცდელობამ აიძულა საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინა წითელი ტერორი. წითელი ტერორი გამოხატავდა უდა-





რიბესი გლახობისა და პროლეტარიატის ურყევ ნებას ჩაეხშო ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილი ყოველგვარი აჯანყება<sup>7</sup>.

დადგენილება წითელი ტერორის შემოღების შესახებ მიღებულ იქნა რსფსრ-ს სახკომსაბჭოს მიერ 1918 წლის 5 სექტემბერს. თუმცა წითელი ტერორი გამოწვეული იყო მეტად რთული ვითარების შექმნით: მაინც მას ფართო ვავრცელება არ მიუღია.

თავის დროზე რენევატი კ. კაუცკი აცხადებდა, რომ დახვრეტა ბოლშევიკებისათვის ალფად და ომეგად გადაიქცა, რომ 1918 წლის განმავლობაში 12-18 ათასი კაცი დაიხვრიტა.

ამ მონაჭორს აბათილებს სტატისტიკური ცნობები სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის მ. ლაცისის სტატიაში „სიმართლე წითელი ტერორის შესახებ“<sup>8</sup>. ოფიციალური მონაცემებით, ბურჟუაზიასთან გააფთრებული ბრძოლის ორი წლის მანძილზე საგანგებო კომისიებმა დახვრიტეს 9641 კაცი; ეს შეადგენდა ყველა მსჯავრდებულის 13 პროცენტს, არასრული ცნობებით იმავე ორი წლის განმავლობაში კონტრრევოლუციონერებმა სიცოცხლეს გამოასალმეს საგანგებო კომისიის 5000 თანამშრომელს რუსეთში, ხოლო 2000 უკრაინაში.

რევოლუციურმა ტრიბუნალებმა 1917-1918 წლებში სიკვდილით დასჯა მიუთსაჯეს სულ 14 კაცს, ხოლო 1919 წლის პირველ ნახევარში — 14-ს ყოველ 100 მსჯავრდებულზე<sup>9</sup>.

საბჭოთა ხელისუფლება სიკვდილით დასჯას ყოველთვის განიხილავდა როგორც დროებითსა და განსაკუთრებულ ღონისძიებას.

ყველაზე უფრო ხშირად სასჯელად იყენებდნენ თავისუფლების აღკვეთასა და ჯარიმას. თავისუფლების აღკვეთის უმცირეს ვადად მიჩნეული იყო 7 დღე, ხოლო უმეტესად — 10 წელი. როგორც წესი, თავისუფლების აღკვეთის უმაღლესი ზღვარი მითითებული იყო ნაკლებად საშიში დანაშაულთათვის, მძიმე და ხაშაულთათვის კი აღინიშნებოდა უმდაბლესი. თავისუფლების აღკვეთასთან ერთად კანონმდებელი უმეტეს შემთხვევაში აწესებდა იძულებით სამუშაოებსაც.

ბურჟუაზიული კანონმდებლობა უარყოფითად ეკიდება ქონების კონფისკაციას როგორც სისხლისსამართლებრივი ღონისძიებას. მას ეშინია არ შეირყეს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის იდეა. საბჭოთა ხელისუფლებამ, პირიქით, გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებებით ფართოდ გამოიყენა ქონების კონფისკაცია თავისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.

სავსებით მართებულად აღნიშნავს პროფ. ს. ჯორბენაძე, რომ „კაპიტალისტთა კლასის ეკონომიური უპირატესობის ლიკვიდაცია საბჭოთა სახელმწიფოს არ განუხორციელებია: როგორც სისხლისსამართლებრივი ღონისძიება. პროლეტარული ნაციონალიზაცია... მისი განხორციელებისას არ ყოფილა სისხლისსაართლებრივი ნორმატიული აქტების შეფარდების შედეგი... საწარმოთა კონფისკაცია, საბაბის მიუხედავად სახალხო მეურნეობის საბჭოების, ანდა სა-

7 Ф. Дзержинский. Избранные статьи и речи, 1946, гл. 120.

8 К. Каутский. Терроризм и коммунизм.

9 იხ. ვაზ. „იზვესტია“ 1920. 6. 11.

10 «Еженедельник советской юстиции», 1922, № 44—45, стр. 43.



ხელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დადგენილებით შეიძლება განხორციელებულიყო“<sup>11</sup>. მაგრამ ვერ დავეთანხმებით პროფ. ს. ჯორბენაძის თვალსაზრისს, როდესაც იგი ამბობს, რომ იმ პერიოდში ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელი, მიმართული არ იყო ექსპლოატატორული კლასების ეკონომიკური უპირატესობის ლიკვიდაციისაკენ. ამის გამო მას მიუღებლად შიაჩნია პროფ. მ. შარგოროდსკის საწინააღმდეგო დებულება.

ნათელია, კაპიტალისტთა ეკონომიკური უპირატესობის ლიკვიდაცია განხორციელდა კონფისკაციის წესით, რომელიც წარმოადგენდა ნაციონალიზაციის და არა სასჯელის ერთ-ერთ სახეს. ეს იყო აღნიშნულ უპირატესობის ლიკვიდაციის ძირითადი და გადაწყვეტი სამართლებრივი საშუალება. მაგრამ არ შეიძლება მთლიანად უარყოთ ისეთი სისხლისამართლებრივი ღონისძიების მნიშვნელობა ამ მიზნის განხორციელებისათვის, როგორცაა ქონების კონფისკაცია. ოქტომბრის დეკრეტების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ქონების კონფისკაციას იყენებდნენ როგორც სანქციას უპირატესად მქონებელი კლასების წარმომადგენელთა მიმართ. ამით კანონმდებელი ცდილობდა, ასე ვთქვათ, ეკონომიკურად განეიარაღებინა ექსპლოატატორი, რომელიც საზოგადოებრივად საშიშ გამოხატომებს უწყობდა საბჭოთა ხელისუფლებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც. კანონმდებლობაში მკვეთრი ზღვარი სასჯელის ისეთ სახეებს შორის, როგორც იყო ჯარიმა და ქონების კონფისკაცია, არ არსებობდა<sup>12</sup>. გარდა ამისა, საზოგადოთ ჯარიმასა და ქონების კონფისკაციას შორის ერთგვარი მსგავსება არსებობს. ამის გამო ქონების კონფისკაციაზე შეიძლება გავავრცელოთ ვ. ლენინის დებულება, რომ ჯარიმა გამოყენებული უნდა იქნეს „მდიდარი კლასის“ წარმომადგენელთა მიმართ. 1918 წლის 4 დეკემბერს გაზეთი „პრავდა“ წერდა: „გამოყენებული ჯარიმა თავისი სიდიდით ისეთი უნდა იყოს, რომ ერთდროულად შეასრულოს კაპიტალის ექსპროპრიაციის როლი და წაართვას ჩვენს აქტიურ მოწინააღმდეგეებს მათი ბრძოლის ძირითადი იარაღი — კაპიტალი“.

<sup>11</sup> ს. ჯორბენაძე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, 1963, გვ. 249.

<sup>12</sup> იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

<sup>13</sup> П. Г. Мишутин. Очерки по истории советского уголовного права, 1917—1918, М., 1954, გვ. 211.



# საბჭოთა საქართველოს პიკვედი წიგნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი საკითხი

ლ. სურგულაძე

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით საქართველოში წარმოიშვა სრულიად ახალი ტიპის, სოციალისტური სისხლის სამართალი. იგი იმთავითვე მოწოდებული იყო დაეცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან რევოლუციის მონაპოვარი და ხელი შეეწყო ახლად წარმოქმნილი სოციალისტური ურთიერთობების განმტკიცებისათვის. პირველ ხანს საბჭოთა საქართველოში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დეტალურად დამუშავებული, სისტემაში შოკვანილი ერთიანი საკანონმდებლო აქტი კოდექსის სახით. ასეთი აქტის შექმნისათვის საჭირო იყო გამოცდილება, საკმაოდ დრო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკის განზოგადება. სისხლის სამართლის ნორმები გაბნეული იყო სხვადასხვა აქტებში: კანონებში, დეკრეტებში, დადგენილებებში, მიმართვებში, ინსტრუქციებში, ბრძანებულებებში, ბრძანებებში, ცირკულარებში და ა. შ.

მართალია, მამინ სისხლის სამართლის ძირითად წყაროს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტები წარმოადგენდა, მაგრამ სამართალშემოქმედებას ხელისუფლების სხვა ორგანოებიც მავიუსტიციის სახალხო კომისარიატი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი და ა. შ. ეწეოდნენ.

ეს გასაგებიცაა, რადგან იმ ხანებში ჩამოთვლილი აქტის იურიდიულ-ტექნიკური დამუშავების საკითხი იჩრდილებოდა იმით, რომ აუცილებელი იყო სწრაფი რეაქცია მენშევიკური ელემენტებისა და დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ბრძოლის სხვადასხვა ფორმების მიმართ.

საკანონმდებლო აქტები, რომლებიც სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავდა, ამავე დროს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდის თავისებურ ფორმასაც წარმოადგენდა. რათა ეს პოლიტიკა უფრო გასაგები გამხდარიყო მასებისათვის, ნორმა სტრუქტურული თვალსაზრისით თავისებურად იყო აგებული. როგორც ცნობილია, სამართლებრივი ნორმა სამი ნაწილისაგან — დისპოზიციისა, ჰიპოთეზისა და სანქციისაგან შედგება. სისხლის სამართლის კანონში სამივე ეს ნაწილი თანაბარი სიმკვებით როდია გამოხატული. ფორმალურად გვაქვს მხოლოდ ჰიპოთეზა (მას აქ დისპოზიცია ეწოდება) და სანქცია. როდესაც კანონმდებელი რაიმე ქმედობას სისხლისსამართლებრივ შედეგს უკავშირებს, ამით კიდევაც კრძალავს მას; მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებით აღარ შეაქვს მას თვით კანონში ქმედობის პირდაპირი აკრძალვა (ქცევის წესი ანუ დისპოზიცია), მაგრამ იგი უდავოდ იგულისხმება. და აი, საბჭოთა საქართველოს პირველ დეკრეტებში ხორმის სამივე ნაწილი თვით კანონში იყო მოცემული; გარდა ამისა თითქმის



ყოველთვის დისპოზიცია შეიცავდა დანაშაულის შემადგენლობის ნიშანთა ძალიან დაწვრილებით ჩამოთვლას და აქვე — დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებასაც<sup>1</sup>.

სანქციათა უმრავლესობა აბსოლუტურად განუსაზღვრელი ხასიათისა იყო („დაისაჯოს რევოლუციური დროის კანონების სიმკაცრით“, „მიეცეს სასტიკ პასუხისგებაში“, „მიეცეს რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში“, „დაისაჯოს რევოლუციური დროის კანონების მთელი სისასტიკით“ და ა. შ.). ამრიგად კანონი მხოლოდ აღიარებდა ამა თუ იმ მოქმედებას ან უმოქმედობას დახაზულად და დასჯადა. ხოლო საკითხს სასჯელის სახისა და ზომის შესახებ სასამართლოს გადასაწყვეტად ტოვებდა. იმ დროის კანონმდებლობა იცნობდა აგრეთვე შედარებით განსაზღვრულ სანქციასაც. ამ შემთხვევაში მითითებული იყო მხოლოდ სასჯელის სახე. თითქმის არ გვხვდება სრულად განსაზღვრული სანქციები.

სისხლისსამართლებრივი ნორმები იმისდამიუხედავად, ზოგადი ხასიათის საკანონმდებლო აქტებში იყვნენ მოცემული, თუ კერძო ხასიათის სპეციალურ კანონებში, რომლებიც ამა თუ იმ სახის მართლურთიერთობებს აწესრიგებდნენ, ძირითად ისახავდნენ ძველი ბაზისის და მისი ზედნაშენის ლიკვიდაციასა და ახლების შექმნა-განმტკიცებას.

იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრილიყო, სისხლის სამართლის კანონმდებლობას უხდებოდა სრულიად განსხვავებულ ურთიერთობათა მოწესრიგება. ამის მიხედვით შესაბამისი ნორმები შეიძლება პირობითად სამი ძირითად ჯგუფად დაიყოს:

ა) ნორმები, მიმართული კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგობის დასაძლევად; ბ) ნორმები, რომლებიც ემსახურებოდნენ სახალხო მურხეობის აღდგენასა და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნას; გ) ნორმები, რომელნიც ხელს უწყობდნენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამღობვასა და კულტურული განვითარების უზრუნველყოფას.

განვიხილოთ თითოეული ამ ჯგუფის ნორმები ცალ-ცალკე.

ა. მოსალოდნელი იყო, რომ მენშევიკური ელემენტები კვლავაც გაუწევდნენ წინააღმდეგობას ახლად წარმოშობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და, მაშასადამე, მშრომელთა უფლებების დაცვა, სოციალისტური ეკონომიკის აგება შეუძლებელი იქნებოდა მტრული ძალების დათრგუნვის გარეშე. ამიტომ საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ 1921 წლის 26 თებერვალს გამოსცა ბრძანება № 12, რომელშიც მოუწოდებდა საქართველოს მშრომელებს შეუპოვრად ებრძოლათ საქართველოს ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ და მტკიცედ დაეცვათ რევოლუციური წესრიგი. სახელმწიფო ცხოვრების რომელიმე დარგში ანარქიას, რომ არ ეჩინა თავი, ევალებოდა „სახელმწიფოს ყველა დაწესებულებებს, ქალაქისა და ერობის თვითმმართველობებს, საქალაქო და საერობო მილიციას და საერთოდ ყველა თანამდებობის

<sup>1</sup> იხ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ბრძანება: 1921 წ. 14 მარტისა, № 16. „ყოფილი მემამულეების განკარგულებაში მყოფი ყოველგვარი სიმდიდრის განადგურების აკრძალვის შესახებ“ (საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ორცსა), ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 15. 1921 წ. 16 მარტის № 17 (ორცსა). იქვე, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 17).

<sup>2</sup> ორცსა, ფ. 281, ან. 1, საქ. 11, გვ. 6.



პირს, დარჩენილიყენენ თავიანთ ადგილებზე და განეგრძოთ ჩვეულებრივი მუშაობა“.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მთავრობა იძულებული იყო იმ ხანი-სათვის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებთან (კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულაციასთან, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან და თვითნებურ ჩხრეკა-დატუსაღებასთან) საბრძოლველად მოეწყო განსაკუთრებული კომისია. ეს კომისია შეიქმნა რევკომის 1921 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით<sup>3</sup>. მასში ჩამოთვლილია ხსენებული დანაშაულებრივი ქმედობები, მაგრამ მათი განსაზღვრება მოცემული არ არის.

სისხლისსამართლებრივი ნორმების შემცველ შემდგომ მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენდა დებულება რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ<sup>4</sup>. იგი ითვალისწინებდა ტრიბუნალების განსასჯელ ოთხი ჯგუფის დანაშაულებრივ ქმედობებს, ასეთები იყო: 1) კონტრრევოლუციური მოქმედებანი: შეთქმულება, აჯანყება, ტერორისტული აქტი, ჯაშუშობა და სახელმწიფოს ღალატი, აგრეთვე ყველა ისეთი მოქმედება, რომელიც აშკარა საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა საქართველოს წესწყობილებისათვის; 2) საბჭოთა მუშაკების მოქმედება ხელისუფლებისათვის სახელის გასატეხად; 3) თანამდებობის პირის განსაკუთრებით საშიში დანაშაული, რომელსაც მეტად საზიანო შედეგები მოსდევდა: საბოტაჟი, მექრთამეობა, გამოძალვა, სიყალბე, მითვისება, გაფლანგვა, უფლებების გადაჭარბება და უმოქმედობა 4) დეზერტირობა, დეზერტირობის წამქეზებლობა, დამფარველობა.

განსაკუთრებით გავრცელებულსა და საშიშ დანაშაულს საბოტაჟი წარმოადგენდა. ახალგაზრდა რესპუბლიკას მრავალი საკანონმდებლო აქტის გამოცემა დასჭირდა მასთან საბრძოლველად<sup>5</sup>. მათ საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ საბოტაჟის ზოგიერთ ნიშნებზე. ასეთად ითვლებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, დეკრეტების და სხვა საკანონმდებლო აქტების შოთხონათა უგულვებლყოფა, ნაციონალიზაციისათვის ხელის შეშლა, თანამდებობის მიტოვება და საერთოდ კონტრრევოლუციური მიზნით საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლუციის მონაპოვრის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო, რომ მტრულად განწყობილი ცალკეული პირები და დანაშაულებრივი ჯგუფები პროვოკაციული მიზნით ითვისებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებს, რაც უკანონოდ მოქალაქეთა ბინების ჩხრეკასა და მათ დაპატიმრებაში გამოიხატებოდა. ამ მოვლენის საშიში ხასია-

<sup>3</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 7.

<sup>4</sup> ორცხა, ფ. 517, ან. 1, საქ. 422, გვ. 28-33.

<sup>5</sup> საქართველოს რევკომის 1921 წლის 20 აპრილის დადგენილება „ფოსტა-ტელეგრაფის და რადიო-ტელეგრაფის დარგის სპეციალისტების რეგისტრაციის შესახებ“; დეკრეტი № 57 „გზათა სპეციალისტების აღრიცხვის შესახებ“, დადგენილება № 12 „სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტების და ტექნიკოსების მობილიზაციის შესახებ“, დადგენილება № 11 „მიწის მზომელთა მობილიზაციის შესახებ“ და სხვ.



თი წათელი იყო: იგი ძირს უთხრიდა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტს და ძტრულად განწყობდა მერყევ ელემენტებს. კონტრრევოლუციური ელემენტების თვითნებობისაგან მოქალაქეთა პირადი ხელშეუხებლობის დასაცავად საქართველოს რევკომმა გამოსცა ბრძანება № 31 „გაჩხრეკა-დაპატიმრების წესის შესახებ“<sup>6</sup>, რომელიც ითვალისწინებდა სასტიკ სასჯელს თვით დახვრეტამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ პირველსავე თვეებში შეიმუშავა ბანდიტიზმის თავისებური ცნება. მაშინ პოლიტიკური და სისხლის-სამართლებრივი ბანდიტიზმი მჭიდროდ იყო ერთმანეთში გადახლართული და ამიტომ იმდროინდელი კანონმდებლობაც არ ავლებდა ზუსტ ზღვარს მათ შორის. საქართველოს რევკომის 1921 წ. 3 ოქტომბრის დადგენილება № 79 „ბანდიტიზმის მოსასპობად სათანადო ღონისძიებების მიღების შესახებ“<sup>7</sup> აღიარებდა ბანდიტიზმს ყოველად საშიშ კონტრრევოლუციურ მოვლენად, მიუთითებდა მასთან უღმობელი ბრძოლის აუცილებლობაზე და ჩამოთვლიდა ამ ბრძოლის საშუალებებს.

ანტისაბჭოური ელემენტები თანამდებობის პირის ყოველ შეცდომას იყენებდნენ თავიანთი ცილისმწამებლური აგიტაციისათვის. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რევოლუციური კანონიერების დაცვას, მის განუხრელ განხორციელებას. სწორედ ამ საკითხს შეეხო საქართველოში რევკომის 1921 წ. 10 აპრილის ბრძანება № 33 მთავრობის დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების სისწორით გატარების შესახებ<sup>8</sup>. მთავრობა უსასტიკეს ზომებს მიმართავდა იმათ მიმართ ვინც ბრძანებას არ დაემორჩილებოდა.

ბ) ექსპლოატატორული კლასების დათრგუნვის ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო მათ არსებობის ეკონომიური საფუძველიც გამოსცლოდათ, საჭირო იყო ქვეყნის მთელი სიმდიდრის ნაციონალიზაცია და რიგი დარგების მონოპოლიზაცია.

საქართველოს რევკომმა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1921 წლის 14 მარტს გამოსცეს ერთობლივი ბრძანება № 16<sup>9</sup>. ნაციონალური სიმდიდრის დაცვის მიზნით, ბრძანება დამნაშავედ აცხადებდა და სასჯელით ემუქრებოდა იმას, ვინც გაანადგურებდა როგორც ყოფილი მთავრობის, ისე ყოფილი მემამულეების ყოველგვარ ქონებას.

ამ ბრძანებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა რევკომის № 17 დეკრეტში „მიწის შესახებ“<sup>10</sup>, რომლითაც აიკრძალა მიწების ყიდვა-გაყიდვა, იჯარით ან რაიმე სხვა სახით სხვისთვის გადაცემა; სასტიკ დანაშაულად ცხადდებოდა ჩამორთმეული ან ჩამოსართმევი მიწის დაზიანება ან გაფუჭება.

1921 წლის 19 აპრილის ბრძანება № 41-ით „ტყეების დაცვის შესახებ“<sup>11</sup>

<sup>6</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, ფურც. 31.

<sup>7</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 210, გვ. 115.

<sup>8</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 33.

<sup>9</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 15.

<sup>10</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 210, გვ. 24.

<sup>11</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 39.



რეგკომმა სასტიკი პასუხისმგებლობის მუქარით აკრძალა ტყის მოჭრა, თვითნებური გაჩეხვა და მისი სპეკულაციის მიზნით გაყიდვა.

საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველსავე დღიდან დიდ ყუბადღებას აქცევდა ბრძოლას სახალხო ქონების განიაგებისა და დატაცების წინააღმდეგ. მენშევიკური მთავრობის გაქცევისას მრავალი საწყობი და დაწესებულება უპატრონოდ იქნა მიტოვებული; ამით ისარგებლეს ბნელმა გლეხმენტებმა და დაიტაცეს სახალხო ქონება. საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობა, რომელიც ფხიზლად იდგა მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე ამას ვერ შეურიგდებოდა და ამიტომ მან 1921 წლის 16 მარტის № 17 ბრძანებით<sup>12</sup> წინადადება მისცა ყველა მცხოვრებს უკან დაებრუნებინა ქონება, რომელიც უკანონო გზით მის ხელთ აღმოჩნდა; ბრძანების დამრღვევი პასუხს აგებდა სამხედრო ღრისის კანონების წესით და მკაცრად დაისჯებოდა.

სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების წამყვანი დარგების მონოპოლიზაციას. აღსანიშნავია რეგკომის 1921 წლის 5 ივლისის დადგენილება „სახელმწიფოს კუთვნილი ქონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“<sup>13</sup>, რომლის დამრღვევი პასუხს აგებდა სისხლის საპართლის წესით და მის მიმართ გამოიყენებოდა სასჯელის უმაღლესი ზომა.

აღნიშნული დადგენილების შესავსებად და გასავითარებლად 1921 წლის 4 მარტს გამოიცა რეგკომის ბრძანება № 6 „საქართველოს ბაზრებზე შესყიდვისა და შესყიდულის საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ“.<sup>14</sup> სამოქალაქო თუ სამხედრო ორგანიზაციების თანამდებობის პირებს სასტიკად ეკრძალებოდა ბაზრებში რაიმე მასალის შესყიდვა და რესპუბლიკის გარეთ გატანა რეგკომის ნებართვის გარეშე.

ქართველი ხალხის ეროვნული სიმდიდრის, განსაკუთრებით მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთების, კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საგნების დაცვის მიზნით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 11 ივლისს გამოსცა დეკრეტი № 53 „საქართველოდან კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საგნების გატანის აკრძალვის შესახებ“<sup>15</sup>, დეკრეტი სასჯელით ემუქრებოდა იმას, ვინც ამ აკრძალვას არ შეეუბებოდა.

რეგკომის 1921 წლის 17 ივნისის № 40 დეკრეტით<sup>16</sup> გამოცხადდა აბრეშუმის ბარკით, ძაფით, „ნათურით“, „ნაბოლარითა“ და ყაჭით ვაჭრობის მონოპოლია. რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში მიეცემოდა ყველა, ვინც ხელს შეუშლიდა დეკრეტის განხორციელებას.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს ფული. საბჭოთა საქართველოში იმთავითვე ნათელი გახდა ამ სფერო-

12 ორცხა, ფ. 271, ან. 1, საქ. 12, გვ. 17.

13 ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 210, გვ. 74.

14 ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 13, გვ. 34.

15 ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 201, გვ. 109.

16 ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 210, გვ. 101.



როს სწრაფი მოწესრიგების, ფულის მტკიცე და ერთიანი კურსის დამყარების საუციულებლობა. პირველ ნაბიჯად ამ მიმართულებით გვევლინება რევკომის 1921 წლის 27 თებერვლის ბრძანება № 3,<sup>17</sup> რომლითაც რუსეთის რესპუბლიკის ფულის ნიშნებს ისეთივე ძალა ეძლეოდა, როგორც საქართველოს ბონებს ჰქონდა.

საქართველოს რევკომმა 1921 წლის 14 აპრილის № 38 ბრძანებით „სახელმწიფო ბანკისათვის ფასიანი ქაღალდების და ნივთების ჩაბარების შესახებ“,<sup>18</sup> „ფინანსიური სისტემის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ცნო სახელმწიფო ხაზინებისა და საკრედიტო დაწესებულებების ყველა თანამდებობის პირისა და მოსამსახურის მიერ სახელმწიფო ბანკისათვის ფასიანი ქაღალდების და ნივთების ჩაუბარებლობა, იმ თანხების ანგარიშის წარუდგენლობა, რომელიც მათ ჩაიბარეს შესანახად ან მიიღეს ანგარიშით ავანსის სახით“. ბრძანება მკაცრ სასჯელს აწესებდა აღნიშნული დანაშაულისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობად დარჩა დანგრეული და გაპარტახებული სახალხო მეურნეობა. მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მოშლილი იყო ტრანსპორტის მუშაობაც. მოძრავი შემადგენლობების კრიზისის ვითარებაში ზოგიერთი ორგანიზაცია დროზე არ ცლიდა ქვაბებსა თუ ვაგონებს, რაც იწვევდა მათ გაცდენას და აფერხებდა ტვირთის დროულად გადაზიდვას. რევკომის 1921 წლის 28 ივნისის ბრძანებით „რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვის წესების დარღვევის შესახებ“<sup>19</sup> ასეთი დარღვევა ისჯებოდა რევოლუციური დროის კანონების მთელი სისასტიკით.

გ) საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე დიდად ზრუნავდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად პირობას კი მუშა-მოსამსახურეებისათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა წარმოადგენდა. პირველ ხანებში ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა და ხშირად ყოფილი ექსპლოატატორული კლასები მტრულად იყვნენ განწყობილი, რაც შემთხვევაში საწარმოებს ხურავდნენ, მუშა-მოსამსახურეებს უმიზეზოდ ითხოვდნენ და სხვა. ასეთ მოვლენებთან საბრძოლველად 1921 წლის 4 მარტს გამოიცა რევკომის ბრძანება № 7 „მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისა და წარმოება-დაწესებულებების დახურვის აკრძალვის შესახებ“,<sup>20</sup> რომლითაც წესდებოდა მკაცრი პასუხისმგებლობა სათანადო მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის.

მეფის მთავრობა და ქართველი მენშევიკების ხელისუფლება არ ზრუნავდნენ ხალხის ფართო მასების განათლებისათვის; ისინი ყოველმხრივ აფერხებდნენ ეროვნული კულტურის განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ დონეს ხმარობდა სწავლა-განათლების გასაავრცელებლად, ხალხის კულტურული დონის ასამაღლებლად, გაძლიერებული ტემპით წარმოებდა წერა — კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1921 წლის 4 ივლისს გამოიცა დეკრეტი № 49 „მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ“.<sup>21</sup> წერა-კითხვის ყველა უცოდინარს 14-დან 50 წლამდე ევალებოდა ესწავლა საგანგებო კომისიის მიერ მოწყობილ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკ-

<sup>17</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 13, გვ. 6.

<sup>18</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 37.

<sup>19</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 11, გვ. 218.

<sup>20</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 12, გვ. 6.

<sup>21</sup> ორცხა, ფ. 281, ან. საქ. 201, გვ. 105.



ვიდაციო სკოლაში, რომლის სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო განათლების სახალხო კომისარიატის მიერ. დეკრეტის მე-8 მუხლით წესდებოდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმათთვის, ვინც თავს არიდებდა ამ ვალდებულების ასრულებას და შეეცდებოდა დადგენილი ღონისძიების ჩაშლას.

ქართველი კომუნისტებისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და ამ მიზნით ქართული წითელი არმიის შექმნა, იგი დაუყოვნებლივ შეიქმნა კიდევ, როგორც ამას საშინაო და საერთაშორისო ვითარება და საბჭოთა ხელისუფლების დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობა მოითხოვდა; ახლა, საჭირო იყო მისი გაძლიერება და გაზრდა მებრძოლთა იდეური მომზადების ღონის ამადლება. პირველი ღონისძიება, რომელიც ამ მიმართულებით განხორციელდა, იყო რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 31 მარტის დეკრეტი № 9 „ჯარის ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ“.<sup>22</sup> იგი სასჯელის უმადლეს ზომას უქადდა ყველას, ვინც ხელს შეუშლიდა მის წარმატებით შესრულებას.

რევოლუციამდე საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის საქმე უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას მტკიცე საფუძველი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჩაეყარა. 1921 წლის 24 ივნისს გამოიცა რევკომის დადგენილება № 35,<sup>23</sup> რომელიც ავალდებულებდა ყველა სამხედრო თუ სამოქალაქო ორგანიზაციასა და მცხოვრებს განუხრელად განეხორციელებინათ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მისი ხელქვეითი ორგანოების დადგენილებები, არა და მათ სასტიკი პასუხისმგებლობა მოელოდათ.

ამას მალე, 1921 წლის 16 ივლისს, მოჰყვა დეკრეტი № 56 „ერთდროული სანიტარული გადასახადის შესახებ“<sup>24</sup> „რომლის თანახმადაც მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს ევალდებოდა ერთდროული საგანგებო გადასახადი გადაიხდებ სხეულებათაგან თავდაცვის ფონდის შესაქმნელად; რევოლუციური დროის კასონების მთელი სისასტიკით დაისჯებოდა ყველა, ვინ ბოროტეულად ამ გადასახადის ვალეზაზე უარს იტყოდა.

ამგვარად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე პერიოდის ნორმატიული მასალის ნაწილობრივმა გაცნობამ გვიჩვენა, რომ ძასში საკმაო სიმკვეთრით აისახა სოციალისტური სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპები. დიდია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებისა და დადგენილებების როლი სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის განვითარებაში; ცალკეულ აქტებში გაფანტულმა სისხლის სამართლის ხორმებმა, რომლებიც ერთი შეხედვით გარკვეული სისტემის გარეშე იქნებოდნენ, ძირითადად საფუძველი ჩაუყარა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის შექმნას.

<sup>22</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 201, გვ. 20.

<sup>23</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 210, გვ. 70.

<sup>24</sup> ორცხა, ფ. 281, ან. 1, საქ. 201, გვ. 112.





# კონსტიტუციუკ უფდებათა და თავისუფდებათა უკთიერდამოკიდებუდების საკითხისათვის

ბ. აბუსაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებათა და თავისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულება საბჭოთა სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური და თანაც შედარებით შეუსწავლელი საკითხია. ეს წერილი არ ისახავს მიზნად ამ პრობლემის ამომწურავად გადაჭრას. აღნიშნული, უადრესად რთული და ისტორიულად ცვალებადი ცნებების დახასიათებისას ჩვენ შეგვხვებით კონსტიტუციური უფლებათა და თავისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების რამოდენიმე ისეთ საკითხს, რომელსაც არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება.

\* \* \*

სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა პოლიტიკურსა და იურიდიულ წინაპრობას სსრ კავშირის მოქალაქეობა წარმოადგენს. იგი წარმოიშვება ფიზიკური პირის დაბადების მომენტიდან. მოქალაქეობა არის სახელმწიფოსა და ფიზიკური პირის იურიდიული ურთიერთობა, რომლის ძალითაც შეიძინება კონსტიტუციით დადგენილი უფლებანი და თავისუფლებანი. მოქალაქეობის საფუძველზე პირი ხდება სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი, მასზე ვრცელდება კანონებისა და სახელმწიფოს სხვა ნორმატიული აქტების მოქმედება. მოქალაქეობისაგან გამომდინარეობს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება — დაიცვან და განამტკიცონ მოქალაქის უფლებანი და თავისუფლებანი.

ამრიგად, მოქალაქეობა თავისთავად არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ უფლებას ან უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობას. იგი არის მოქალაქის უფლებათა და მოვალეობათა აუცილებელი, ზოგადიურიდიული წინამძღვარი, რომელიც საბჭოთა ადამიანს საშუალებას აძლევს განახორციელოს თავისი უფლებები.<sup>1</sup>

<sup>1</sup> პიროვნების უფლების ინსტიტუტი ისტორიულად კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პროდუქტია. მიმართული იყო რა ფეოდალურ-აბსოლუტური წესწყობილების წინააღმდეგ, ეს იურიდიული ინსტიტუტი ბურჟუაზიის პირველ რიგში თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის სჭირდებოდა. უფლების თეორიის დანიშნულებას კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ის წარმოადგენდა, რომ გაცილიალებინა ზოგიერთი უფლება, გამოეტანა ასეთი უფლებები სამართლებრივი სისტემის გარეთ და ეჩვენებინა ისინი ბუნებით თანდაყოლილ უფლებებად. ბურჟუაზია ამ გზით უპირველეს ყოვლისა ცდილობდა კერძო საკუთრების უფლების გაღმერთებას და მის წარმოდგენას ისეთ პრინციპად, რომელიც მთელ სამართლებრივ სისტემას განსაზღვრავდა.

ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე ჩამოყალიბდა „კერძო“ და „საჯარო“ უფლებების ცნებები. მაგრამ ბურჟუაზიული პოზიტიური სამართალი ავებდა რა უფლებათა მთელ სისტემას ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან მოწყვეტით, მატერიალურ შინაარსს აცლიდა ამ უფლებებს. იგივე მეორედბა დღესაც. ბურჟუაზიული ავტორები განიხილავენ პიროვნების უფლებას ან როგორც ინდივიდუუმის შესაძლებლობას დაიკავოს აბსოლუტურად ნეგატიური პოზიცია სინამდვილის მიმართ (იხ. H. Kelsen, General Shery of Law aud State, Cambridge, 1945, გვ. 22), ან როგორც ინდივიდუუმისათვის სამართლით მინიჭებული პერროგატიკას (იხ. Л. Жюллио, Дела Марандьер, Гражданское право Франци, т. 1. М., 1958, გვ. 30) და სხვ.



მოქალაქის უფლებანი და თავისუფლებანი სოციალისტური დემოკრატიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას აძლიერებს და აღრმავებს უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს, ხელს უწყობს მათ სრულყოფას. უფლებანი და თავისუფლებანი შეუძლებელია მოვწყვიტოთ აგრეთვე სოციალისტური სამართლის სისტემას. სამართალი, როგორც წესი, წინ უსწრებს უფლებას და განაპირობებს მის ხასიათს. ცვლილებები საქართვებრივ ნორმაში იწვევს შესაბამის უფლებათა და თავისუფლებათა წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგრამ კონსტიტუციური უფლებანი და თავისუფლებანი, მათი წარმომშობი სამართლებრივი ფორმების ერთიანობის მიუხედავად, არ წარმოადგენენ ერთნაირ იურიდიულ კატეგორიებს. ეს იქიდანაც ჩახს, რომ უფლებებსა და თავისუფლებებს ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, ისე სკკპ პროგრამა. ლიტერატურაში კი მრავალი ავტორი ამ იურიდიულ კატეგორიებს აიგივებს.<sup>2</sup>

უფლება, როგორც იურიდიული კატეგორია, წარმოადგენს კონკრეტულ საქართვებრივ ურთიერთობაში პირისათვის კანონით აღიარებული და უზრუნველყოფილი შესაძლებელი ქცევის განსაზღვრულ ზომას (ფარგლებს).<sup>3</sup> ყველა სახის უფლებას თავისი ობიექტი აქვს, რომელსაც ის მატერიალური ან სულიერი სიკეთე შეადგენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დაკმაყოფილებული იქნეს პირველ რიგში ამ უფლების მატარებელი პირის სხვადასხვა მოთხოვნილება თუ ინტერესი. უფლება ყოველთვის კონკრეტულია და იგი სუბიექტის მიერ მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით ხორციელდება. იმ ავტორების საპასუხოდ, რომლებიც უფლების არსს მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ვალდებული პირის ქცევაში ხედავენ,<sup>4</sup> ს. ბრატუსი მიუთითებს, რომ ფიზიკური პირის უფლებას შინაარსად აქვს დადებითი მოქმედების შესრულება უფლებამოსილი პირის მიერ.<sup>5</sup>

ის, რომ უფლება უპირველესად პიროვნების ქცევის ზომას წარმოადგენს, რომ ის კანონით დადგენილი და უზრუნველყოფილი დადებითი მოქმედების შესაძლებლობაა და ეს მოქმედება განუსაზღვრელი არ არის, — ეს გარემოება წარმოადგენს პიროვნების უფლების არსის გამოვლინებას. მაგალითად, კონსტიტუციის მე-118 მუხლით გათვალისწინებული შრომის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სამსახურის განმასრუცილებელი პირი აღჭურვილია გარეგანი სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით; ამ დროს სახელმწიფო ორგანოს კომპეტენცია წარმოადგენს სათანადო პირის სახელმწიფო სამსახურის უფლების ზომას, მისი აქტივობის გამოვლინების მასშტაბს, რომლის თვითნებური შეცვლა კანონის გადახვევას წარმოადგენს.

კონსტიტუციური უფლებები ძირითადი, არსებითი მნიშვნელობის უფლებებია. სწორედ კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი, ერთობლადებული, ქმნიან საბჭოთა მოქალაქის სამართლებრივ სტატუსს, გამოწატავენ პიროვნების უფლებრივ მდგომარეობას სახელმწიფოში. თუ პირის სამოქალაქო უფლების განხორციელების სტიმული უმთავრესად პირადი ინტერესია (პირს შეუძლია

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Н. И. Титова, Свобода слова граждан СССР. Автореферат кандидатской диссертации, Львов, 1958, გვ. 10. И. Григораш, Моральная и правовая свобода личности. Автореферат кандидатской диссертации, Ленинград, 1963, გვ. 14 და სხვ.

<sup>3</sup> იხ. С. Н. Братусь, Советское гражданское право, М., 1950, გვ. 51.

<sup>4</sup> იხ. Теория государства и права, Макет, М., 1948, глава «Правоотношения в социалистическом обществе» (М. М. Агарков).

<sup>5</sup> იხ. С. Н. Братусь, დასახ. ნაშრომი; გვ. 9.



გამოიყენოს მემკვიდრეობის უფლება ანდა უარი თქვას მასზე), არ ითქმის იგივე ვე, მაგალითად, საბჭოთა მოქალაქის სააზრევნო უფლებზე. ჩვენი სახელმწიფო დანტერესებულია ყველა სახის კონსტიტუციური უფლება-მოვალეობის განხორციელებით, რადგან ეს აუცილებელი პირობაა თვით სახელმწიფო ხელისუფლების სწორი ფუნქციონერებისათვის.

მოქალაქის კონსტიტუციური თავისუფლებანი განსაზღვრულია უფლებებთან ერთად საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლებით<sup>6</sup>. სამართალში თავისუფლება დამოკიდებულია არა მარტო აუცილებლობის შეცნობაზე უშუალოდ, არამედ იურიდიული ნორმების სოციალურ შინაარსსა და იმ ფაქტორებზეც, რომლებიც ამ ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ. „გრომად არ ღირს „კრებების თავისუფლება“ მუშებისა და გლეხებისათვის — ამბობდა ვ. ლენინი, — თუ ყველა საუკეთესო შენობა ბურჟუაზიას აქვს ხელთ ჩადებული. ჩვენმა საბჭოებმა ყველა კარგი შენობა, ქალაქადაც და სოფლადაც, წართვეს მდიდრებს, ყველა ეს შენობა გადასცეს მუშებსა და გლეხებს მათი კავშირებისა და კრებებისათვის. აი ჩვენი თავისუფლება კრებისა — მშრომელებისათვის! აი ჩვენი საჭოთა, ჩვენი სოციალისტური კონსტიტუციის მთელი აზრი და შინაარსი“<sup>7</sup>.

მოქალაქის კონსტიტუციური თავისუფლება არის თავისუფლების ნორმატიული ფორმა, რომლითაც ვლინდება საზოგადოების, სახელმწიფოსა და მოქალაქის პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა ინტერესი. იურიდიული თავისუფლება ყოველთვის გულისხმობს შეგნებულ, მიზანდასახულ მოქმედებას კანონის საფუძველზე<sup>8</sup>. მიზანი კი, როგორც შეგნებულობის აუცილებელი ელემენტი, წარმოსადგენია მამინ, როდესაც მისი მიღწევა ობიექტურად სუბიექტურად დამოკიდებული.

სოციალისტურ სახელმწიფოში კონსტიტუციური თავისუფლებები, მათი განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის რეალური და უზრუნველყოფილი მოქმედების შესაძლებლობებია, რომლებიც ხორციელდება კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების მეშვეობით. მაგალითად, სსრ კავშირის კონსტიტუციის 125-ე მუხლით გათვალისწინებული სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლებათა განხორციელება გულისხმობს ისეთი სამართლებრივი ნორმების არსებობას, რომლებიც აწესრიგებენ საამისო უფლება-მოვალეობებს. იგივე შეიძლება ითქვას კონსტიტუციის 124-ე, 127-ე და 128-ე მუხლებით გათვალისწინებულ თავისუფლებათა შესახებაც. ყველა მსგავს შემთხვევაში სამართალი ახორციელებს პიროვნების თავისუფლების მოწესრიგების ფუნქციას სათანადო უფლება-მოვალეობათა დადგენით.

ამ გარემოებას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. სამართლდარღვევის გამო სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანომ პირველ ყოვლისა უნდა გაარკვიოს საკითხი, თუ რასთან აქვს საქმე, მოქალაქი

<sup>6</sup> იურიდიული თავისუფლებისაგან განსხვავებენ ნებისყოფის თავისუფლებას, ადამიანის თავისუფლებას ბუნების კანონებთან დამოკიდებულებაში, ისტორიულ თავისუფლებას, მორალურ თავისუფლებასა და სხვ., რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში განსხვავებულია ერთმანეთისაგან თავიანთი შინაარსით. იხ. ო. ბაკურაძე, თავისუფლება და აუცილებლობა, თბილისი, 1964.

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 71-72.

<sup>8</sup> იხ. В. Е. Давидович, Специфичность и многогранность категории свободы, «Философские науки», № 1, 1967, გვ. 16.



რეალურად არსებულ კონკრეტულ უფლებასთან თუ ქცევის იურიდიულ შესაძლებლობასთან, რომელიც შესაბამისი თავისუფლების შინაარსს შეადგენს. ამ საკითხის გარკვევა გავლენას ახდენს პიროვნების უფლების სამართლებრივი დაცვის ფორმების შერჩევაზე.

კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განხილულ თავისებურებანი მიუთითებს ამ ინსტიტუტების განსხვავებულ ხასიათზე. ამიტომ მათი ერთმანეთთან გაიგივება უმართებულოა. კონსტიტუციური თავისუფლებანი იურიდიული ბაზაა პიროვნების სხვადასხვა სახის უფლების წარმოშობისათვის.<sup>9</sup> ამ მხრივ მათ ბევრი საერთო აქვთ საბჭოთა მოქალაქის უფლებაუნარიანობასთან. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, უფლება-მოვალეობათა ქონების პოტენციურ შესაძლებლობას, მათ აუცილებელ იურიდიულ წინაპრობას წარმოადგენს. თავისუფლება, უფლებაუნარიანობისათვის მსგავსად, უკვე თავისთავად შეიცავს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების გარანტიებს,<sup>10</sup> რომლებიც შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა მოქალაქეს განახორციელოს სოციალიზმის ვითარებაში დამკვიდრებული ყველაზე დემოკრატიული უფლებები.

<sup>9</sup> პიროვნების უფლების წარმოშობის მომენტის საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე სადავოა. მაგალითად, თ. იოფეს განმარტებით, უფლების განხორციელების მოთხოვნა მაშინ წარმოიშვება, როცა პირისათვის ნებადართული მოქმედება შეუძლებელი ხდება სხვა პირის ხელშეწყობის გარეშე, ან მისი (რეალური თუ შესაძლებელი) მართსაწინააღმდეგო ქმედობის გამო. იხ. თ. იოფე, *Правоотношение по советскому гражданскому праву*, ЛГУ, 1949, გვ. 49.

<sup>10</sup> იხ. Ц. А. Ямпольская, *О субъективных правах советских граждан и их гарантиях* — «Вопросы советского государственного права», М., 1960, гв. 149.



# მოკავშირე კავშირების მინისტრთა საბჭოს კომპარტის გეგმითა და ეკონომიკური კავშირების დაკავშირებით

## 6. ნიშნა

ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ხორციელდება სკკპ ცენტრალურ კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმისა და XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასა და შემდგომ მძლავრ განვითარებას მატერიალური და ფინანსური რესურსების სრული გამოყენების, შრომის მწარმოებლობის ეფექტურობის, ზრდისა და მმართველობის ორგანიზაციის მრავალსაფეხურიანობის ლიკვიდაციის გზით. კერძოდ, ეკონომიკური რეფორმა ხელსაყრელ პირობებს ქმნის დარგობრივი სპეციალიზაციისა და საწარმოთა შრომის მწარმოებლური კავშირ-ურთიერთობის განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური დაინტერესების სწორი შერწყმისთვის მორალურ წახალისებასთან. საერთოდ იგი ყურადღების ცენტრში აყენებს ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალურ გამოყენების პრობლემას.

ამ პირობებში შემდგომ განვითარებას განიცდის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც, როგორც ცნობილია, ნიშნავს სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობის ძირითად საკითხებში გეგმური ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შეხამებას ოპერატიული ფუნქციების ცენტრალიზაციასთან, ინიციატივასა და დამოკიდებულებასთან ადგილებზე. ეკონომიკური რეფორმის გატარებისას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განხორციელების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო სრულყოფილი ხდება გეგმური ხელმძღვანელობა ეკონომიკისადმი, მეურნეობის დარგების ძირითადი პრობლემების გამოვლენა, წარმოების მიზანშეწონილი გაადგილება და ეკონომიკური რაიონების კომპლექსური განვითარება; ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება საწარმოთა მეურნეობრივი დამოუკიდებლობა, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის უფრო მოქნილი ფორმები და მატულობს კოლექტივის დაინტერესება საწარმოს მუშაობის შედეგებით.

მაშასადამე, ეკონომიკური რეფორმა სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის დებულებას, რომლის თანახმად „კომუნისტური მშენებლობა გულისხმობს მართვის დემოკრატიული საფუძვლების ყოველი ღონისძიებით განვითარებას, ამასთან სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელმძღვანელობის განვითარებასა და სრულყოფას. ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის ჩარჩოებში შემდგომად გადართობა ადგილობრივი ორგანოებისა და საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა და უფლებები, დაგეგმვაში სულ უფრო მზარდი როლი უნდა შეასრუ-



ლონ გეგმებმა და წინადადებებმა, რომლებიც მომდინარეობენ დაწყებული საწარმოებით“<sup>1</sup>.

ეკონომიკური რეფორმის გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შიდაუწყებრივი რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებას სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგისა და მშენებლობაში, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის გადიდებას, საწარმოო სიძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებას, შრომის მწარმოებლურობის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევათა დანერგვით, წარმოებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირებასა და დაგროვებათა გადიდებას.

გასაგებია, რომ ეკონომიკური რეფორმის გატარებამ და მასთან დაკავშირებით დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განხორციელებამ ახალ ვითარებაში განაპირობა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის გაფართოება, რაც უპირველეს ყოვლისა მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო ფუნქციების გაძლიერებაში მდგომარეობს. რაკი მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობა განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის განვითარების პროპორციებს, ასორციელებს დაგეგმვასა და მატერიალურ-ფინანსური სახსრების განაწილებას, ამიტომ სწორი ურთიერთდამოკიდებულების დამყარება დარგობრივ სამინისტროებსა, სხვადასხვა გაერთიანებებსა და მთავარ სამმართველოებს შორის უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

სკკპ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაყავს რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული საწარმოები და მთელი დარგები სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური წახალისების ახალ სისტემაზე.<sup>2</sup> მნიშვნელოვანი სიახლეა, სახელდობრ, მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების დაგეგმვაში. როგორც ცნობილია, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ამტკიცებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის შედგენის წესსა და ვადებს. ახლა მას მიეცა უფლება შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხუთწლიან და წლიურ გეგმებში გათვალისწინებული მრეწველობის პროდუქციის ნომენკლატურა.<sup>3</sup> მისი ფუნქციაა დაამტკიცოს მიმდინარე (წლიური) გეგმა და შეადგინოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა საკონტროლო ციფრების საფუძველზე და სამეურნეო კავშირ-ურთიერთობისა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაეკისრება კონტროლი გაუწიოს საწარმოთა საქმიანობის ზედმეტ რეგლამენტაციას ზემდგომი ორგანოების მხრივ, შემცირდეს გეგმური მაჩვენებლების რაოდენობა (დაგეგმვის ახლებური წესის თანახმად ახალი სისტემით მომუშავე საწარმოსათვის დირექტიულად დამტკიცებული გეგმური მაჩვენებლები შემცირებულია რვაგდე) და ზორცი-

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 96.

<sup>2</sup> СП СССР, 1966, № 3, стр. 28; № 6, стр. 62; № 9, стр. 94.

<sup>3</sup> СП СССР, 1965, № 19—20, стр. 153.



ელდებოდეს მრეწველური საწარმოს უფლებები, რომლებსაც სოციალისტური საწარმოს დებულება ითვალისწინებს.<sup>4</sup>

მრეწველური წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაგეგმვის რეალურობა დიდად არის დამოკიდებული მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე; გეგმური დავალება უნდა ემყარებოდეს სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამიტომ მრეწველური წარმოების განვითარების გეგმების შედგენისას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო წყვეტს ამ გეგმურ დავალებათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს. ეკონომიკური რეფორმა ხელს უწყობს ამ საკითხების სწორ გადაწყვეტასაც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 2 ოქტომბრის კანონის მიხედვით (მრეწველობის მართვის ორგანოთა სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ) მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოები, რომლებიც ექვემდებარებიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესს, ამტკიცებს ასეთი მომარაგების გეგმებს, შეაქვს მათში შესწორებანი შესაბამისად საკავშირო მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებისა მიწოდებათა გეგმის ცვლილებათა შესახებ. კონტროლი გამოყოფილი მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების მიმართ, რაც იქითკენაა მიმართული, რომ საწარმოებში არ გროვდებოდეს ზედმეტი მოწყობილობა და არ იყოს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დიდი ზენორმატული მარაგი, წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით იზრდება სახელმწიფო კრედიტის როლი მრეწველობის განვითარებასა და წახალისებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ შეიმუშავეს ღონისძიებათა ფართო სისტემა იმისათვის, რათა კრედიტმა აქტიურად შეუწყოს ხელი საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესებას. მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს, საკრედიტო გეგმით დადგენილ ფარგლებში, გრძელვადიანი დაკრედიტების ლიმიტებს ცალკეული დარგებისათვის. რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობას შეუძლია გადაანაწილოს ეს ლიმიტები.<sup>5</sup>

კრედიტებს წარმოების ტექნიკური აღჭურვის ისეთი ღონისძიებისათვის (ახალი ტექნიკის დანერგვა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია და ა. შ.), რომლებიც ხორციელდება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის გადაჭარბებით და დაკავშირებული არაა ახალ მშენებლობასთან, იძლევიან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სამშენებლო ბანკი, მაგრამ მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობით და იმ შემთხვევებში,

<sup>4</sup> სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 მარტის დადგენილება № 235.

<sup>5</sup> Заседание Верховного Совета СССР шестого созыва (шестая сессия) 1 — 2 октября 1965 г. Стеногр. отчет, 1965, гв. 254. Закон Верховного Совета Грузинской ССР от 5 ноября 1965 г.

<sup>6</sup> СП СССР, 1965, № 14, стр. 106.



როცა ერთი ღონისძიებისათვის საჭირო თანხა აღემატება 500 ათას მანეთს. ასეთივე წესით ხდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დაკრედიტება. ამგვარად, კონტროლი საკრედიტო პოლიტიკის სწორი გატარებისადმი საერთო-საკავშირო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში წარმოადგენს ახალ მნიშვნელოვან ელემენტს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციისა.

ცნობილია, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულია აგრეთვე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები. თუ აქამდე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო არ იღებდა უშუალო მონაწილეობას ასეთი საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობის ხელმძღვანელობაში, ახლა მას დიდი უფლებები აქვს მინიჭებული ამ მიმართულებით. მაგალითად, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს განიხილოს საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მიერ თავიანთი საქვეუწყებო საწარმოებისათვის შემუშავებული გეგმების პროდუქტები (გარდა თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გეგმებისა), შესაბამის დარჯში მრეწველობის განვითარებისა და გაადვილების სქემები, აგრეთვე დავალებანი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასეთი საწარმოების დაპროექტების, არსებულთა რეკონსტრუქციისა და თუ გაფართოების შესახებ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუძლია შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წინადადებანი ასეთი გეგმების შეცვლისა თუ დაზუსტების თაობაზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტში გადაირიცხება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მოგების ნაწილი, რაც უთუოდ მატერიალურადაც დააინტერესებს მოკავშირე რესპუბლიკას. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიენიჭა აგრეთვე იმის უფლება, რომ რესპუბლიკის საბჭოებისათვის გამოიყენოს 50%-დე იმ პროდუქციისა, რომელსაც რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამრეწველო საწარმო იძლევა გეგმის გადაჭარბებით.

ასეთი ზეგეგმური პროდუქციის გამოყენება რესპუბლიკის საჭიროებისათვის დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკას ეკონომიკის აღმავლობას, რადგან საერთო-საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქციის ხვედრიწონა რესპუბლიკის მრეწველურ პროდუქციაში ჩვეულებრივ საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1966 წელს საქართველოში საერთო-საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქცია (ქიმიური მრეწველობის, მძიმე მრეწველობის ზოგიერთი დარგის, მანქანათმშენებლობის პროდუქცია და ელექტროენერჯის ძირითადი მასა) შეადგენდა რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის ნახევარზე მეტს.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელს ჩვენს ქვეყანაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მისი ხარისხის და ასორტიმენტის შემდგომ გაუმჯობესებას, რათა იგი თავისი ეკონომიურობით, საიმედოობით, გამძლეობითა და გარეგნული დამუშავებით არ ჩაუვარდებოდეს საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს. ამ ამოცანების გადასატრელებად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აღჭურვა უფლებით დაადგინონ თავიანთ რესპუბლიკებში წარმოებული მრე-



წველური პროდუქციის სტანდარტები ტექნიკური პირობები, პრესკურანტები და საბითუმო ფასები.<sup>7</sup>

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 იანვრის დადგენილებამ „მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“<sup>8</sup> მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დიდი უფლებები მიანიჭა მშენებლობის დარგში. რესპუბლიკაში ყველა სამშენებლო სამუშაოს თვით რესპუბლიკის ორგანიზაციები შეასრულებენ მიუხედავად იმისა, თუ უწყებრივად ვის ექვემდებარებიან შემკვეთი დაწესებულებანი; და თუ აქამდე ასეთ სამუშაოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახმშენის ორგანიზაციები ასრულებდნენ, ამჟამად შექმნილია სამრეწველო მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური საშინისტროები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ყველა სამშენებლო სამუშაოს რესპუბლიკაში.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დიდი როლი აქვს განკუთვნილი აგრეთვე იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სახელდობრ, 1966 წლის 16 მაისის დადგენილებამ „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შესახებ“ — გაითვალისწინა 1966 წლის 1 ივლისიდან კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა შესაბამისი კატეგორიების სატარიფო განაკვეთების მიხედვით<sup>9</sup>; მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშავეს და, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, დაამტკიცეს რეკომენდაციები კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების შესახებ.<sup>10</sup> ამ რეკომენდაციათა საფუძველზე კოლმეურნეობებმა უკვე განახორციელეს სხვადასხვა ღონისძიებანი შრომის გარანტიული ანაზღაურების შემოღების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილება გაფართოვდა აგრეთვე მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის საქმეში სახელდობრ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის დადგენილებით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახალი უფლებები მიენიჭა ირიგაციისა და მელიორაციის ღონისძიებათა გასატარებლად, წყლის მეურნეობის ობიექტების დაპროექტება — მშენებლობის გასაუმჯობესებლად, ამ დარგებში კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებისათვის და ა. შ.<sup>11</sup>

<sup>7</sup> СП СССР, 1965, № 2, стр. 11; СП СССР, 1966, № 19, стр. 170.

<sup>8</sup> СП СССР, 1967, № 5, стр. 57; იხ აგრეთვე «Экономическая газета», 1967, № 11, გვ. 30.

<sup>9</sup> СП СССР, 1966, № 9, стр. 92.

<sup>10</sup> იქვე, № 20, стр. 106.

<sup>11</sup> СП СССР, 1966, № 11, стр. 114; „პრავდა“, 1967 წ. 12 აპრილისა.



სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების მეტი ეკონომიკური წახალისების მიზნით და იმისათვის, რათა გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება მუშაობის შედეგებით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1957 წლის 15 აპრილს მიიღეს დადგენილება „საბჭოთა მეურნეობის და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“.

ეს დადგენილება ავალბებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაიყვანოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე საბჭოთა მეურნეობის პირველი ჯგუფი; შემდეგში ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას მოკავშირე რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ შესაბამისმა მინისტრთა საბჭოებმა.

ამგვარად, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კოპეტენცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით. უეჭველია, რომ ეკონომიკური რეფორმის გატარების შემდგომ პროცესში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კვლავაც გაუჩნდება ახალი ფუნქციები, რომელთა განხორციელება სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვის საფუძველზე შესაძლებელი გახდება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის შემდგომი გაფართოებით, რაც მომავალშიც შეხამებული უნდა იყოს საწარმოთა დამოკიდებულების მაქსიმალურ განვითარებასთან.



## ბრალის ტყუილის განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში<sup>1</sup>

პროფ. თ. წამბეთელი

ჩემთვის მეტად ძნელია გესაუბროთ ჩემს თემაზე იმ საინტერესო მოხსენების შემდეგ, რომელიც თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს ეხებოდა.<sup>2</sup> და თუ მე ვკადნიერდები მოგიწოდოთ, ცოტა ხნით მაინც თვალი მოაშორეთ „ვარსკვლავიან ცა“ ჩვენს ზემოთ“ და იგი ჩვენს ცოდვილ დედაშიწას მიაპყროთ, ამას მახედვინებლს ღრმა შეცნება, რომ აღამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები, რომელთა მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა და თვით იმ მეცნიერებათა შეუფერხებელი განვითარება, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს კოსმოსი და გვეპყრო. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას პასუხისმგებლობის პრობლემა წარმოადგენს, ხოლო ამ პრობლემის ბირთვი არის ბრალის პრინციპი, რომელიც ჩემი მოხსენების საგანია.

თანამედროვე სისხლის სამართალში პასუხისმგებლობა ორ ძირითად საფუძველზეა აგებული. ერთია ქმედობის გარეგანი მხარე და ის ობიექტური საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომელიც მას მოჰყვა. მეორე — პირის შინაგანი ფსიქიკური დამოკიდებულება ამ გარეგანი შედეგისადმი, მისი ბრალი. ისტორიულად ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის პრინციპი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. არა მარტო საზოგადოების განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე, არამედ საშუალო საუკუნეებშიც კი აღამიანი პასუხს აგებდა სისხლის სამართლის წესით მართლმოდენ ზიანის მიყენების ფაქტისათვის. და მხოლოდ სისხლის სამართლის მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად კაცობრიობამ მიაღწია იმას, რომ უკუაგდო ობიექტური შერაცხვა და ბრალი პასუხისმგებლობის პრინციპად გამოაცხადა.

მაგრამ არსად არ მიუღწევია ბრალის პრინციპს განვითარების ისეთ მაღალ დონემდე, როგორზედაც მას საბჭოთა სისხლის სამართალი აყენებს. იგი პირდაპირ აღბეჭდილია 1958 წლის „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ მე-3 მუხლში, სადაც ნათქვამია: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“.

<sup>1</sup> მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1967 წლის 25 თებერვალს.

<sup>2</sup> პროფ. თ. წამბეთლის მოხსენებამდე აკადემიის საერთო კრებამ მოისმინა აკად. ე. ხარაძის მოხსენება თემაზე: „არამდგრადი ვარსკვლავების როლი და მათი სპექტროფოტომეტრიული შესწავლა“.





ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის პრინციპს არ უარყოფენ არც ბურჟუაზიული კრიმინალისტები. უფრო მეტიც, თვით პაპი პიუს XII თავის 1953 წლის 3 ოქტომბრის მიმართვაში კრიმინალისტთა VI ინტერნაციონალური კონგრესისადმი აღნიშნა: „სისხლის სამართლის ხელშეუხებელ პრინციპად უნდა დარჩეს დებულება, რომ სამართლებრივი „სასჯელი“ მხოლოდ იქ შეიძლება იქნეს გამოყენებული, სადაც „ბრალი“ არსებობს“.

მაგრამ ერთია სიტყვით აღიარო ბრალი პასუხისმგებლობის საფუძვლად, და სულ სხვაა განახორციელო ეს პრინციპი ცხოვრებაში. ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის დახვეწილობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გვესმის თვით ბრალისა და მისი ფორმების ცნებანი. აი, სწორედ ამ საკითხზე მინდა შევამჩირო თქვენი ყურადღება, ვინაიდან მხოლოდ მისი განხილვა ნათელყოფს, თუ როგორ ხორციელდება ჩვენში პრინციპი — *nullum crimen sine culpa* (არ არის დანაშაული ბრალის გარეშე) და რა საწინააღმდეგო ტენდენციები შეიმჩნევა უკანასკნელ ხანს ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში დიდხანს დამკვიდრებული იყო ასეთი განსაზღვრება: ბრალი არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. ბრალის ასეთი წმინდა ფსიქოლოგიური განსაზღვრება შემდგომ არასაკმარისად იქნა აღიარებული. მთელმა რიგმა საბჭოთა კრიმინალისტებმა მიუთითეს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის არა მარტო სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობის, არამედ აგრეთვე სამართლისწილობის თვალსაზრისითაც აუცილებელია ბრალის ცნებაში ზნეობრივი ვაკიცხვის მომენტიც იქნეს შეტანილი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღიქმება სასჯელი მესამე პირებისა და თვით მსჯავრდებულის მიერ როგორც სამართლიანი და ზნეობრივად გამართლებული რეაქცია საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის მიმართ. ამის შესაბამისად გავრცელება მოიპოვა ბრალის ისეთმა განსაზღვრებამ, რომელშიც ასახულია ვაკიცხვის მომენტი და რომლის შედეგადაც ბრალი წარმოგვიდგება არა როგორც ინდივიდუალური ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, არამედ როგორც ანტისოციალური ან, ყოველ შემთხვევაში, ასოციალური ფსიქიკური განწყობა: ეს განსაზღვრება შემდეგია: ბრალი არის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი, რომელიც იმსახურებს ვაკიცხვას სოციალისტური საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური შეხედულებების თვალსაზრისით. როგორც ხედავთ შეფასებითი ელემენტის შეტანას ბრალის ცნებაში არ გამოუძევებია ამ ცნებიდან ფსიქოლოგიური ელემენტები. ბრალი რჩება ქმედობისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულად, რომელიც ორი ფორმით—განზრახვით და გაუფრთხილებლობით გამოვლინდება, და არ გადაიქცევა მოსამართლის შეფასებით მსჯელობად. ზნეობრივი ვაკიცხვა წარმოადგენს ნიშანს, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ფსიქიკურ განწყობასთან, განმარტავს და აღრმავებს მას.

ვაკიცხვის ელემენტი შეაქვთ ბრალის ცნებაში ბურჟუაზიულ კრიმინალისტებსაც. მაგრამ მათთან ბრალის ცნების ჩამოყალიბება სულ სხვა გზით წარიმართა. როდესაც თავდაპირველად ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ე. წ. ნორმატივისტული შეხედულება წარმოიშვა, მისი წარმომადგენლები როდი აძეგებდნენ ბრალის ცნებიდან განზრახვას და გაუფრთხილებლობას, არამედ განსაზღვრავდნენ მათ როგორც უარყოფითი შეფასებითი მსჯელობის საგანს, თუმცა იმთავითვე ბრალის ძირითად ნიშნად თვითონ ეს უარყოფითი შეფასება მიაჩნ-





დათ. ბრალი, ამტკიცებდნენ ისინი, არის შეფასებითი მსჯელობა, ე. ი. მოსამართლის მსჯელობა გასაკიცხაობის შესახებ, ხოლო ამ მსჯელობის საგანს ან მის აუცილებელ პირობას განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენს. მაგრამ დროთა განმავლობაში ნორმატივისტული შეხედულება ბრალზე იმ გზით წავიდა, რომ, როგორც თვით თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტიები აღნიშნავენ, „ბრალის ცნება სრულად გათავისუფლდა სუბიექტურ-ფსიქიკური ელემენტებისაგან და მხოლოდ ნორმატიული ელემენტი — გასაკიცხაობა (Vorwerfbarkeit) შეინარჩუნა“ (ველცელი).

ბრალის ცნებიდან მისი ფაქტიური, ფსიქოლოგიური ელემენტის გამოთიშვა საბედისწერო აღმოჩნდა ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპისათვის. ბურჟუაზიულმა სასამართლომ გამოიყენა ეს ბრალის პრინციპის სრული გათვლევისათვის. აი, რას ვკითხულობთ გერმანიის ფედერაციული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში: „უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ გამოიხატება განზრახვითა და გაუფრთხილებლობით, არამედ მას ემატება გასაკიცხაობა (Vorwerfbarkeit) ამ შინაგანი პროცესებისა. ბრალის ასეთი ცნება არ გამოიხატავს შესაძლებლობას გავკიცხოთ პირი ისეთი შედეგისთვისაც, რომელიც არ არის მოცული არც განზრახვით და არც გაუფრთხილებლობით“. მეორე გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „თუ პირს ბრალი მიუძღვის საფრთხის შექმნაში, იგი უნდა დაისაჯოს არა მარტო იმ მავნე შედეგისათვის, რომელზედაც მისი განზრახვა ან გაუფრთხილებლობა ვრცელდებოდა, არამედ იმისთვისაც, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ვინც ბრალულად გააღო კარი, საიდანაც სხვადასხვაგვარი ბოროტება შეიძლება შემოიპაროს, იგი პასუხს აგებს ყოველი ფაქტიურად განხორციელებული მავნე შედეგისათვის, თუნდაც მისი გათვალისწინება შეუძლებელი ყოფილიყო“.

ბურჟუაზიული კრიმინალისტიები ცდილობენ ამ რეაქციულ შეხედულებას თეორიული საფუძველი შეუქმნან. მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტი შვეიკერტი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სისხლის სამართლით განზრახი და გაუფრთხილებელი ქმედობის გარდა გასაკიცხავად უნდა ჩაითვალოს რისკის შემქმნელი მოქმედებაც, თუნდაც მის ჩამდენს არც ჰქონოდა შესაძლებლობა ამ მოქმედების შედეგების გათვალისწინებისა.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ბრალის პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ დადგენილიყო სუბიექტური წინამძღვრები, რომლებსაც საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და განსაზღვრული ხნობრივი შეხედულებების მიხედვით შეიძლება სუბიექტის ფსიქიკური განწყობის გაკიცხვა დაუკავშირდეს. ასეთ მინიმალურ ფსიქიკურ კავშირად შედეგთან თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში აღიარებული იყო პირის სუბიექტური შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა მავნე შედეგი და აეცდინა იგი. ასეთი შესაძლებლობის გარეშე ბრალი და პასუხისმგებლობა არ არსებობს: *ultra posse nemo tenetur* (რაც შესაძლებლობას აღემატება, პასუხისმგებლობას არ იწვევს).

ამის მაგივრად თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტიები ამკარად უბრუნდებიან ობიექტური შერაცხვის პრინციპს მისი იმ სახით, რომელიც სამუალო საუკუნეებში იყო გავრცელებული და შემდეგი ფორმულით გამოითქმოდა: *Versanti in re illicita imputantur omnia que sequuntur ex delicto* (ვინც უკანონო საქციელი ჩაიდინა, პასუხს აგებს ყოველი შედეგისათვის, რაც ამ საქციელს მოჰყვა).



\* \* \*

საბჭოთა სისხლის სამართალში ბრალის ცნების განვითარებასთან ერთად განვითარდა, გაღრმავდა და დახუსტდა ბრალის ფორმების, ე. ი. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებიც.

თავდაპირველად საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში განზრახვა განსაზღვრული იყო როგორც პირის მიერ იმის გათვალისწინება, რომ მის მოქმედებას მავნე შედეგი მოჰყვა. მას შემდეგ, რაც ბრალის ცნებაში მორალური გაცეცხვის ელემენტი იქნა შეტანილი, წამოიჭრა საკითხი: ამოიწურება განზრახვა დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტიური ელემენტების გათვალისწინებით, თუ ბრალის ეს უფრო მძიმე ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც პირს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი?

თუ უფრო აღრინდელ საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ განზრახვისათვის საკმარისია დანაშავე თავისი ქმედობის ფაქტიურ მხარეს ითვალისწინებდეს, დროის განმავლობაში თანდათან ფეხს იკიდებს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც განზრახვი ბრალი უნდა მოიცავდეს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასაც. ამასთანავე, საბჭოთა კრიმინალისტებს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება ესპით არა როგორც ქმედობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თვითონ დანაშაულის მიერ, ე. ი. შეფასება მისი საკუთარი, სუბიექტური შეხედულების მიხედვით, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება არ შეესაბამებოდეს ამ ქმედობის შეფასებას სოციალისტური საზოგადოების მიერ, არამედ როგორც იმის შეგნება, რომ ასეთი ქმედობა იმსახურებს გაციცხვას სოციალისტური საზოგადოების ნორალურ-პოლიტიკური შეხედულებების თვალსაზრისით.

აღნიშნულმა დებულებამ თავისი გამოხატულება პოვა ახალ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. სახელდობრ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლის თანახმად (საქართველოს სსრ სსკ მე-9 მუხ.), „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების თუ უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას“.

როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, განზრახვისათვის აუცილებელია აქტუალური შეგნება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და საქმარისა არ არის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების მარტო შესაძლებლობა. მაშასადამე, ასეთი შეგნების გარეშე განზრახვა არ არსებობს. ამავდროს, თუ შეცდომა ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაში გამოწვეული იყო პირის გაუფრთხილებლობით, ე. ი. თუ პირს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა თავისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, იმ პირობით, რასაც ვიხსენებთ, თუ ეს დანაშაული შეიძლება გაუფრთხილებლობითაც იქნეს ჩადენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედობის ჩამდენი სრულიად თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

საბჭოთა სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებულია ეგრეთწოდებული „ბრალის თეორია“, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: განზრახვა ითვლება მოქმედების ერთ-ერთ ელემენტად, რომლისთვისაც აუცილებელია მარტოდენ მოქმედების ფაქტიური მხარის გათვალის-



წიება. ბრალის ცნებაში კი, რომლისგანაც, როგორც დადინახეთ, განზრახვა და გაუფრთხილებლობა გაძევებულია, შეაქვთ ქმედობის მართლწინააღმდეგობის შეგნების შესაძლებლობა. ამგვარად არა მარტო გაუფრთხილებლობის, არამედ განზრახვის დროსაც საკმარისად ითვლება მართლწინააღმდეგობის შესაძლებლობა.

„ბრალის თეორია“ შეგნებულ წინააღმდეგობას არსებული მართლწესრიგისადმი არსებითად აიგივებს ამ მართლწესრიგის შეუცნობელ დარღვევასთან, რითაც აქარწყლებს განსხვავებას განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, ე. ი. ბრალის ორ არატოლფასოვან ფორმას, შორის. ასეთი შეხედულება აშკარად ეწინააღმდეგება ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის პრინციპს, ვინაიდან მისი მიხედვით პირს შეიძლება მსჯავრი დაედოს როგორც შეგნებულ სამართალდამრღვევს მაშინაც კი, როდესაც მას თავისი ქმედობის გასაკიცხაობა შეგნებული არ ჰქონდა.


\*\*\*

ბრალის მეორე, საყოველთაოდ აღიარებულ ფორმას გაუფრთხილებლობა წარმოადგენს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებამდე გაუფრთხილებლობის ძირითადი სახე, დაუდევრობა, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ობიექტური მასშტაბის მიხედვით იყო განსაზღვრული: „დაუდევრად მოქმედობს ის, ვინც არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა იგი“.

კანონის ეს ფორმულა არ აკმაყოფილებდა არც სისხლის სამართლის თეორიას და არც სასამართლო პრაქტიკას. მართლაც, „გათვალისწინების ვალდებულებების“ დარღვევა ასახულებს მხოლოდ ქმედობის ობიექტურ მართლწინააღმდეგობას და არა ბრალს. შეიძლება ადამიანმა დაარღვიოს წინდასხედულებისა და მზრუნველობის ნორმა, რომელიც ობიექტური მასშტაბით განიზომება და განსაზღვრული პროფესიისა და საქმიანობის საშუალო ადამიანს ველისხმობს, და მაინც ამ ნორმის შეუსრულებლობაში ბრალი არ მიუძღვრდება. ფორმულა, რომლითაც ობიექტური მასშტაბი სარგებლობს—„შენ ვალდებული ხარ, მასთანადამე შენ შეგიძლია“—კარგი პედაგოგიური პრინციპია, მაგრამ არ გამოადგება კონკრეტული ადამიანის პასუხისმგებლობის დასახულებსათვის. სასამართლოს საქმე აქვს არა საშუალო ადამიანთან, არამედ კონკრეტულ დაშინაშავესთან მთელი მისი ფსიქიკურ-ფიზიკური თავისებურებებით. და თუ ამ ინდივიდს მოქმედების ჩადენის დროს არ ჰქონდა შესაძლებლობა მავნე შედეგი გაეთვალისწინებინა და აეცდინა, ჩვენ ვერ ვაგებინებთ მას პასუხს იმისათვის, რომ იგი წინდასხედულობისა და სიბრძნის მხრივ საშუალო ადამიანს ვერ გაუტოლდა. ამიტომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში წამოყენებულ იქნა მოთხოვნა, რომ დანაშაულებრივი დაუდევრობის ცნებაში აისახოს სუბიექტური შესაძლებლობის მომენტი. ეს შეხედულება გაზიარებულია საბჭოთა კანონმდებლის მიერ, რომელიც დაუდევრობას ახლა შემდეგნაირად განსაზღვრავს: „დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩათვლება, თუ მისი ჩამდენი პირი არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი“.

უკანასკნელი წლების ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ამ საკითხშიც საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა. თუ წარსული საუკუნისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სა-





კითხი იმაზე იდგა, არის თუ არა საზოგადოდ დანაშაულებრივი დაუდევრობა ბრალის ფორმა, თუ მთელი რიგი კრიმინალისტები ემხრობოდნენ ჰეგელს იმაში, რომ სისხლის სამართლის უმართლობად მხოლოდ შევგნებული უმართლობა შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო პასუხისმგებლობა დაუდევრობისათვის მიაჩნდათ „მორაცხ პასუხისმგებლობად შემთხვევისათვის“, დღევანდელი ბურჟუაზიული კრიმინალისტები არათუ არ მოითხოვენ გაუფრთხილებლობითი ბრალის ამოღებას პოზიტიური სამართლიდან, არამედ პირიქით, ბრალის ამ ფორმის შინაარსს, რამდენადაც შესაძლებელია, აფართოებენ.

გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის გაფართოებას ჩვენი საუკუნის ტექნიკურ პროგრესს უკავშირებენ. ტექნიკის განვითარების დღევანდელ საფეხურზე, როდესაც ხელთა აქვთ ისეთი მძლავრი საშუალებანი, რომ მათი არასწორად გამოყენება განუსაზღვრელად მრავალი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს მოასწავებს, ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტის აზრით, „სუბიექტური ელემენტების მოჭარბებით მხედველობაში მიღებამ უკან უნდა დაიხიოს. უარი უნდა ვთქვათ ინდივიდუალურ შეფასებებზე და წინ წამოვიწიოთ საქმის ობიექტური მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივ სიკეთეთა ქმედით დაცვას ვერ მივაღწევთ!“

პასუხისმგებლობის რეობიექტივიზაციისაკენ მოწოდება არა მარტო აფართოებს გაუფრთხილებლობითი ბრალის ცნებას, არამედ მუქარას უქმნის მთელი თანამედროვე სისხლის სამართლის ძირითად, ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც თავისი მხრით, როგორც დავინახეთ, ზნეობრივ საწყისებს ეყარება. და თუ თავის დროზე კრიტიკული ფილოსოფიის ფუძემდებელი კანტი აცხადებდა: „ორი რამ იწვევს ჩემში დიდ გაოცებას—ფარსკვლავიანი ცა ჩემს თავზე და ზნეობრივი კანონი ჩემს შიგნით“—ო, თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტები ამტკიცებენ, რომ „ზნეობრივი კანონი ჩემს შიგნით“ უნდა უტყუდებელ იქნეს და მისი ადგილი დაიკავოს მხოლოდ სახელმწიფოს კანონმა, რომელიც უნდა ვითმინოთ, თუნდაც იგი ზნეობრივ კანონს ეწინააღმდეგებოდეს.

რასაკვირველია, ვერ უყარვყოფთ, რომ მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ხელთ იგდო ბირთვული ენერგია და დაიონებული სხივები, საჭირო ხდება დაცვითი ბოროტად გამოყენებისაგან. ცნობილია, რომ დაიონებული გამოსხივება, რადიოაქტიური ნივთიერებანი, ნიუკლიდები, იზოტოპები და მისთ. სულ უფრო მეტი რაოდენობით იხმარება რადიოლოგიაში, მედიცინაში, მრეწველობაში. ამის გამო იზრდება მათგან განუყრელი პოტენციური საშიშროება, რაც სერიოზულ ამოცანებს აყენებს ყველა იმის წინაშე, ვისაც საქმე აქვს შესაბამის პროცესებთან. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ პოტენციურ საშიშროებას შეიძლება ვებრძოლოთ სისხლისსამართლებრივი სასჯელით, მით უმეტეს, სასჯელით, რომელიც მხოლოდ ზიანის მიყენებასთან იქნება დაკავშირებული და არა ბრალთან. ასეთი სასჯელი არათუ ჭკუას ასწავლის ან გააფრთხილებს ვისმე, პირიქით, ადამიანს ხელს ააღებინებს სიფრთხილის ღონისძიებებზე, თუკი მას ეცოდინება, რომ მავნე შედეგის შემთხვევაში მას ვერავითარი წინდახედულება და მზრუნველობა ვერ იხსნის პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ ატომურ დელიქტებთან საბრძოლველად სისხლის სამართლის რეობიექტივიზაცია, ე. ი. ძველისძველ, ობიექტური შერაცხვის პრინციპთან დაბრუნება კი არ უნდა მოხდეს, არამედ უმჯობესია შემუშავდეს ისეთი ქმედითი გამაფრთხილებელი ზომები ატომური ენერგიისა და დაიონებული სხივების გამოყენებასთან



დაკავშირებით, დაწესდეს ისეთი მკაცრი კონტროლი, რომ მოისპოს თვით შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენისა. ცხადია, ასეთ ღონისძიებათა გამომწვევაებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იურისტებმაც. როგორც ჩანს, საჭირო იქნება სპეციალური „ატომური კანონის“ შემუშავება, მსგავსად შვეიცარიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნებისა.

ყოველ შემთხვევაში არავითარი საჭიროება არ არის გადავუხვიოთ პასუხისმგებლობის ზნეობრივ საწყისებს, რომელთაც გაუფრთხილებლობითი დელიქტების მიმართ კანონი ასე აყალიბებს: „შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი“.

\*\*\*

უკანასკნელი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ეს არის მძიმე შედეგის მიხედვით კვალიფიცირებული დელიქტები.

ზოგჯერ მძიმე შედეგი შეტანილია თვით დანაშაულის შემადგენლობაში. როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ვარემოება (იხ. მაგ. სისხ. სამ. კოდექსის მუხ. 110, ნაწ. 2, მუხ. 117, ნაწ. 3). კანონის თანახმად, მძიმე შედეგის მიხედვით კვალიფიცირებული დელიქტის დროს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ძირითად შედეგზე უფრო მძიმე შედეგი უფრო მკაცრ სასჯელსაც იწვევს.


ასეთ შემადგენლობათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათს საკანონმდებლო განსაზღვრებაში არ არის აღნიშნული, საჭიროა თუ არა არსებობდეს ბრალი უფრო მძიმე შედეგის მიმართ. დანაშაულის შემადგენლობის ამგვარი აგებულება საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ მძიმე შედეგი უფრო მკაცრი სასჯელის ობიექტურ პირობად ჩაითვალოს.

აღნიშნული შემადგენლობები მრავლად იყო თითქმის ყველა ბურჟუაზიულ კოდექსში, მაგრამ ზოგ მათგანს შემდგომ დაემატა მუხლები, რომლებიც სპეციალურად მიუთითებდნენ, რომ მძიმე შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სასჯელის ვადიდების საფუძველი, როდესაც მას უკავშირდება ბრალი გაუფრთხილებლობის სახით მაინც. სხვათა შორის ასეთი ნორმა შეტანილ იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გერმანიის 1871 წლის კოდექსში 1953 წლის 4 აგვისტოს ნოველით.

ლიტონი მავნე შედეგისათვის პასუხისმგებლობის იდეას დიდხანს ებრძოდნენ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერების პროგრესული წარმადგენლები. ისინი ამბობდნენ: „ასეთი პასუხისმგებლობა ობიექტური შერაცხვის რუდიმენტია და საბოლოოდ უნდა იქნეს უკუგდებული, „ეს არის უსამართლობა, რომელიც ზიანს აყენებს ჩვენ სამართალს“, „ობიექტური შერაცხვის სარეველაა, რომელიც უნდა მოისპოს“ „სამართლებრივი პარაგრაფები“-ო და ა. შ. დღეს კი აღნიშნული იდეა სულ უფრო მეტ დამცველს პოულობს თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტიკებს შორის. ვეგნერი, ბაუმანი და სხვა თანამედროვე კრიმინალისტები პირდაპირ გმობენ ასეთი პარაგრაფების გაუქმებას და მათ აღდგენას მოითხოვენ.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვაგვარად წყვეტდა ამ საკითხს თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თავდაპირველად გაბატონებული იყო შეხედულება, რომ უფრო მძიმე შედეგი სასჯელის ვადიდების ობიექტურ პირობას წარმოადგენს, ხოლო პასუხისმგებლობა ცდილობდნენ შეეზღუდათ მიზეზობრივი კავშირის ცნების ვიწრო გაგებით.





მოგვიანებით შემოიჭრა საწინააღმდეგო ტენდენცია. იგი მკვეთრად არის გამოთქმული განჩინებაში პლატოვის ცნობილი საქმის გამო (1943 წ. 30. XII); „სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში დამნაშავე პირი პასუხს აგებს 142 მუხლის მე-2 ნაწილით, თუ... მას მიუძღვის გაუფრთხილებლობითი ბრალი სიკვდილის მიმართ“.

მაგრამ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ყოველთვის როდი იცავდნენ ამ დებულებას. ხშირად ისინი სჯერდებოდნენ ბრალის დამტკიცებას ძირითადი შედეგის მიმართ, ხოლო მის დამტკიცებას მძიმე შედეგების მიმართაც აღარ დაეძებდნენ.

ბრალგარეშე პასუხისმგებლობის მკვეთრად აკრძალვისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, პირველად საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ისტორიაში, შეტანილია მუხლი მე-11 შემდეგი შინაარსისა:

**„პასუხისმგებლობა იმ შედეგისათვის, რომელიც კანონით გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება.“**

თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამ ნორმამ საბჭოთა კრიმინალისტიკის დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი იურისტი პროფ. პიონტოვსკი წერს: „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის დადგენილებამ ხელი უნდა შეუწყოს ბრალის პრინციპის თანმიმდევრულ გატარებას და დახმარება გაუწიოს სასამართლო პრაქტიკას, რათა... პასუხისმგებლობაში არ მიეცეს ის პირი, ვისაც მძიმე შედეგის მიმართ ბრალი არ ჰქონია“. ანალოგიურად აფასებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლს სხვა ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი—პროფ. დურმანოვი, პროფ. ნიკოფოროვი, პროფ. ბულატოვი და სხვ.

\*\*\*

სოციოლოგიური სკოლის მამამთავარი, გამოჩენილი მეცნიერი ფ. ლისტინი ჩვენი საუკუნის დასაწყისში წერდა: „ბრალის შესახებ მოძღვრების სიღრმით განიზომება სისხლის სამართლის განვითარება“-ო. თუ ამ საზომს საბჭოთა სისხლის სამართალს მივუყენებთ, შეუძლებელი იქნება არ ვაღიაროთ მისი და მასთან ერთად მთელი საბჭოთა სამართლებრივი კულტურის მეტად მაღალი დონე, რაც ამავე დროს ზნეობრივი კულტურის მაღალი დონის დამადასტურებელიც არის.



# ქანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განჩინების თა ღადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

თ. ცაგურია,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1. სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებმა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებმა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ოცდამეექვსმეტე თავი) გააფართოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს დადგენილებათა<sup>1</sup> გადასინჯვის ფარგლები. მათი ძალით, პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გარდა, როგორც ეს მანამდე იყო, ამ წესით შეიძლება გადასინჯოს აგრეთვე ყველა განჩინება თუ დადგენილება, რომელიც აბრკოლებს საქმის შემდგომ მსვლელობას (საქმის მოსპობა, სარჩელის განუხილველად დატოვება, მხარეთა მორიგების დამტკიცება და ა. შ.) ასევე საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის ისეთი განჩინება თუ დადგენილება, რომლითაც გამოტანილია ახალი გადაწყვეტილება ან შეცვლილია ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება.

2. გადაწყვეტილების სისწორის შემოწმება, როგორც წესი, ხდება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე საკასაციო ინსტანციის მიერ, რაც შემოწმების ჩვეულებრივ სტადიას წარმოადგენს. მაგრამ თუ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მას შემდეგ, რაც ის კანონიერ ძალაში შევიდა, მისი შემოწმება ზედამხედველობის წესით ან ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო უნდა მოხდეს. ჩვენს საპროცესო ლიტერატურაში წამოყენებული იყო წინადადება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ დადგენილებათა შემოწმების ამ ორი სახეობის გაერთიანების შესახებ,<sup>2</sup> მაგრამ სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებმა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებმა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს და სავსებით სამართლიანად შეინარჩუნეს ორივე აღნიშნული ინსტიტუტი.

თუმცა გადაწყვეტილების შემოწმებას ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ბევრი რამ აქვს საერთო, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ ორივე შემთხვევაში შემოწმების ობიექტს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება წარმოადგენს, რომელმაც სადავო ურთიერთობის მიმართ ისეთივე შეუზღუდავი ავტორიტეტი და საყოველთაოდ სავალდებულო ძალა მოიპოვა, როგორც სამართლის ნორმას ახსიათებს,<sup>3</sup> მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც არის, სახელდობრ, განსხვავდება საქ-

<sup>1</sup> სიტყვა დადგენილებას ზოგჯერ ვხვარობთ კრებითი მნიშვნელობით, სასამართლოს ყველა სახის დადგენილების (გადაწყვეტილება, განჩინება, საკუთრივ დადგენილება) აღსანიშნავად.

<sup>2</sup> იხ. ი. ბარდინი. Основы гражданского судопроизводства Союза ССР и союзных республик, «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 1, стр. 38.

<sup>3</sup> Д. И. Полумордвинов. Законная сила судебного решения, Тбилиси, 1964, стр. 25—28.



მის გადასინჯვის საფუძვლები, განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილება, იმ პირთა წრე, რომელთა განცხადებითაც გადასინჯვა ხდება და ა. შ.

ზედამხედველობის წესით სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები იგივეა, რაც საკასაციო წარმოებაში: გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ან მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა, ე. ი. სასამართლოს ისეთი შეცდომა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, საქმე სწორად რომ ყოფილიყო წარმართული და ადგილი არ ჰქონოდა სამართლის ნორმების დარღვევას ან არასწორ გამოყენებას.

აღნიშნულის გამო შემოწმება საკასაციო და ზედამხედველობის წესით, ვარდა საქმეში დაშვებული შეცდომის გამოსწორებისა, მიზნად ისახავს აგრეთვე შემდეგისათვის ასეთი შეცდომების აღმოფხვრას და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას.

ხოლო, როცა საქმე ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გადასინჯება, მაშინ საკითხი ეხება ისეთი დადგენილების გაუქმებას, რომელიც შეესაბამებოდა საქმის თავდაპირველად განხილვის დროს სასამართლოსათვის ხელმისაწვდომ ფიქტიურ გარემოებას და არ შეიცავდა შეცდომას არც მატერიალური და არც საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების მხრივ, ახლა კი აღარ ეთანხმება საქმის ნაშედეგ ვითარებას, როგორცაა იგი შემდეგ გამოირკვა, მაშასადამე, სამართლის ნორმის დარღვევასაც შეიცავს და ამრიგად, დაუსაბუთებელი და უკანონოა.

3. ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის გადასინჯვის საფუძვლები ამოწმურსავე ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 346-ე მუხლში. მათი ასეთი შემოფარგვლა იმის მომასწავებელია, რომ ახალი კოდექსი უწინდელეზე უფრო მტკიცედ იცავს დადგენილების სტაბილურობას, მის კანონიერ ძალას.

აღნიშნული მუხლის პირველსავე პუნქტში მოცემულია ახლად აღმოჩენილი გარემოების ცნების განსაზღვრა. მის თანახმად, ასეთად ჩაითვლება გარემოება, რომელიც არსებობდა საქმის განხილვის მომენტში, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, მაგრამ არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო<sup>4</sup> ცნობილი განმცხადებლისა და სასამართლოსათვის.

ამის მრავალი მაგალითია სასამართლო პრაქტიკაში სამემკვიდრო საქმეებზე. აი, ერთი მათგანი: — სასამართლომ გადაწყვიტა დავა სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ, ხოლო შემდეგ გამოირკვა, რომ არსებობს სამკვიდროს დამტოვებლის ანდერძი, რომლითაც მთელი ქონება ერთ მხარეს ერგება. ამიტომ შესაბამის პირს უფლება აქვს მოითხოვოს სამკვიდროს გაყოფის გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო.

ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი, რომელიც გადაწყვეტილების შემდეგ, ანდა საქმის ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ამგვარი გარემოება შეიძლება გახდეს მომავალში სარჩელის აღძვრის საბაბი და არა უკვე დამთავრებული საქმის განახლების საფუძველი. ახლად აღმოჩენილად არ ჩაითვლება ისეთი გარემოებაც, რომელიც თუმცა არსებობდა დავის განხილვის დროისათვის და არ იყო ცნობილი სასამართლოსათვის, მაგრამ საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი არ არის.

<sup>4</sup> სიტყვები „და არც შეიძლება ყოფილიყო ცნობილი“ სიახლეს წარმოადგენს, 1931 წლის სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის შესაბამის 287-ე მუხლში არ იყო.



4. ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო სასამართლოს დადგენილებების გადასინჯვის საფუძვლებს შორის საქართველოს სსრ სსსკ 346-ე მუხლში ცალცალკე აღნიშნული მტკიცებულების სიყალბე (მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ტყუილი დასკვნა და ა. შ.) და დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც საქმის განხილვის დროს საქმის მონაწილეება, მათმა წარმომადგენლებმა ანდა მოსამართლეებმა ჩაიდინეს.<sup>5</sup>

მტკიცებულებათა სიყალბე და ასევე საქმის მონაწილეთა თუ მოსამართლეთა დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განაჩენის გამოტანა შეუძლებელი გახდა ამინსტიის, ხანდაზმულობის ვადის გასვლის, ან ბრალდებულის გარდაცვალების გამო, სასამართლოს, რომელიც ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო დადგენილების გადასინჯვის საკითხს იხილავს, უფლება აქვს სათანადო გამოკვლევის შედეგად თვითონვე დაადგინოს არსებობს თუ არა სათანადო ფაქტები.<sup>6</sup>

სასამართლოს დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი პრეიუდიციული ძალის აქტს (სასამართლოს გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თუ დადგენილება, სხვა რომელიმე ორგანოს დადგენილება) ემყარება, ეს აქტი კი შემდეგში გაუქმდა და ამით სასამართლოს შესაბამის დადგენილებას ნიადაგი გამოეცალა.

შავალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას წარდგინებით გარდაბნის რაიონის სახალხო სამართლოს 1965 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო. წარდგინება იმით იყო დასაბუთებული, რომ გვარლიანის მოთხოვნა ფეიქრიშვილისა და კოჩაროვისადმი მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე გამომდინარეობს სისხლის სამართლის საქმიდან და მისი სარჩელის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება ემყარება იმავე სახალხო სასამართლოს 1965 წლის 3-4 თებერვლის განაჩენს, რომლითაც მოპასუხეებს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის III ნაწილის მიხედვით; მაგრამ შემდეგ კოჩაროვის მიმართ განაჩენი გაუქმდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ და საქმე ამ ნაწილში მოისპო, რადგან კოჩაროვის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა არ აღმოჩნდა. ამ საბუთით წარდგინებაში აღნიშნული იყო, რომ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელიც ეხება გვარლიანის სარჩელს კოჩაროვის მიმართ, საფუძველი გამოეცალა და უნდა გაუქმდეს.

5. იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ აღძრან საკითხი, რომ სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება თუ დადგენილება გადასინჯიოს ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე საზედამხებდევლო წესის.

<sup>5</sup> ვეჭვობთ მართალია ლ. მოროზოვა, რომლის აზრითაც მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უკანონო დადგენილება უნდა გაუქმდეს ზედამხებდევლობის წესით და არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. იხ. Л. С. Морозова, Пересмотр решений по вновь открывшимся обстоятельствам, М. 1959, 33-45.

<sup>6</sup> იხ. Л. С. Морозова, მით. ნაშრომი, 33., Научно-практический комментарий к ГПК РСФСР, М., 1963, стр. 392—393.





როგორც ცნობილია, დაინტერესებული პირის მიერ საჩივრის შეტანა საზედამხედველო წესით თავისთავად არ იწვევს მხარეებისათვის რაიმე შედეგს. ასეთი საჩივარი შეიძლება მხოლოდ გახდეს საბაზი იმისი, რომ სათანადო თანამდებობის პირმა გამოითხოვოს საქმე და ერთპიროვნულად გადაწყვიტოს, არის თუ არა საფუძველი ზედამხედველობის წესით პროტესტის შესატანად. თუ ეს თანამდებობის პირი დაასკვნის, რომ სამისო საფუძველი არ არის, იგი დაუბრუნებს საქმეს იმავე სასამართლოს, რომლისაგანაც გამოითხოვა, და შედეგს აცნობებს განმცხადებელს.

სულ სხვა მდგომარეობაა ახალი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლში მითითებულ ყველა პირს (მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს) შეუძლია უშუალოდ მიმართოს სათანადო სასამართლოს და მოითხოვოს საქმის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო.

სასამართლოს დადგენილების გადასინჯვა ამ მოტივით შეიძლება მოხდეს აგრეთვე პროკურორის წარდგინებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეების ინიციატივით.<sup>7</sup>

6. საკითხი, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს განცხადებანი წარდგინება, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გადასინჯოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სხვადასხვაგვარად იყო გადაწყვეტილი მოკავშირე რესპუბლიკების ადრინდელი კანონმდებლობით. ამ საკითხის გადაწყვეტა სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველების 53-ე მუხლით მიენდო მოკავშირე რესპუბლიკებს და ეს საკითხი ახლაც სხვადასხვანაირად წყდება.

რსფსრ-ის ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 334-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ განცხადება თუ წარდგინება ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც ეს დადგენილება გამოიტანა.


საქართველოს სსრ რესპუბლიკის კოდექსი აწესებს, რომ ასეთი განცხადებებისა თუ წარდგინების განხილვა ზემდგომი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს და არა იმისას, რომელმაც საქმე განიხილა და დადგენილება გამოიტანა.

ეს საკითხი, რომელიც დღესაც იწვევს დავას ლიტერატურაში,<sup>8</sup> ვფიქრობთ სწორად არის გადაჭრილი საქართველოს სსრ სსს კოდექსით. სასამართლოს გადაწყვეტილება სოციალისტური მართლმსაჯულების უდიდესი მნიშვნელობის აქტია და საბჭოთა კანონმდებლობა იცავს მის სტაბილურობას. საქართველოს სსრ სსსკ 211-ე მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ „საქმეზე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება არა აქვს თვითონ გააუქმოს ან შეცვალოს იგი“. თუ კანონმდებელი ასეთი სიფრთხილით ეკიდება გადაწყვეტილებას, რომელიც გამოცხადებულია, მაგრამ ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა, მით უმეტეს აუცილებელია მისი სიმტკიცის დაცვა, რო-

<sup>7</sup> საყურადღებოა, რომ რსფსრ-ის ახალი სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 334-ე მუხლი სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირებს ასეთ უფლებას არ ანიჭებს.

<sup>8</sup> იხ. Научно-практический комментарий к Основам гражданского судопроизводства Союза ССР и союзных республик, М., 1963, стр. 195.





ცა იგი კანონიერ ძალაშია შესული, და სავალდებულოდ არის გამხდარი ორგანიზაციისა თუ მოქალაქისათვის და ხშირად უკვე აღსრულებულიცაა.

საკითხის გადაწყვეტა, გადასინჯოს თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, იმავე სასამართლოა მიერ, რომელმაც იგი დაადგინა მით უფრო არ უნდა იყოს სწორი, რომ ამ სასამართლოს რამდენჯერმე მოუხდება ერთისა და იმავე საქმის განხილვა: ერთხელ, როდესაც იგი დავას არსებითად წყვეტდა, მეორედ თავისავე გადაწყვეტილების გაუქმებისას ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო და მესამედ მაშინ, როცა კვლავ მიიღებს ამავე საქმეს განსახილველად.

ზემდგომ სასამართლოდ, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო დადგენილების გადასინჯვის შესახებ მიჩნეულია: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და ავტონომიური ოლქის სასამართლო.

სახელდობრ, რომელი სასამართლო ჩათვლება ზემდგომად ამა თუ იმ დადგენილების შესამოწმებლად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით განმარტებული არ არის. ამ საკითხის დაზუსტებაში გვეხმარება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზემდგომი პროკურორი საქმეს უგზავნის „იმ სასამართლოს ზემდგომ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი ან განჩინება, რის გადასინჯვაც უნდა მოხდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განახლების წესით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეს საქართველოს სსრ პროკურორი უგზავნის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს“.

ამრიგად, საკითხი, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სათანადო განცხადება თუ წარდგინება გადასაწყვეტია იმის მიხედვით, თუ რომელი სასამართლოს დადგენილება არის გასაჩივრებული ახლად აღმოჩენილი გარემოების მოტივით. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი სწორად არის გადაწყვეტილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლით და საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იყოს ანალოგიური ნორმა შემდეგი სახით: „საკითხს გადასინჯოს თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება თუ დადგენილება ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გადაწყვეტს შესაბამისი სასამართლოს პრეზიდიუმი ან შესაბამისი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია“.

საქმის განხილვის შედეგად პრეზიდიუმი გამოიტანს დადგენილებას, ხოლო სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია განჩინებას“.

7. ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო განცხადებისა თუ წარდგინების განხილვისას სასამართლო არკვევს, არის თუ არა ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ სსს კოდექსის 346-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საამისო საფუძველი, და, თუ დარწმუნდება მის არსებობაში, შეამოწმებს დადგენილების სისწორეს ახლად აღმოჩენილი გარემოების გათვალისწინებით, ე. ი. გაარკვევს, შეიძლება თუ არა ძალაში დარჩეს დადგენილება ამ ახლი გარემოების ვითარებაში და ამისდა მიხედვით გამოიტანს თავის განჩინებას (დადგენილებას).

ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის შემოწმების დროს სასამართლოს უფლება არა აქვს თვითონ არსებითად გადაწყვიტოს დავა ან შეცვალოს



კანონიერ ძალაში შესული დადგენილება. მას შეუძლიან მხოლოდ ფილოს განცხადება თუ წარდგინება, გააუქმოს დადგენილება<sup>9</sup> და გადასცეს საქმე სათანადო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის, ანდა თუ განცხადება ან წარდგინება უსაფუძვლოდ მიიჩნია უარყოს საქმის გადასინჯვა თავისი დასაბუთებული განჩინებით (დადგენილებით).

საკითხი იმ განჩინების გასაჩივრებისა, რომლითაც ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო დადგენილების გადასინჯვა-გადაუსინჯველობა გადაწყდა, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რომელმა სასამართლომ განიხილა განცხადება თუ წარდგინება ამის თაობაზე.

საქართველოს სსრ სსსკ 351-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ასეთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კოდექსის 34-ე თავში გათვალისწინებული წესების მიხედვით.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მუხლის ეს ნაწილი სწორი არ არის. ოცდამეტოთხმეტე თავი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრებას თუ გაპროტესტებას, ხოლო კანონიერ ძალაში შესული დადგენილების გადასინჯვის საკითხს ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო წყვეტს შესაბამისი სასამართლოს პრეზიდიუმი ან სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

ჩვენს სინამდვილეში ასეთი საქმეების განხილვა უმეტესად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში ან პრეზიდიუმში ხდება, ხოლო არც აღნიშნული კოლეგიის განჩინება და მით უმეტეს, არც პრეზიდიუმის დადგენილება არ შეიძლება გასაჩივრდეს კოდექსის ოცდამეტოთხმეტე თავში მოცემული წესების მიხედვით.

ვინაიდან 351-ე მუხლის მეორე ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობას და შეიძლება სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობა გამოიწვიოს, საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სსრ სსსკ 351-ე მუხლის აბზაცი: „ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ განცხადების ან წარდგინების დაკმაყოფილების ან უარის თქმის გამო მიღებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის ოცდამეტოთხმეტე თავში გათვალისწინებული წესის მიხედვით“ ამოღებული იქნეს.<sup>10</sup>

ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო დადგენილების გადასინჯვის თაობაზე გამოტანილი განჩინების (დადგენილების) გასაჩივრების საკითხი, ჩვენიაზრით, არც საჭიროებს საკანონმდებლო წესით ცალკე გადაწყვეტას. ზემდგომი სასამართლოს განჩინება (დადგენილება) საერთოდ კანონიერ ძალაში შედის და მისი გადასინჯვა შეიძლება ზედამხედველობის წესით იმ სასამართლოების მიერ, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 335-ე მუხლში.

<sup>9</sup> ამასთან ერთად გასაუქმებელია საკასაციო ან საზედამხედველო ინსტანციის მიერ გამოტანილი დადგენილება, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება, განიხნება თუ დადგენილება ძალაში იქნა დატოვებული.

<sup>10</sup> საქართველოს სსრ სსსკ-ის სამართლის საპროცესო კოდექსი ანალოგიურ ნორმას არ ითვალისწინებს.



# სახელმწიფო მმართველობისა და პროფკავშირის ორგანოების დასკვნების გამოყენება სამოქალაქო სამართლის პროცესში

თ. ლილუაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სახელმწიფო მმართველობისა და პროფკავშირების ორგანოების დასკვნებს სასამართლოები ხშირად იყენებენ ზოგიერთ კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტის დროს. ასეთია მაგალითად, საქმეები, რომლებიც ეხება მუშა-მომსახურის დასახსიჩრებით ან მისი ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მშობლის უფლების ჩამორთმევას ან შვილად აყვანის გაუქმებას, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ბინის რეკონსტრუქციასა და სხვა. ზემოაღნიშნული ორგანოების დასკვნების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლი და აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მთელი რიგი დადგენილებანი.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა კანონი, კერძოდ მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები, არ ადგენს ამ ორგანოების დასკვნების გამოყენების წესებს. ვფიქრობთ სწორედ ამითაა გამოწვეული სასამართლო პრაქტიკაში ამ დასკვნების გამოყენების საკითხების გამო ერთიანი აზრის უქონლობა.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ შევეხებით ორ ასეთ საკითხს: ა) რა გარემოების დასადგენად შეიძლება ჩაიბას პროცესში სახელმწიფო მმართველობისა თუ პროფკავშირების ორგანო და ბ) სავალდებულოა ასეთი ორგანოს დასკვნა სასამართლოსათვის, თუ იგი უნდა შეფასდეს მის მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის საფუძველზე.


1. სახელმწიფო მმართველობისა თუ პროფკავშირების ორგანოები, როგორც ცნობილია, იძლევიან დასკვნებს ისეთ საკითხებზე, რომელთა გარკვევა სპეციალურ ცოდნას საჭიროებს.<sup>2</sup> მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სასამართლოს ყოველთვის შეუძლია დასკვნების მისაცემად ჩააბას პროცესში აღნიშნული ორგანოები იმ საკითხების გამო, რომელთა გარკვევა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

სახელმწიფო მმართველობის თუ პროფკავშირების ორგანოები სასამართლოს შეუძლია ჩააბას პროცესში დასკვნის მისაცემად, იმ შემთხვევაში, თუ ჯერ ერთი, ამას ითვალისწინებს კანონი, ინსტრუქცია ან ამ ორგანოს დებულება, და, მეორეც, ისეთი სპეციალური საკითხების გასარკვევად, რომლებიც ამ ორგანოს ადმინისტრაციულ — სამართლებრივ კომპენტენციაში შედის.

<sup>1</sup> Постановление Пленума Верховного суда СССР от 23 октября 1963 г. «О судебной практике по искам о возмещении вреда», «Советская юстиция», 1963 г. № 24.

<sup>2</sup> თ. ლილუაშვილი, სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმები სამოქალაქო სამართლის პროცესში, „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 2





მაგალითად, სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოები (სამთო, სანიტარული, სახანძრო და სხვა), აგრეთვე, პროფკავშირის ტექნიკური ინსპექციის ორგანოები, იმ შემთხვევაში, როცა საწარმოში უბედური შემთხვევა მოხდება, მოვალენი არიან გამოიკვლიონ მისი მიზეზები, კერძოდ, გამოწვეულია ეს უბედური შემთხვევა უსაფრთხოების ტექნიკის ნორმებისათვის წესების დარღვევით.

ამავე საკითხის გამორკვევა აუცილებელია სასამართლოსათვის, როცა იგი იხილავს დავას წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის, მუშაკის დასახიჩრების, ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ასეთი საქმეების გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა დაადგინოს დაარღვია თუ არა ზიანის მიმყენებელმა ორგანიზაციამ უსაფრთხოების ტექნიკა, რაში გამოიხატება ეს დარღვევა და გამოწვეულია თუ არა მავნე შედეგი სწორედ უსაფრთხოების შესაბამისი ნორმების თუ წესების დარღვევით.

ამრიგად, აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვისას, სასამართლოებს შეუძლიათ, საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პროცესში დასკვნის მისაცემად ჩააბას შესაბამისი ზედამხედველობის ორგანოები იმ საკითხების გასარკვევად; დარღვეულია თუ არა მოპასუხე ორგანიზაციის მიერ უსაფრთხოების ტექნიკის ნორმა ან წესი და გამოწვეულია თუ არა მუშაკის დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება სწორედ ამ ნორმების დარღვევით.

მიუხედავად ამისა, სასამართლოები, როგორც წესი, სთხოვენ ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს დასკვნას არა ამ საკითხების გამო, არამედ იმის შესახებ მიუძღვის თუ არა მოპასუხე ორგანიზაციას ბრალი მუშაკის დასახიჩრებისა თუ მისი ჯანმრთელობის სხვა დაზიანებაში. ამიტომ არის, რომ სასამართლო პრაქტიკაში ვერ შეგვხვდებით ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს ვერც ერთ დასკვნას, რომელშიაც არ იყოს მითითებული იმის შესახებ მიუძღვის თუ არა მოპასუხე საწარმოს ასეთი ბრალი. უფრო მეტიც, ხშირად ეს ორგანოები აძლევენ სასამართლოებს დასკვნას იმის შესახებ ე. წ. „შერეული ბრალის“<sup>3</sup> ბრინცივით უნდა გადაწყდეს საქმე თუ არა.

ამგვარი პრაქტიკა, რა თქმა უნდა, მცდარია, მაგრამ ყველაზე უფრო სერიოზულ შეცდომაზე უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ ორგანოთა მოსაზრებას ბრალის საკითხზე სასამართლოები იყენებენ ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებაში მოქ: დანელიანის სარჩელისა გამო მოპასუხე ქარხანა „ელექტროავტომატი“-ს მიმართ ვკითხულობთ: „მოპასუხე სარჩელს არ ცნობს და მოითხოვს უარის თქმას. სარჩელი სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია, რადგან ტექნიკური ინსპექტორის დასკვნით დგინდება, რომ მაძიებლის დასახიჩრებაში მათ მიუძღვის ბრალი“.<sup>3</sup> ამავე სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „მოპასუხე სარჩელს ცნობს შერეული პასუხისმგებლობით, რადგან მაძიებელს უნდა გამოეჩინა მეტი სიფრთხილე რონოდის დაცლის დროს. სარჩელი სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს 100%-ით, რადგან საქმეში არსებული ტექნი-

<sup>3</sup> იხ. ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი. საქმე № 2/1835-62 წ.



კური ინსპექტორის დასკვნით დგინდება, რომ უბედური შემთხვევის დადგომაში ბრალი მიუძღვის მოპასუხე ორგანიზაციას“.<sup>4</sup>

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოებს მიიჩნევენ ბრალის დამდგენ ორგანოებად, მაშინ, როდესაც ეს ორგანოები შესაბამისი ინსტრუქციებისა და დებულებების თანახმად, იკვლევენ არა ბრალის საკითხს, არამედ საკითხს იმის შესახებ დაარღვია თუ არა მოცემულმა ორგანიზაციამ უსაფრთხოების ტექნიკის ნორმები და იყო თუ არა მათგან შედეგი გამოწვეული ამ მიზეზით.<sup>5</sup>

სწორედ ამ საკითხების გამოსარკვევად შეუძლია სასამართლოს ჩააბას პროცესში სახელმწიფო მმართველობისა თუ პროფკავშირების ტექნიკური ინსპექციის ორგანოები და სწორად მათი დასკვნის ის ნაწილი შეიძლება სასამართლომ გამოიყენოს მტკიცებულებად, სადაც დადგენილია, კონკრეტულად რომელი ტექნიკური ნორმა ან პროფესიული წესი დაარღვია ზიანის მიმყენებელმა ორგანიზაციამ და გამოწვეულია თუ არა ზიანი ამ დარღვევით.

საკითხი თუ ვის მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში ან კიდევ, გამოყენებული უნდა იქნეს თუ არა ე. წ. „შერეული პასუხისმგებლობის“ პრინციპი, იურიდიული საკითხებია და მას წყვეტს სასამართლო მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმების ანალიზის საფუძველზე და არსებული მტკიცებულებების მათ ერთობლიობაში შეფასების შედეგად.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოს, ისე როგორც საქმეში მონაწილე პროკურორს, შეუძლია ამ საკითხებზე გამოთქვას თავისი მოსაზრება. მაგრამ, სახელმწიფო მმართველობის ორგანოს დასკვნა ბრალის შესახებ, ან კიდევ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქმე: ისე, როგორც საქმეში მონაწილე პროკურორის დასკვნა, მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ამიტომ მასზე დაყრდნობით არ შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებაში ბრალის არსებობა — არარსებობის დასაბუთება, ისე როგორც არ შეიძლება სამოქალაქო საქმეში პროკურორის მიერ მიცემულ დასკვნაზე დაყრდნობით გადაწყვეტილებაში ბრალის დასაბუთება.


2. სასამართლო პრაქტიკაში სახელმწიფო მმართველობისა თუ პროფკავშირების ორგანოების დასკვნებს მიიჩნევენ სასამართლოსათვის სავალდებულო მტკიცებულებლად თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგიერთ დადგენილებაში ცალკე საქმეების გამო შითითებულია, რომ ასეთი დასკვნები სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის.

ასეთ თვალსაზრისს ნაწილობრივ იზიარებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმიც. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1963 წლის № 198 დადგენილებაში ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ წერია: „სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა რა სარჩელი, თავისი გადაწყვეტილება დაამყარა საქმეში არსებულ ექსპერტ-ინჟინრის დასკვნაზე. ზედწესით წარმოდგენილ საჩივარს კი თან ერთვის კიროვის სახელობის რაიონის საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებასთან არსებული საწყებათაშორისო კომისიის სხდომის ოქმი, საიდა-

<sup>4</sup> იქვე, საქმე № 2/2052-63 წ.

<sup>5</sup> Положение о расследовании и учете несчастных случаев, связанных с производством. Профиздат, 1959 г. Положение о техническом инспекторе Совета профсоюза: «Охрана труда и техника безопасности», Изд-во «Юридическая литература», М., 1963 г., стр. 589.





ნაც ირკვევა, რომ აღნიშნული ექსპერტის დასკვნა გაუქმებულია როგორც ტექნიკურად გაუმართლებელი“.

სხვა საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის 1963 № 30 დადგენილებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და აღნიშნა: „კოლეგიის მითითება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ არ არის აუცილებლობით გამოწვეული და უარყოფილია რაისაბჭოს აღმასკომის საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნით“.

გამოდის, რომ საქმეში მონაწილე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს არამცთუ შეუძლია მისცეს სასამართლოს სავალდებულო დასკვნა, არამედ „გააუქმოს“ კიდევ საქმეში არსებული მტკიცებულება, მიიჩნიოს სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის დასკვნა მცდარად და წინასწარ გადაწყვიტოს მისი დასაბუთებულობის თუ დაუსაბუთებლობის საკითხი.

ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 326-ე და 344-ე მუხლების თანახმად არა მარტო საქმეში მონაწილე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს, არამედ საქმის საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმის განმხილველ სასამართლოებსაც კი უფლება არა აქვთ „წინასწარ გადაწყვიტოს საკითხები ამა თუ იმ მტკიცებულების სარწმუნოების შესახებ, ერთი მტკიცებულობის უპირატესობის შესახებ სხვა მტკიცებულებასთან შედარებით“. მით უმეტეს მათ უფლება არა აქვთ „გააუქმონ“ საქმეში არსებული მტკიცებულება.

სხვა საკითხია, როდესაც სასამართლო იხილავს ისეთ საქმეს, რომელიც საერთოდ სასამართლოების საქვეუწყებო არ არის, მათ არ ექვემდებარებათ. მაგალითად, ბინის ყოველგვარი გადაკეთება შესაძლებელია მხოლოდ აღმასკომის საუწყებათაშორისო კომისიის ნებართვით. სასამართლოსათვის მიმართვა ამის თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თუ აღნიშნული ნებართვა არსებობს, მაგრამ მოსარჩელის ოჯახის წევრები ან მეზობლები ასეთი გადაკეთების წინააღმდეგი არიან. სასამართლოების საქვეუწყებო ყველა საქმეს კი იხილავს და წყვეტს სათანადო სასამართლო ყველა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსით. ამ კოდექსით კი საქმეში არსებული ყველა მტკიცებულებას აფასებს საქმის განმხილველი სასამართლო თავის შინაგანი რწმენით.

სასამართლო პრაქტიკაში არც ისე იშვიათია, როცა სახელმწიფო მმართველობის თუ პროფკავშირების ორგანოების დასკვნა მცდარია.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო საქმე ჭ-ს სარჩელისა გამო ა-ს მიმართ სააბაზანოს მიშენების შესახებ. ამ საქმეზე ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს აღმასკომის საუწყებათაშორისო კომისიამ მისცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ასეთის მიშენება ტექნიკურად შესაძლებელია. ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ იმავე საუწყებათაშორისო კომისიამ იგივე პირობის ხელმოწერით მისცა სასამართლოს მეორე საწინააღმდეგო დასკვნა იმის შესახებ, რომ სააბაზანოს მიშენება ტექნიკურად შეუძლებელია. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1966 წლის 10 იანვრის 13 განჩინებით გააუქმა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ საქმეში არსებობს, საუწყებათაშორისო კომისიის ორი ურთიერთ საწინააღმდეგო დასკვნა.



ამრიგად, სახელმწიფო მმართველობისა თუ პროფკავშირების ორგანოების დასკვნა სასამართლომ ყოველთვის კრიტიკულად უნდა შეაფასოს და არ დაელოდოს როდის გაასწორებს თავის შეცდომას დასკვნის მომცემი ორგანო. ამის შესახებ სავსებით სწორი მითითება მისცა სასამართლო ორგანოებს რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა; მის 1963 წ. 5 აგვისტოს დადგენილებაში მითითებულია, რომ სახალხო განათლების რაიონული განყოფილების დასკვნა (ეს ორგანოები პროცესში მონაწილეობენ იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოები) არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, ოღონდ „იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ მიიღებს ამ დასკვნას, გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს საამისო მოტივი“.

---



# პახგანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთი პეგილის პლგენისათვის

ი. ლოლიძე

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის სამეფოში გაცხოველებული შემოქმედებითი, მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა წარმოებდა.

ამ დიად საქმიანობას სათავეში ედგა ვახტანგ VI, რომელიც ჯერ ქართლის გამგებელი (1704-1711), ხოლო შემდეგ (1716-1724) მეფე იყო. სწორედ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა დიდი, საშვილიშვილო საქმეები, რომელთაც ქართველი ხალხის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ. მან შექმნა „სწავლულკაცთა“ კომისია, შეკრიბა „ქართლის ცხოვრებისა“ და „ეფესისტყაოსნის“ ხელნაწერთა დაფანტული ფურცლები და სამუდამოდ დაღუპვას გადაარჩინა ისინი. მის მიერვე დაარსებულ სტამბაში პირველად დაიბეჭდა ჩვენი ხალხის ხელისხელსაგომანები მარგალიტი — „ეფესისტყაოსანი“. ერთ დიდ მამულიშვილს თავისი სახელის უკვდავსაყოფად ქართული სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლის — „დასტურლამალის“ — შედგენაც ეყოფოდა.

„გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა. ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მმართველებმა პქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დაეარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწეების აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის პრავალი საუკუნეების ნამუშევარი და ნაჭირნახულვეი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველხმრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ.“<sup>1</sup>

დაუცხრომელმა მეფე-მეცნიერმა, პოეტმა და სჯულმდებელმა ვახტანგ VI, რომელსაც მემატინე „ბრძნის ზარდახშანს“ უწოდებს, „იგულა და იგულისმოდგინა და შემოიკრიბნა ყოველნი წიგნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდებნულ იყო“, და, ამრიგად, შეადგინა სამართლის წიგნთა ცნობილი კრებული, რომელიც ქართული ეროვნული სამართლისა და საქართველოში მოქმედი უცხოური სამართლის უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო ძეგლებს შეიცავს.

ქართლის სამეფოს სახელთგან მესაჭეს მისი დაუცხრომელი შემოქმედებითი, ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო და დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამო მემატინე ასეთი სიტყვებით ახასიათებს: „ვითარცა რა ანდამატმან და მღნიტმან მიზიდის რკინა თვისთ-თანა, გინათუ რა ფუტკარი სიმრავლითა სიტკბოსათენ ეხვეოდინ გოლეულსა თაფლისასა, ეგრეთვე სიტკბომან და სამართალმან მეფისამან მოზიდის ყოვლის ქვეყანი თავადთა, აზნაურთა და გლეხთა; უტყვედენ სამკვიდროთა და იავარპყოფდეს და მკვიდრობდეს ქართლსა შინა.“<sup>2</sup>

რადენ გადაჭარბებულადაც არ უნდა მივიჩნიოთ მეფის ცნობილი მდივანმწიგნობრის ეს სიტყვები, ეს ზეადწეული და გაზვიადებული ხოტბა, მასში ერთგვარად ასახულია სამეფო კარის განწყობილება ვახტანგ VI-ის მიერ გატარებული უმნიშვნელოვანეს ღონისძიებების გამო.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა ქართული სამართლის დარგში. აქ იგი ჭეშმარიტად გვევლინება ქართული სჯულმდებლობის დიდ მოამაგედ. მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი ქართული სამართლის უადრესად მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელშიც ასახულია გვიანყო-

<sup>1</sup> ი. ვ. ვახაჩიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928 წ. გვ. 116.  
<sup>2</sup> მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თ. ა. ი. ი. შვილის რედაქტორობით, 1907, გვ. 2.



დალური ქართლის სამეფოს კლასებისა და სოციალური ფენების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, მრავალგვარი სამართლებრივი ინსტიტუტი, ადათ-ჩვეულება, იურიდიული ყოფა და მართლშეგნება. ვახტანგის სამართლის წიგნი საქართველოს ისტორიის უძვირფასესი განძია.

ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკანონმდებლო ძეგლის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკულ დადგენას. მასში, ისე როგორც „ქართლის ცხოვრებასა“ და „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენთვის ძვირფასია ყოველი სწორად წაკითხული და დადგენილი სიტყვა თუ ტერმინი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენიდან 250 წელზე მეტმა განვლო, მისი საბოლოოდ დადგენილი ტექსტი დღემდე არ მოგვეპოვება.

ვახტანგის კანონთა ტექსტი პირველად გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თავის ცნობილ „ქართულ ქრისტიანობა“-ში. იგი გამოქვეყნებულია ერთი ხელნაწერის მიხედვით; მასში გასწორებულია უხეში ორთოგრაფიული შეცდომები და შეტანილია მაშინდელი პუნქტუაცია.<sup>3</sup>

თუმცა აღნიშნულ პუბლიკაციაში ტექსტი კრიტიკულად გამართული არ არის, რაკი სხვა გამოცემა არ იყო, ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარნი მთელი 100 წლის განმავლობაში ამ ტექსტით სარგებლობდნენ.

1955 წელს თ. ენუქიძემ სამი ძირითადი ტიპის ნუსხის მიხედვით გამოაქვეყნა ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტი, ხელნაწერთა აღწერილობითა და გამოკვლევით.<sup>4</sup> ტექსტის კრიტიკულად შეაწავლის საქმეში ეს იყო წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი, თუმცა ტექსტის საბოლოოდ დადგენას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება.

1963 წელს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემილობამ გამოაქვეყნა ჩვენი „ქართული სამართლის ძეგლები“-ს პირველი ტომი, რომელიც შეიცავს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს. ხსენებულ პუბლიკაციაში ორი უძველესი ნუსხის მიხედვით დაიბეჭდა ვახტანგის სამართლის წიგნი, კრებულის ხელნაწერებში მეშვიდე ნაწილად რომ არის წარმო-

მოდგენილი. ჩვენს მიერ გამოყენებული ორივე ხელნაწერი (S 3683 და Q 575) ვახტანგის დროინდელია. აქედან პირველი ნუსხა მიჩნეულია დედნად, რომელიც ვახტანგის ხელიდან უნდა იყოს გამოსული, ხოლო კრებულის მეორე ნუსხის (Q 575) საქმიეული გადაწერილია ქორთონიკონსა უჟც ე. ი. 1710 წელს და, მამასადამე, ისიც ვახტანგის დროს არის შესრულებული.

ეს უკანასკნელი ნუსხა, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც გამოვლინებულ იქნა, ბევრ შემთხვევაში უფრო სწორ წაკითხვას იძლევა, ვიდრე S 3683 ნუსხა. ამან საშუალება მოგვცა ტექსტის რიგი დამახინჯებული ადგილები გაგვეწორებინა და აღვევადგინა.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, ვახტანგის კანონთა ტექსტში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი და გასასწორებელი.

ჩვენი წინამდებარე წერილიც ვახტანგის სამართლის წიგნის ერთი დამახინჯებული ადგილის აღდგენის ცდას წარმოადგენს.


როგორც ცნობილია, ვახტანგის სამართლის წიგნი ორ ნაწილად განიყოფება. პირველი ნაწილი მთავრდება 204 მუხლით, რომელსაც დართული აქვს სჯულმდებელი მეფის ბოლოსიტყვაობა; 205 მუხლით იწყება სამართლის წიგნის მეორე ნაწილი, რომელიც 66 მუხლს შეიცავს და 270 მუხლით მთავრდება.

სამართლის წიგნის 205-ე მუხლში, რომელიც განაჩენის შედგენის წესსა და რიგს ითვალისწინებს, ნათქვამია: „მოჩივარბან რომ იჩივლოს, მათი საჩივარი რომ გაიგონონ და საგანაჩენოდ მიიყაროს, და განაჩენს წერა დაუწყონ, ორისავე მოჩივრის საჩივარი უნდა დაწერონ. ფიცი მოხდეს თუ უფიცრობა, გინა სისხლი, გინა ბოზობისა, გინა ქურდობის და რომლისაც ნივთის სამართალი დაიწეროს, ის სამართალი ამ წიგნის რომლისაც სამართლიდამ დაიწეროს, განაჩენშიაც ასრე ჩასწერდენ, ამა და ამ მოსამართლის განაჩენისა და სამართლისა, ამდენის თავიდაც ეს სამართალი გაგაჩინეთო. ამიტომ რომე, როდესაც, ან ამ ჟამად და ან ბოლოს, მოჩივარბა როდესმე თქუას, ქრთამითა და მიდგომით მოსამართლემ უსამართლო მიყოფო, მაშინ განაჩენსა და ამ სამართლის წიგნსა შეამოწმებენ, და აქედან ნასამართლი იქნების და ვედარავინ იუარებს. მერე არის, და მოსამართლეს დადათს ვერავინ დაუჭერს. და ვერც

<sup>3</sup> ქართული ქრისტიანობა დ. ჩუბინაშვილისა, 1864, გვ. 395-455.

<sup>4</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955.





ეს მოსამართლენი, თუ არა იმ წიგნში წერებულს, სხვას მოგონებულს სამართალს ვერ გააჩენენ.<sup>5</sup>

დამოწმებული მუხლის შინაარსი გასაგებია, გარდა უკანასკნელი ნაწილის შემდეგი გამონათქვამისა „მერმე არის და მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუჭერს“. გაუგებარია, რას ნიშნავს „დაღათს ვერავინ დაუჭერს“, რა არის „დაღათი“, უცხო ტერმინი ხომ არ არის, იქნებ ტექსტის დამახინჯებასთან გვაქვს საქმე? ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ამ სახით ეს ადგილი წარმოდგენილია ვახტანგის კანონების ორსავე უძველეს ნუსხაში. მაშასადამე, გაუგებარი სიტყვა დაღათი გვიანდელი ნუსხების გადამწერთა მიერ ტექსტის უნებლიე დამახინჯების ნაყოფი როდია, და თუ შეცდომას შეიცავს, ეს შეცდომა იმთავითვე, დედაწივივე მოსვლიათ.

საკითხის გამოსარკვევად უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ სხვა ნუსხების ვარიანტული წაკითხვანი, ე. ი. ის, თუ როგორაა გადმოცემული ეს ადგილი სხვა ხელნაწერებში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის F 20351 ხელნაწერი ამ ადგილის ასეთ წაკითხვას იძლევა: „მოსამართლეს ხათრს ვერავინ დაუჭერს“. ეს ნუსხა შედარებით გვიანდელია, იგი გადაწერილია ჩყკვ (1826) წელს. საინტერესოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის არც ერთ ხელნაწერში ამ ადგილის ამგვარი წაკითხვა არ მოგვეპოვება. მაშასადამე, „ხათრი“ გადამწერის მიერ გაუგებარი ტერმინის თავისებური გააზრებაა: დაღათი მას ესმის როგორც ხათრი. მაგრამ ასეთი გაგება საქმეს ვერ შევლის.

ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის 104 და 962 ნუსხებში ეს ადგილი გადმოცემულია ასე: „მერმე არის და მოსამართლეს დავას ვერავინ დაუჭერს“. ორივე ხელნაწერი XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება და შეიცავს არა მთელ კრებულს, არამედ მხოლოდ ვახტანგის სამართლის წიგნს. მათში დაღათი გაგებულია გადამწერთა მიერ როგორც დავა. მაგრამ ასეთი გაგება კონტექსტს აშკარად არ შეესაბამება. ან როგორ უნდა გავიგოთ ფრაზა: „მოსამართლეს დავას ვერავინ დაუჭერს?“ მაგრამ ასეთი გაგებაც გამორიცხებულია, იმიტომ რომ გამოუკლებელი ყველა ხელნაწერში იკითხება „დაუჭერს“ და არა „დაუწყებს“, თანაც „დავის დაწყება“ კონტექსტის მიხედვითაც შეუსაბამოა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის 482 ნუსხა ჩვენთვის საინტერესო ფრაზას ასე გადმოგვცემს: „მერმე არის და მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუჭერს“. მაშასადამე, გადამწერს დაღათი გაუგია როგორც დაღათი. ეს ხომ სრული უაზრობაა. რა შუაშია აქ დაღათი, ანდა როგორ უნდა გავიგოთ „დაღათის დაჭერა?“ ცნობილია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი (მუხ. 7, 9, 59, 60) დაღათის, როგორც დანაშაულის სრულიად გარკვეულ კვალიფიკაციას იძლევა. აქ კი, კანონთა 205-ე მუხლში, სადაც განაჩენის შედეგის წესსა და რიგ-ზეა ლაპარაკი, დაღათი სრულიად უადგილო ჩანს და აშკარა შეუსაბამობას წარმოადგენს.

იმავე ინსტიტუტის S ფონდის 206<sup>ა</sup>, 5035 და Q ფონდის 395 ნუსხებში ნათქვამია: „მერმე არის და მოსამართლეს დაღმერთს ვერავინ დაუჭერს“. აღნიშნული ნუსხების გადამწერთა დაღათი რომ ვერ გაუგიათ, იგი „დაღმერთად“ გადმოუციათ. მაგრამ გაგების უაზრობა აშკარაა, რადგან კონტექსტის მიხედვით შეუძლებელია „ღმერთი“ იყოს. გარდა ამისა წარმოდგენილია, რომ კანონმდებელს ღმერთი მოსამართლის გვერდით და თანაც მის შემდეგ ეხსენებინა. ამასთანავე წინადადებაც დაუმთავრებელი ჩანს: ბუნებრივად იბადება კითხვა, რას ვერ დაუჭერს? ზემოთ მოტანილი ვარიანტი კი ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა.

ნუსხების დიდი ნაწილი (H ფონდი: 1, 17, 280, 959, 2035, 2172; S ფონდი: 51, 2316, 3066, 3682; Q ფონდი: 23) ამოსახსნელ სიტყვას ქარაგმითა და ასეთი ფორმით გადმოგვცემს: „დაღთს“ ან „ღთს“. ქარაგმის გახსნისას მივიღებთ იმავე „დაღმერთს“ ან მხოლოდ „ღმერთს“. ყველა დამოწმებული შემთხვევაში ტექსტის ეს ადგილი უდავოდ დამახინჯებული ჩანს.

უმრავლეს ხელნაწერში (H ფონდი: 2, 10, 11, 71, 223, 339, 1046, 1094, 2168, 3119, 3131; Q ფონდი: 229, 233, 475, 563, 575, 703, 844, 861; S ფონდი: 1275, 2771, 3356) კი შენარჩუნებულია დედნის (S 3683 ნუსხის) დაწერილობა და ეს სიტყვა მოცემულია „დაღათი“-ს ფორმით. თუ ტექსტის დადგენისას შემთხვევათა უმრავლესობას მივცემოდა უპირატესობა, მაშინ ეს ტერმინი ამ სახით უნდა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რაკი მისი შინაარსის გარკვევა არც უცხოური ლექსიკონებით (სპარსულ-



არაბული, თურქული) ხერხდება, იგი ეჭვს იწვევს და რომელიდაც სიტყვის დამახინჯებულ ფორმად ჩანს.

ორიოდ ხელნაწერში ვხვდებით იშვიათ, გამონაკლის ფორმასაც: „და რა ღათს“ (S 206<sup>a</sup>), „დალთას“ (Q 875). ცხადია, რომ ორივე ეს სიტყვა დამახინჯებული ფორმა უმრავლეს ნუსხებში მოცემული ჩვენთვის საინტერესო ტერმინისა „დაღათი“ და ამდენად არ შეიძლება მიღებულ იქნას ტექსტის დადგენისას.

ამრიგად ირკვევა, რომ ვახტანგის კანონთა კრებისა და საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ხელნაწერში, მათ შორის დედნად მიჩნეულ ნუსხაშიც, ეს დაღათი, რომელიდაც სხვა სიტყვის დამახინჯებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს.

ასეთ პირობებში ერთადერთი საშუალება ის არის, რომ შევისწავლოთ XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრები და სასამართლო აქტები, განსაკუთრებით სასამართლო განჩინებანი და არზა-ოქმები, გავითვალისწინოთ მათი ტერმინოლოგია და, ამგვარად, გვაძღოთ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის აღდგენა და მისი შინაარსის დადგენა.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დაღათი ქართული წარმოშობის ტერმინი არ არის. ის უცხოური წარმომავლობის სიტყვა უნდა იყოს, რომელიც დამახინჯებული ფორმითაა მოცემული ვახტანგის სამართლის წიგნში. დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ როდის შემოდის ეს ტერმინი ჩვენში. ყოველ შემთხვევაში, თუ როგორც მეფის დროს არა, XVII საუკუნის მეორე ნახევარში მისი არსებობა ქართულში სასეებით სავარაუდებელია.

ჩვენ გულდასმით გადავთვალთვინებთ დღემდე გამოქვეყნებული ყველა საბუთი და აგრეთვე ხელნაწერთა ფონდები და იმ დასკვნამდე მივიდით, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინი სამართლის წიგნის შედგენის დროს უკვე დამკვიდრებული ჩანს და იგი იხმარება ქართულ დიპლომატიკაში XVIII საუკუნის მთელ მანძილზე. განვიხილოთ თანმიმდევრობით ეს საბუთები.

მერაბ მოურავისა და მუსტაფა-აღას საადგილმამულო დავის განჩინებაში, რომელიც სწორედ სამართ-

ლის წიგნის შედგენის დროს (1708) ეკუთვნის, ნათქვამია: „ბატონმა გვიბრძანა: წადით, ის ადგილი ნახეთო და აღიღათი მოგვახსენეთო“.<sup>6</sup> 1735 წლის აგვისტოში სულხანბეგ მდივანი არზით მიმართავს ქალბალი ხანს მამულის დამტკიცების სიგლის ბოძების შესახებ; ეს უკანასკნელი ბრძანებს: „მოკითხული ვქენით, იმავე არზის პირზე საქართველოს თავადებსა და კათალიკოსს ჰაყიყათი ვსთხოვეთ. მაგისი სიმართლე სულ ყველამ თასდიყი ჰქნა და მოგვახსენეთ“.<sup>7</sup> შამსადამე, პირველი საბუთის მიხედვით მოსამართლეებმა სადავო ადგილი უნდა ნახონ, შეამოწონ და საქმის აღიღათი ბატონს, მეფე იმამყულიხანს, მოახსენონ, ხოლო მეორე საბუთის მიხედვით ქალბალი ხანს სულხან მდივანის არზის გამო თავადებისა და კათალიკოსისათვის ჰაყიყათი უთხოვია და ყველას თასდიყი მიუცია. თასდიყი დასტურს ნიშნავს, ჰაყიყათი კი ისეთი ტერმინი ჩანს, რომელიც არზის შინაარსთან, საქმის გარემოებასთან არის დაკავშირებული. საბუთის გამომცემელი მას ასე განმარტავს: „ჰაყიყათი, აღიღათი — ჭეშმარიტება, სინამდვილე საქმის ნამდვილი მდგომარეობა“.<sup>8</sup>

1736 წლის ახლო ხანებში ლილოელნი ბეჟან და დავით ალიყულიბეგ ვეკილს (გამგებელს) ასეთი შინაარსის არზას აძლევენ: ჩვენ სოფლები ვართ, სოფლის გამოსაღებს ვიხდით; ახლა ქალაქის მალში და სატარულოში დაუწერივართ, ჩვენის სოფლის გამოსაღებს დაგვაჯერეთ, ჩვენ ქალაქის მოყალენი არა ვყოფილავართ. ამ არზაზე ასეთი ბრძანებაა: „ბატონო მელიქო და ქეთხუდებო! ეს კაცნი ლილოელნი არიან. ქალაქში მალი და ხარჯი უძღვევიათ თუ არა, მისი აღიღათი მომწერეთ“.<sup>9</sup> ამრიგად, არზაში მოხსენებული თხოვნის შემოწმება ქალაქის მელიქსა და ქეთხუდებს დავალებიათ, მათ უნდა მოეხსენებინათ იმის აღიღათი — იხდიდნენ თუ არა ლილოელნი ბეჟან და დავით ქალაქის გამოსაღებს.

სულხან ყაფლანიშვილის 1746 წლის 30 ივლისის არზაზე მამულის შესახებ თეიმურაზ II ასეთ ოქმს აწერს: „ქ. თავადებო და დარბაისელო! ამ არზის აღიღათი მოგვახსენეთ, დედაკაცი მამულს გაყიდის, თუ არა“. თეიმურაზ მეფის განკარგულების

<sup>6</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფ. უ. თ. რ. ი. ს. გამოცემა, 1955, გვ. 421.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 440.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 476.

<sup>9</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ნ. ბ. ე. რ. ი. ს. რ. ე. დ. ა. ც. ი. თ. 1940 წ. გვ. 246.



შესასრულებლად არზაზე ოთხი ამგვარი წერილობითი დასკვნა წარმოდგენილი: „ბატონს ამ არზის აღიღათი ებრძანა. ქართულს სამართალში ქვერევს უშვილოს რძალს მამული არ გაესყიდინება, რომ მასლი და მასლის წული ყვანდეს, იმათ უდასტუროთ“.<sup>10</sup> სამართლით დადგენილი წესი ასეთია და ნება ბატონისა არის, როგორც სურდეს, ისე გადაწყვიტოსო. აქაც აღიღათი არზის შინაარსს, მის რაობას გულისხმობს. არზის აღიღათი მოგვახსენეთ, ნიშნავს არზის სინამდვილედ, არზის სიმართლედ მოგახსენოთ.

1764 წლის 17 დეკემბერს მოქალაქე უმეკანთ სტეფანას შვილის ოსეფას ცოლი არზით მიმართავს ერეკლე მეფეს: ჩემს მეუღლეს მამის ვალები დარჩა, მოვალეების შიშით აქ ვედარ გაჩერდა, ათი წელიწადია რაც საშოვრად წავიდა, აქ ცოლ-შვილი შიმშილით ვიხსოვებით, მოვალეები გვაწუხებენ; წყალობას ვითხოვთ, თქვენი ოქმი გვებოძოს, რომ სანამ ჩემი ქმარი მოვიდოდეს, მანამდე მოვალეებმა დაგვატყლონო.

ამ არზის გამო ერეკლე მეფეს ასეთი ოქმი გაუცია: „ჩვენი ბრძანება არის: მერმე, მარამდინ ამ არზის პატრონს ქმარი მოუვიდოდეს, მარამდინ უნდა დააცალოთ.. და თუ ამ დედაკაცს საბუთს უზამთ, რომ ვალის გარდასახადი ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენეთ და სამართლით მივაკცივინებთ. მიშკარბაშო! ამისი აღიღათი სწორედ მოგვახსენე“.<sup>11</sup>

ერეკლე მეფემ თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ ამავე დროს მიშკარბაშს დაავალა, შეამოწმე, თუ ვალის გადახდის საშუალება აქვს, მოგვახსენე და სამართლით მივაკცივინებთო. მაშასადამე, მიშკარბაშმა უნდა შეამოწმოს არზაში მოხსენებული ვითარების სინამდვილედ, საქმის ნამდვილი მდგომარეობა, მისი სისწორედ. ყველაფერი ეს ერეკლეს ომში გადმოცემულია მოკლედ: „ამისი აღიღათი სწორედ მოგვახსენე“.

1776 წლის 27 ივნისს კათალიკოსი ავალებს ამილახვარს მდივანბეგ იასეს იუსტიციე ურბნელის არზის გარჩევას დღლისა და კულუხის თაობაზე: „ამათი აღიღათი ნახეთ და სწორებით როგორც ძველთა-

გან ემსახურებინოს ურბნელებს ეკლესიისა და ურბნელისათვის, ისე ამასხურეთო“.<sup>12</sup> 1777 წლის 23 აგვისტოს ერეკლე მეორე უბრძანებს ამილახვარს მდივანბეგ იასესა და მინაშს იოანე დიასამიძეს: ნიქოზის ეკლესიის მამულის საჩივრების აღიღათი სისწორით შეიტყვევითო.<sup>13</sup>

1778 წლის 5 იანვარს იოსებ გლურჯიძე არზით მიმართავს ერეკლე მეორეს, მოლარეთ-ხუცის შვილი ნინია სახლში მომიხდა და ცოლ-შვილი გამილახათ მეფე ბრძანებს: ამის ჰაღიღათი იმ სოფელში სამდგდელსა და საეროსაგან ფიცით მოიკითხოს... და ჩვენს სამართალში გამოაცხადონ“.<sup>14</sup>

მეფისა და კათალიკოსის ზემოთ დამოწმებულ ოქმებში, როგორც წესი, ამგვარი ფორმულა მეორდება: ამ არზის აღიღათი ნახეთ, აღიღათი მოიკითხეთ, აღიღათი შეიტყვევით, აღიღათი მოგვახსენეთო. აღიღათი: ნახვა ანუ აღიღათი მოკითხვა არზაში აღნიშნული გარემოების გამორკვევას, შემოწმებას ნიშნავს, ხოლო აღიღათის შეტყობა — სინამდვილის, სიმართლის, ჭეშმარიტების დადგენას. აღიღათის შეტყობა საქმის შინაარსისა და სირთულის მიხედვით სხვადასხვა საშუალებით ხდებოდა; ასეთები იყო: ფიცი, მოწმე, წერილობითი საბუთები და სხვა. ერთ-ერთ მოტიანილ ოქმში ნათქვამია: „ამის ჰაღიღათი ფიცით მოიკითხოსო“, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა ფიცით უნდა გარკვეულიყო, დადასტურებულიყო.

დაბოლოს, დავიმოწმებთ კიდევ ერთ საბუთს. 1798 წლის 6 მარტს მანუჩარ მდივანი არზით მიმართავს ვახტანგ ბატონიშვილს: ჭრელაშვილს თამასუქით ჩემი ცხრამეტი მინალთუნი მართებს; შარშან უჩივლედ თქვენთან, თქვენ გვალაპარაკეთ და ასე ბრძანეთ: თამასუქი ზაზა გაბაშვილის მიერ არის დაწერილი, იმას ეკითხოს და მერე ისე მოვაკცივინებთო, „ზაზა გაბაშვილი აქ გახლავსო, ამისაგან აღიღათი მოიკითხეთ, რაც იცოდეს, მოიხსენეთ; და მერე სამართლით ჩემის თეთრის პატრონი გამხადეთ“—ო. ვახტანგ ბატონიშვილი ამ არზის გამო ასეთ ბრძა-

<sup>10</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd 1234.

<sup>11</sup> საქართველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, III, 1910, გვ. 5.

<sup>12</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, AD-1503<sup>22</sup>.

<sup>13</sup> იქვე, AD-1504<sup>3</sup>.

<sup>14</sup> იქვე, HD 6329.



ნებას გასცემს, „გაბაშვილო ზაზაე! ამის ა დ ი ლ ა -  
თი რაც იცოდე, წინაშე ღვთისა ჭ ე შ მ ა რ ტ ე -  
ბ ი თ მოგვახსენე“-თ.15

დამოწმებული საბუთებიდან ჩანს, რომ ჩვენთვის  
საინტერესო ა დ ი ლ ა თ ი, როგორც წესი, ნახმარი  
არის არსებში ანუ თხოვნა-საჩივრის წიგნებში და იმ  
ოქმებში (ბრძანებებში), რომლებიც გაცემულია ასე-  
თი არსების გამო.

ა დ ი ლ ა თ ის შინაარსის გარკვევისათვის მეტად  
საგულისხმოა და ნიშანდობლივი ის, რომ ჩვენს მიერ  
მოტანილ ტექსტებში ამ ტერმინის გვერდით ნახმა-  
რია სიტყვები ს ი მ ა რ თ ლ ე, ს ი ს წ ო რ ე, ჭ ე შ -  
მ ა რ ტ ე ბ ა. ეს სიტყვები განმარტავენ ადილათის  
მნიშვნელობას და მის ქართულ სინონიმებს წარ-  
მოადგენენ.

ახლა, თუ ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ვახტანგის  
სამართლის წიგნის 205 მუხლის იმ ადგილს, სადაც  
ლაპარაკია და დ ა თ ის შესახებ, დავინახავთ, რომ  
აქაც კანონმდებელს მხედველობაში აქვს მოსალოდნე-  
ლი საჩივარი მოსამართლის უკანონო მოქმედებაზე:  
„ქრთამითა და მიდგომით მოსამართლემ უსამართ-  
ლო მიყოვო“. მაშასადამე, და დ ა თ ი, ისევე რო-  
გორც ა დ ი ლ ა თ ი, საჩივართან დაკავშირებული  
ცნებაა, თანაც ისეთი, რომელიც „უ ს ა მ ა რ თ ლ თ -  
ს ა და მ ო გ ო ნ ე ბ უ ლ ს ს ა მ ა რ თ ა ლ ს“ უპი-  
რისპირდება.

ვახტანგის სამართლის წიგნის და დ ა თ ი არის

იგივე ა დ ი ლ ა თ ი, ოღონდ გრაფიკულ შეცდომის  
ნიადაგზე წარმოშობილი მისი დამახინჯებული ფორმა.  
თუ გავითვალისწინებთ ამ ორი სიტყვის დიდ მსგავსე-  
ბას, მაშინ ადვილი წარმოაადგენი იქნება, რომ უცხო  
ტერმინის დაწერილობის ასეთი უნებელი შეცდომა  
(lapsus calami) შავად ნაწერი დედნის გადა-  
თეთრებისას დახელოვნებულ მდივანმწიგნობარსაც  
შეიძლებოდა მოსვლოდა. ამით უნდა აიხსნას ის  
ფაქტი, რომ ა დ ი ლ ა თ ი იმთავითვე დამახინჯებუ-  
ლი და დ ა თ ის ფორმით შევიდა დედნად მიჩნეულ  
S 3683 ნუსხაში, ხოლო აქედან, როგორც ზემოთ  
დავინახეთ, გვიანდელი ნუსხების გადამწერლებმა  
და დ ა თ ი სხვადასხვა ვარიანტით გადაიტანეს თა-  
ვიანთ გადაწერაში.

ამრიგად, შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ  
ვახტანგის კანონთა კრებულისა და საკუთრივ ვახ-  
ტანგის სამართლის წიგნის გამოუკლებლივ ყველა  
ნუსხაში დამახინჯებულად წარმოდგენილია, ტერმინი  
ა დ ი ლ ა თ ი.

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ადგი-  
ლი კანონთა ტექსტში ასე უნდა იკითხებოდეს: „მე-  
რმე არის, და მოსამართლეს ა დ ი ლ ა თ ს ვ ე რ ა -  
ვ ი ნ და უ ჭ ე რ ს“. ასეთ შემთხვევაში სრულიად  
ცხადი ხდება კანონმდებლის აზრი: მო ს ა მ ა რ თ -  
ლ ე ს ს ი მ ა რ თ ლ ე ს ვ ე რ ა ვ ი ნ და უ ჭ ე რ ს,  
ს ი მ ა რ თ ლ ე ზ ე უ ა რ ს ვ ე რ ა ვ ი ნ ე ტ ყ ვ ი ს

15 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ის რედაქ-  
ციით, II, 1953, გვ. 120.



# „ახსნილი“ და „მოკიდებულის“ ცნებებისათვის

ბ. ნადარეიშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

„ვეფხისტყაოსანში“ გატარებულია ის აზრი, რომ მეფე სიუხვით, სამართლიანობით, მოწყალების გაღებით უნდა ნერგავდეს პატივისცემას ხელისუფლები-სადმი. მეფის სიუხვე და სამართლიანობა ხელს უწყობს ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდას. მეფისთვის სიუხვე პოლიტიკური აქციაა.

ამ თვალსაზრისით უნდა გავიგოთ რუსთაველის სიტყვები:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია; უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია... რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“ (50). არაბთა მეფე როსტევენი ტახტზე ასულ თინათინს ასე არიგებს:

„ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად  
მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ  
მოგეწყინების;  
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების,  
ვინ ების“ (49)

რას ნიშნავს აქ „ახსნილი“?

პროფ. გ. ნათაძე ფიქრობდა, რომ „ახსნილი“ უპირატესად ყოვლისა უნდა იყოს ისეთი კაცი, ვინც არაფრით, არც ავითა და არც კარგით, არ არის დაკავშირებული სხვასთან. „ამიტომ მის საქციელს, რაც უნდა ცუდი იყოს იგი, არ ეთქმის არც ღალატი, არც ორგულობა, არც მტრობა. იგი არც მტერია, არც მოყვარე, არც ერთგული, არც ორგული. ამ შემთხვევაში ახსნილი არის ის, ვინც არაფრით არ არის დაკავშირებული სახელმწიფო აპარატთან, არც მის სამეურნეო და არც საადმინისტრაციო ან პოლიტიკურ აპარატთან“.<sup>1</sup>

პარტონემური წყობილების დროს, მართლაც, შეიძლება, რომ ვასალური ურთიერთობის გარეშე მდგომი თავისუფალი პირი „ახსნილად“ წოდებულიყო. რუსთაველის აზრით, უხვი მეფე ორგულს დაიმორჩილებს, ხოლო „ახსნილს“ დააბამს. ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებ „ახსნილი“ ისტორიული წყაროებით კარგად ცნობილი სოციალური ტერმინის „მოკიდებულის“, იმავე „მოკიდულის“, საპირისპირო ცნება უნდა იყოს. როგორც ნ. ბერძენიშვილმა გამოარ-

კვია, ტერმინ „მოკიდებულის“ შინაარსი ფეოდალურ საქართველოს სინამდვილეში ცვალებადი ყოფილა.<sup>2</sup>

ერთ დროს „მოკიდებული“ იხმარებოდა ფეოდალური ხანის „პარტიის“ მნიშვნელობითაც კი. სწორედ ამ აზრით აქვს ნახმარი ეს ტერმინი ვახუშტი ბაგრატიონს. „მოკიდებულის“ ანუ „მოკიდულის“ ფეოდალური ინსტიტუტი წარმომოხილი ჩანს პატრონემური ეპოქის წიაღში, ისევე როგორც „ახსნილისა“. ლეონტი მროველთან „მოკიდება“ მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნას ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს მას, როგორც „მოყვარეთ მოზმას“. ბერ ეგნატაშვილთან „მოკიდებულს“ დამოკიდებულის მნიშვნელობა აქვს. თავის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ იგი გიორგი სააკაძეს ათქმევინებს: თუ მეფე ჩემს დას არ ინდომებს ცოლად, „მაშინ, ვინც-ვინ ჩემნი მოკიდებულნი კაცნი არიან, უფროსად ყოველივე მე მომიდებვიან და მეფეს გაუორგულდებიან“-ო. XI საუკუნის დოკუმენტში (ნიკორწმინდის დაწერილში) „მოკიდებულის“ („მოკიდული“) ნიშნავს პირს, რომელიც მფარველობის ქვეშაა, მაგრამ მას გარკვეული მოვალეობაც ეკისრება იმის მიმართ, ვისაც „მოკიდა“.

თავისუფალი პირი, სანამ ის „მოკიდებული“ გახდებოდა, „ახსნილად“ ითვლებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უხვი მეფე „ახსნილსა დააბამს“, ე. ი. ახსნილს „მოკიდებულად“ გახდისო.

ამის შემდეგ ჩვენთვის უფრო გასაგები ხდება რუსთაველის სიტყვები:

„უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“.

„იგი თვით ების, ვინ ების“ იმ გარემოებაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ „მოკიდებულის“ ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი იყო „მოკიდების“ ნებაყოფლობა. „ახსნილის“ „მოკიდებულად“ გადაქცევა ნების თავისუფალი გამოყვანების შედეგი უნდა ყოფილიყო

ამრიგად, ჩვენი ვარაუდი მართლდება. „ვეფხისტყაოსანის“ „ახსნილი“ მართლაც ქართული ისტორიული წყაროების „მოკიდებულის“ საპირისპირო ცნებაა.

1 გ. ნათაძე, მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, „ს. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, ტ. III, 1943, გვ. 116-117.

2 იხ. ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებულისათვის“ — „მიომხილველი“, ტ. I, 1949, გვ. 43-49.





კრიტიკა

გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში

მ. უგრახელიძე

გაუფრთხილებლობითი დანაშაული, დაუდევრობის შედეგი იქნება იგი თუ თვითმედოვნების, გულისხმობს წინდაუხედავ ქცევას. მაგრამ, რა ხარისხს უნდა აღწევდეს წინდაუხედავობა იმისათვის, რომ მოქმედი პირის ბრალი დასაბუთებულად ჩაითვალოს, სხვაინარად რომ ვთქვათ, როგორია წინდახედულებისა და მზრუნველობის საშობი ანუ მასშტაბი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს გაუფრთხილებლობითი ბრალის დასაბუთების დროს? იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული გაუფრთხილებლობის ბუნება, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში, პასუხიც ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარი იქნება.

გაუფრთხილებლობის მასშტაბის შესწავლას ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში ზოგიერთ საყურადღებო დასკვნამდე მივყავართ.

ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალი მიმართავს დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობის შედარებით დახასიათების მეთოდს. ამისათვის ის იყენებს სამოქალაქო-სამართლებრივი გაუფრთხილებლობის ცნებას და მასზე დაყრდნობით აყალიბებს ფორმულას: „სამოქალაქო-სამართლებრივი და დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა იმისთვის იქნება ერთი და იგივეა, განსხვავება მათ შორის მხოლოდ სარისხშია“<sup>1</sup>. ეს ფორმულა, რომელიც საერთო სამართლის (common law) პირველი, დღესაც ინარჩუნებს ძალას ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში.

დებულება, რომ დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა თვისობრივად არ განსხვავდება სამოქალაქო-სამართლებრივი გაუფრთხილებლობისაგან, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ისევე, როგორც უკანასკნელის დროს, გაუფრთხილებლობის „სისხლისსამართლებრივი მასშტაბიც“ იმეტიტურია, და ბრალულობა, ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით არავითარ როლს არ ასრულებს დანაშაულებრიობის დადგენისას გაუფრთხილებლობის შემთხვევებში<sup>2</sup>. ასეთი დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს გაუფრთხილებ-

ლობის სამოქალაქო-სამართლებრივი განსაზღვრებიდან, რომლითაც გაუფრთხილებლობა ხასიათდება როგორც ისეთი ქცევა, „რომელიც ვერ აღწევს მასშტაბს, დადგენილს კანონის მიერ სხვათა დასაცავად ზიანის გაუმართლებელი რისკისაგან“<sup>3</sup>.

ამგვარად, ობიექტური მასშტაბი არის ის საერთო მნიშვნელი, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი გაუფრთხილებლობის თვისობრივ ერთგვარობას. ამ შეხედულებას ურყევად ადგას ინგლის-ამერიკის სასამართლო პრაქტიკა.

საინტერესოა აღნიშნული თვალსაზრისით ჰეუარტის მსჯელობა ინგლისის სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლოში ვინმე ბეტიმანის საქმის გამო. ჰეუარტი შეეცადა შემდეგნაირად დაეხასიათებინა დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობის ბუნება სამოქალაქო სამართლის მოშველიებით: თუ A-ზე იქცევა, რომ მან გაუფრთხილებლობით მოკლა B, მაშინ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს: A მოვალე იყო სიფრთხილე გამოეჩინა B-ს მიმართ; ამ მოვალეობისაგან ის არავის გაუთავისუფლებია; A-ს მიერ მოკვლეობის შემსრულებლობამ (საზი ჩვენია — მ. უ.) გამოიწვია B-ს სიკვდილი; იმისათვის, რომ A-ს ბრალი დაედოთ manslaughter-ში („მთუბუქ“ მკვლელობაში — მ. უ.) ბრალმდებელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ეს სამი რამ და თანაც დაარწმუნოს ნაფიცი მსაჯულება, რომ A-ს გაუფრთხილებლობა დანაშაულს შეადგენს“<sup>4</sup>.

ჰეუარტის ეს მსჯელობა კარგად ასახავს ინგლის-ამერიკის სისხლის სამართლის ოფიციალურ პოზიციას, რომლის მიხედვითაც გაუფრთხილებლობის შინაარსი სიფრთხილის „მოვალეობის დარღვევით“ ამოწურება.

გაუფრთხილებლობის თუნდაც ამგვარი გაგების

<sup>1</sup> Roy Moreland, A Rationale of Criminal Negligence, Lexington, Kentucky, 1944, გვ. 27.

<sup>2</sup> მთ რ ლ ე ნ დ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>4</sup> R. v. Bateman, J. W. Cecil Turner and A. LL. Armitage, Cases on Criminal Law, Cambridge, 1953, გვ. 147.



დროს იგულისხმება იმის ცოდნა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს წინდახედულებისა და სიფრთხილის მოვალეობის დარღვევად. ამერიკული კანონმდებლობა პირდაპირ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 პარაგრაფში ნათქვამია, რომ გაუფრთხილებლობა არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედი გამოიჩენს „მოქმედებისა თუ უმოქმედობის ხასიათისადმი ანდა მოსალოდნელი შედეგების მიმართ იმაზე ნაკლებ ყურადღებას, ვიდრე ის, რომელიც ჩვეულებრივად ახასიათებს კომპლემენტარულ პასუხის მიმართ“.<sup>5</sup> (ხაზი ჩვენია).

მართალია, ინგლისის სისხლის სამართალში ძნელია მოიძებნოს საკანონმდებლო მითითება „კეთილგონიერ კაცზე“, მაგრამ ეს სისხლის სამართლის კოდექსის უქონლობით უნდა აიხსნას. სტატუტები (პარლამენტის აქტები), რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას ცალკეულ დანაშაულისათვის, თითქმის არ ეხებოდა სისხლის სამართლის ზოგად საკითხებს. მიუხედავად ამისა, „კეთილგონიერი კაცის“ მასშტაბი საინფორმაციო არის დამკვიდრებული ინგლისის სამართალ პრაქტიკაში.<sup>6</sup>

ინგლისსა და ამერიკის შერთებულ შტატებში ამჟამად მიმდინარე საკოორდინაციო მუშაობა მიზნად არ ისახავს რადიკალური ცვლილებების შეტანას გაუფრთხილებლობის, ისევე როგორც სხვა ძირითად ცნებათა, განსაზღვრებაში. „სისხლის სამართლის გადამსინჯველ კომისიას“, რომელიც ინგლისში 1959 წელს შეიქმნა, „სამართლის ჟურნალის“ თქმით, გეგმაში არა აქვს მოახდინოს რეფორმა „ფართო“ მნიშვნელობით.<sup>7</sup> როგორც ჩანს, სისხლის სამართლის მოსალოდნელი რეფორმა ინგლისში ისეთივე იქნება, როგორც იქ არაერთხელ ადრეც მოუხდენიათ; ეს რეფორმები კი არსებითად წარმოადგენდა ახალი ფორმის გამოწვევას საერთო სამართლის პრინციპებისათვის, რათა ისინი ეგუებოდეს ინგლისის თანამედროვე სოციალ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მოთხოვნებებს.

ინგლისის მსგავსად, ამერიკის შერთებული შტატების იურისტებსაც უჭირთ მოსწყდნენ თავიანთი სისხლის სამართლის კარჩაკეტილი სისტემის არასრულყოფილ დებულებებს, რომლებიც ფართო შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვანაირი გაგებისათვის. ამას ნათელყოფს ამერიკის შერთებული შტატების საკა-

ნონმდებლო შემოქმედების უკანასკნელი ნაყოფი „სისხლის სამართლის სამართალში კოდექსის“ (Model Penal Code) პროექტი, რომელიც ამერიკის სამართლის ინსტიტუტში შემუშავდა და 1962 წლის მაისში მოწონებულიც იქნა.<sup>8</sup>

აღნიშნული პროექტი ინარჩუნებს გაუფრთხილებლობის ძველ, ტრადიციულ განსაზღვრებას. იგი წმინდა ობიექტურ მასშტაბს იყენებს და ასე ახასიათებს გაუფრთხილებელ ქმედობას: „პირი გაუფრთხილებლად მოქმედებს სამართალდარღვევის მატერიალური ელემენტის მიმართ, როდესაც ვალდებული იყო (ხაზი ჩვენია — მ. უ.) გაეთვალისწინებინა რეალური და გაუმართლებელი რისკი იმისა, რომ მატერიალური ელემენტი არსებობს ან წარმოიშვება მისი მოქმედებით. რისკი უნდა იყოს ისეთი ხასიათისა და ხარისხის, რომ მისი შეუცნობლობა, თუ კი მიღებულ იქნება მხედველობაში მოქმედის ქცევის ბუნება და მიზანი, აგრეთვე, მისთვის ცნობილი გარემოებანი, უნდა იწვევდეს უხეშ გადახრას სიფრთხილის იმ ზომისაკენ, როგორსაც დაიცავდა კომპლემენტარული პასუხი (ხაზი ჩვენია — მ. უ.) მოქმედის ნდობარობაში“ (§ 2, ნაწ. 2. 02 (d)).

ამრიგად, ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალი, ძველიცა და უახლესიც, საერთო სამართალიცა და კანონმდებლობაც, განიხილავს გაუფრთხილებლობას ისეთი წინდახედულების მოვალეობის დარღვევად, როგორსაც გამოიჩენდა „კეთილგონიერი კაცი“ მოქმედის მდგომარეობაში, ე. ი. მის თანახმად გაუფრთხილებლობა ობიექტური ბუნებისა.

შეესაბამება თუ არა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობის არსს? საკმარისია თუ არა გაუფრთხილებლობის დასაბუთებისათვის იმის დადგენა, რომ პირმა არ იმოქმედა „კეთილგონიერი ადამიანის“ მსგავსად? გვაძლევს თუ არა გაუფრთხილებლობის ობიექტივისტური გაგება უფლებას ვიხილავედეთ მას ბრალის სახედ?

წინდახედულების ნორმის დარღვევა მართლაც შეადგენს გაუფრთხილებლობის აუცილებელ პირობას. თუ განზრახვა გულისხმობს ქცევის აქტიურ ნებელობით წარმართვას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საზიანო შედეგისაკენ, გაუფრთხილებლობით მოქმედ პირს არა თუ არ სურს ასეთი შედეგის განხორციელება, არამედ დასაშვებადც კი არ მიაჩნია იგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ განზრახვის დროს პირ-


<sup>5</sup> Criminal Law and Practice of New York. Edited and annotated by J. R. Clevenger, New-York. 1948.

<sup>6</sup> იხ. საკანდიდატო დისერტაცია: Б. С. Никифоров, Учение о виновности в английском уголовном праве, 1945, გვ. 398 (სრ. კავშირის მეცნ. აკად. სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა).

<sup>7</sup> იხ. „The Law Journal“ 1965, № 5166, გვ. 65.

<sup>8</sup> იხ. Model Penal Code, Proposed Official Draft, 1962, აგრეთვე, Columbia Law Review, 1963, vol. 63, No 4. გვ. 589.





რის ნება აქტიურად უპირისპირდება მართლწესრიგის მოთხოვნას, გაუფრთხილებლობის შემთხვევაში პირიქით, გვაქვს ნებელითი ძალთა მობილიზაციის უკმარობა, იმასთან შედარებით, რასაც მართლწესრიგით მოითხოვს. ამგვარ შეუსაბამობას, სამართალში დამკვიდრებული ტერმინოლოგიით, წინდახედულუბნის საყოველთაოდ სავალდებულო ნორმის დარღვევა ეწოდება. საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით იგი შეიძლება გამოვლინდეს ან ქარაფშუტული მსჯელობისა და გადაწყვეტილების სახით (თვითიმედოვნება), ანდა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ინტერესისათვის შექმნილი საფრთხის სრული გაუთვალისწინებლობით (დაუდევრობა).

ამრიგად, ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალი სწორად იქცევა, როდესაც გაუფრთხილებლობის ცნებას არამართლზომიერ ქცევაზე მითითებით აყალიბებს, მაგრამ იგი შეცდომას სჩადის როცა ამ პირობას საკმარისად მიიჩნევს გაუფრთხილებლობის დასაბუთებისათვის და ბრალულობის საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ ობიექტურ მომენტთან აკავშირებს.

სანამდვილეში, მართლწესრიგის მოთხოვნისადმი ქცევის შეუსაბამობა წარმოადგენს ობიექტურ პირობას, რომელიც, მართალია, აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის გაუფრთხილებლობისა და, მის კვალბაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის. იგი ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რა არის პასუხისმგებლობის სუბიექტური საფუძველი. ობიექტურად პირი შეიძლება არამართლზომიერად მოქცეს, მაგრამ მისი ასეთი ქცევა გასაკიცხი არ იყოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც მართლწესრიგის მოთხოვნის შესრულება აღემატება არამართლზომიერად მოქმედი პირის რეალურ შესაძლებლობას ანუ არსებულ ვითარებაში მას არა აქვს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, რომელიც მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინამძღვარია.<sup>9</sup> აღნიშნულ შემთხვევაში მოქმედი ვერ დაიძრახება მორალურად იმ ვნებისათვის, რომელიც ნებელითი სფეროს გარეთ ძვს და რომლის მოხდენა-არმოხდენაზე მას არ შეეძლო რეალური ზეგავლენა ექონია თუნდაც ძალიან ნდომებოდა და ამისათვის თავისი ნებელითი ძალა მაქსიმალურად შემოეკრიბა. ამდენად აქ არ არსებობს თანამედროვე სისხლის სამართლით ბრალისათვის აუცილებელი ფიზიკური საფუძველი და, მაშასადამე, არ შეიძლება არსებობდეს არც თვითონ ბრალი და არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.


ამრიგად, გაუფრთხილებლობის დროს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს მართლწესრიგის მოთხოვნის არა ლიტონი დარღვევა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ჩაუდგენლობა მოქმედის რეალური შესაძლებლობის ფარგლებშია. ეს შესაძლებლობა გულისხმობს სუბიექტის ინტელექტუალურსა და ნებლობითს უნარს, როგორც კონკრეტული ინდივიდისა მის ფსიქიკურ-ფიზიკურ მოლიანობაში. ამიტომ მისი შესაძლებლობის საზომად არ გამოდგება „კეთილგონიერი“ ან „საშუალო ადამიანის“ (average man) განყენებული ფიგურა, ვინაიდან ასეთი საზომის გამოყენება ნიშნავს სუბიექტურ გარემოებათა უგულვებელყოფას. ამის შედეგად, „კონკრეტული ბრალის ადგილს აშკარად იჭერს აბსტრაქტული ბრალი, რითაც საფუძველი ეცლება ინდივიდური პასუხისმგებლობის საწყისს“.<sup>10</sup> ეს კი უაზვროდ აფართოვებს დასჯადი გაუფრთხილებლობის სფეროს casus-ის ხარჯზე და იწვევს ისეთი ზიანის შერაცხვას, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო. ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალი უგულვებელყოფს აღნიშნულ გარემოებებს და წყვეტს გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხს იმ საფეხურზე, როდესაც დადგენილია მართლწესრიგით დაკისრებული წინდახედულების მოვალეობის დარღვევა, ე. ი. მართლწინააღმდეგობა, პირის სუბიექტური შესაძლებლობის საკითხი კი გარკვეული არ არის. გაუფრთხილებლობის ამგვარი დასაბუთება ფაქტიურად აღიარება ობიექტური შერაცხვისა versanti iu re illicita-ს შუასაუკუნეებრივი ფორმით, რომლითაც პირმა შეიძლება პასუხი აგოს აკრძალული მოქმედებით გამოწვეული ყველა საზიანო შედეგისათვის, თუნდაც მისი ბრალი ამ შედეგს არ მოიცავდეს. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აისახება სასამართლო პრაქტიკაში გაუფრთხილებლობის ამგვარი გავება, საკმარისია დავასახელოთ საქმე, Rex. v. Sasun, რომელშიც ბრალის დადება გაუფრთხილებლობითი მკვლელობაში ემყარებოდა ინგლისელი მოსამართლის შემდეგ მსჯელობას: „თუ სიკვდილის მიზეზი უკანონო მოქმედება იყო, რა მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო საზედისწერო შედეგი, ეს მაინც manslaughter იქნება“.<sup>11</sup>

იმის გამო, რომ ზიანის განურჩავლად მიყენების დროს ობიექტური მასშტაბი საკმარისი არ არის ბრალის დასაბუთებისათვის, „მოსამართლეები და მეცნიერნი ხშირად იძულებული იყვნენ მიემართათ ზოგი საეჭვო ზერხისათვის, ჩვეულებრივ „კონსტრუქციული განზრახვის“ (constructiv intent) რა-

1 ობ. В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, 1957, 33-76.  
 10. ვ. მაცუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.  
 11 ობ. К. Кенни, Основы уголовного права, 1949, გვ. 128.

ответственность за неосторожность, 1957.





დაც ანონალიური სახელწოდებით<sup>12</sup> რათა დამტკიცებინათ, თითქოს გაუფრთხილებლობისას იმპარპსდმბს, რომ განზრახული იყო ქმედობის ყველა ბუნებრივი და მოსალოდნელი შედეგი, ანდა — ვითომ გაუფრთხილებლობა მსულისხმისებს განზრახვას ან გაუფრთხილებლობა ახსნებს განზრახვას და ა. შ.<sup>13</sup>

მორლენდი უკუაგდებს ამგვარ ფიქციებს და მიუთითებს, რომ მსგავსი ხრიკები მაშინ იქნებოდა საჭირო, სისხლის სამართალში ბრალეული ნება წინანდელივით აუცილებელი რომ ყოფილიყო; მაგრამ დღეს, როდესაც სამართალი სულ უფრო წინ აყენებს ქმედობის „საზოგადოებრივ ვნებადობას“ მოქმედის მორალურ ვნებადობასთან შედარებით, „კონსტრუქციული განზრახვა“ კარგავს თავის მნიშვნელობას; მოქმედის „გასაკიცხი ფსიქიკური მდგომარეობა არ არის არსებითი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის გაუფრთხილებლობის დროს. ნამდვილი კრიტერიუმი ის არის, შეესაბამება თუ არა ბრალდებულის ქცევა სამართლის მიერ დადგენილ საზომს“.<sup>14</sup>

ამ სიტყვებით მორლენდი საბოლოოდ ხდის ნიღაბს ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალს და ობიექტურ შერაცხვას უკვე აშკარად აღიარებს.

იმ მცდარი წინამძღვრიდან გამომდინარე, თითქოს გაუფრთხილებლობის ეთიკური დასაბუთება შეუძლებელი იყოს, ზოგიერთი კრიმინალისტი მორლენდის აზრისაგან მკვეთრად განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს. მაგალითად, გამოჩენილი თანამედროვე ამერიკელი იურისტი ჯერომ ჰოლი, რაკი ვერ შეძლო გაუფრთხილებლობაში ბრალის ნიშანწყალი დაენახა, თანამიმდევრულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაუფრთხილებლობა უნდა გაიდევნოს დასჯად ქმედობათა სფეროდან. გაუფრთხილებლობის დასჯადობის წინააღმდეგ იგი სწორედ ეთიკურ მოსაზრებებს იშველიებს. გაუფრთხილებლობის დასჯადობის ზნეობრივ დაუსაბუთებლობას და მისი გაუქმების საჭიროებას ჰოლი კარგახანია ამტკიცებს თავის აღრინდელ გამოკვლევებში.<sup>15</sup> მისი უკანასკნელ ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხს მიეძღვნა,<sup>16</sup> განხილულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის სხდომაზე ლისაბონში 1961 წლის 22 სექტემბერს. „არ შეიძლება ვინმე დაისაჯოს ისე, თუ ის აშკარად

არაზნეობრივად არ მოქმედებს, ე. ი. თუ შეგნებულად არ ენებს სხვას“<sup>17</sup> ასეთია ჰოლის ძირითადი არგუმენტი გაუფრთხილებლობის დასჯადობის საწინააღმდეგოდ.

ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და ატომური წარმოების გაფართოების პირობებში, როდესაც გაუფრთხილებლობასთან ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ჰოლის შეხედულება ვერ პოულობს დასაყრდენს ვერც სასამართლო პრაქტიკასა და სისხლის სამართლის თეორიაში, ვერც მოქმედ ამერიკულ კანონმდებლობაში, რომელიც მრავლად ითვალისწინებს გაუფრთხილებლობის დასჯადობის შემთხვევებს. მაგრამ გაუფრთხილებლობასთან ბრძოლას, რა ღონისძიებებითაც არ უნდა წარმოებდეს იგი, მაშინ შეიძლება მოჰყვეს სასურველი შედეგი, თუ სწორი წარმოდგენა გვექნება თვით ობიექტზე ამ ბრძოლისა. ინგლის-ამერიკის სისხლის სამართლის ობიექტივისტური თვალსაზრისი პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ჯანსაღი სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელებას გაუფრთხილებლობის მიმართ.

იმ ფორმულის შეაბამიასად, რომელიც სტატის დასაწყისში მოვიტანეთ, განსხვავება სამოქალაქო-სამართლებრივსა და დანაშაულებრივ გაფრთხილებლობას შორის მხოლოდ ხარისხშია. გაუფრთხილებლობის ასეთი „ხარისხობრივი განსაზღვრება“ ინგლისურ-ამერიკული მოძღვრების თავისებურებას წარმოადგენს.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ იმის დადგენა, რომ განზრახველი მკვეთრ ქცევა მართლწინააღმდეგი იყო, ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებლობით ბრალს. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა იძულებული იყო საამისოდ დამატებითი მომენტები ეძებნა. ინგლისელ და ამერიკელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებებში, დარიგებებში ნაფიცი მსაჯულებისადმი და dictum-ებში ვხვდებით, მაგალითად, მითითებას, რომ „სიფრთხილის უბრალო ნაკლებობა, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაასაბუთოს, არ არის საკმარისი: სისხლის სამართლის მიზნებისათვის არსებობს გაუფრთხილებლობის ხარისხები და დანაშაულის დასასაბუთებლად საჭიროა ძალიან დიდი ხარისხის გაუფრთხილებლობა“.<sup>18</sup> გაუფრთხილებლობის სისხლისსამართლებრივ

<sup>12</sup> მორლენდი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>13</sup> იბ. იქვე.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 38-39.


<sup>15</sup> იხ. Jerome Hall, General Principles of Criminal Law, 1947, აგრეთვე—Studies in Jurisprudence and Criminal Theory, New York, 1957, გვ. 256—257.

<sup>16</sup> იხ. Jerome Hall, Negligent behavior should be excluded from penal liability, Columbia Law Review. 1963, vol. 63. No. 4, გვ. 632.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 636.

<sup>18</sup> Andrews v. director of public prosecutions, Turner and Armitage, დასახ. ნაშრ., გვ. 151.





ხარისხს ინგლისის პრეცედენტული სამართალი სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავს; მათგან ყველაზე უფრო დამკვიდრდა „განუსჯელობა“ (recklessness)<sup>19</sup> „განუსჯელობა“ მეტად ბუნდოვანი ცნებაა; მისი შინაარსი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში არ არის ზუსტად დადგენილი. პრეცედენტულ სამართალსა და თეორიაში ვხვდებით სხვადასხვა ცდებს გაუფრთხილებლობის შემთხვევების შეზღუდვისა ამ მომენტით, მაგრამ, ეს ცდები ერთგვაროვანი არ არის და ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგოცაა.

„განუსჯელობა“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით „სხვა არაფერია, თუ არ გულგრილობა შედეგის განხორციელების რისკისადმი“<sup>20</sup> ამ გარემოებაზე მიუთითებდა ეტკინი, როდესაც ენდრიუზის საქმის გამო აღნიშნავდა, „განუსჯელობა მოითხოვს რისკისადმი გულგრილობას“<sup>21</sup> თუ „განუსჯელობას“ მხოლოდ ამ მნიშვნელობით გავიგებთ, ის არ ეწინააღმდეგება გაუფრთხილებლობის ბუნებას, რადგან იმას, ვინც გაუფრთხილებლად მოქმედებს, მართალია არ სურს და დასაშვებდაც კი არ მიაჩნია სწორედ ეს კონკრეტული საზიანო შედეგი, მაგრამ იგი სათანადოდ არ აფასებს თავისი მოქმედების საშიშროებას საზოგადოდ.

ჩვენი აზრით, „განუსჯელობის“ ამგვარ გაგებას უახლოვდება მორლენდის შეხედულებაც, რომლის მიხედვით დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა გულისხმობს განუსჯეულ უნადვლედ დამოკიდებულებას ადამიანთა სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ქონებრივ თუ სხვა ინტერესებისადმი.<sup>22</sup> მორლენდი ცდილობს გამოიწილოს „განუსჯელობის“ კრიტერიუმი. ასეთად მას მიაჩნია მოქმედების სარგებლიანობა; მისი აზრით, თუ მოქმედებით გამოწვეული საფრთხე უმნიშვნელოდ აღემატება მის სარგებლიანობას, ადგილი უნდა ჰქონდეს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, სოლო როცა საფრთხე მნიშვნელოვნად აღემატება მოქმედების სარგებლიანობას, ისე, რომ „სცილდება ყოველგვარი პროპორციის საზღვრებს“, საქმე გვაქვს „სხვათა ინტერესების განუსჯეულ უგულებელყოფასთან“<sup>23</sup>

„განუსჯელობის“ კრიტერიუმი, რომელსაც მორლენდი გვთავაზობს, მოკლებულია ყოველგვარ გარკვეულობას. ის თვით მოითხოვს დაზუსტებას და ამი-

ტომ გამოუსადეგრად მიგვაჩნია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საკითხის მორლენდისეული გადაწყვეტა ვერ არყვეს გაუფრთხილებლობის ობიექტურობას ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში. მართალია, რისკის სიდიდე მხედველობაში მისაღები გარემოებაა, მაგრამ იგი თავისთავად უშუალო გაგენას ახდენს ხარისხზე მხოლოდ წინდახედულებებს მოვალეობისა, რომლის დარღვევა მარტო მაშინ შეიძლება ბრალად შეირაცხოს, თუ დადგენილი იქნება შედეგის გათვალისწინებისა და თავიდან აცილების შესაძლებლობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ობიექტური საფრთხე, იგი ვერ მოახდენს გაგენას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში იყო ცდები მიენიჭებინათ „განუსჯელობისათვის“ სპეციფიკური იურიდიული მნიშვნელობა, რათა უფრო მარჯველ შეზღუდულიყო გაუფრთხილებლობის დასჯადობის სფერო. მაგალითად, ტერნერის მიხედვით, „განუსჯელობისათვის“ არსებითია ისეთი ვითარება, როცა სუბიექტს „შეგნებული აქვს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს მოცემული შედეგი (ხაზი ჩვენია — მ. უ.)“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ხელს არ იღებს თავის მოქმედებაზე.<sup>24</sup>

მოქმედება, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს კონკრეტული შედეგის შესაძლებლობას და, მიუხედავად ამისა, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ნებუნებობით წარმართავს თავის ქცევას მისი განხორციელებისაკენ, ეგენტუალური განხრახვის დამასასიათებელი შემთხვევაა; იგი ყველაზე უფრო ტიპურია ბრალის ამ სახისათვის და უცხოა გაუფრთხილებლობისათვის.<sup>25</sup> მაშასადამე, ტერნერის მიხედვით გამოდის, რომ „განუსჯელობა“ რომელიცა ხარისხის გაუფრთხილებლობის გამოვლინება კი არ ყოფილა, არამედ ბრალის თვისობრივად სხვა ნაირსახეობა, რომელიც არ გამოდგება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭირო გაუფრთხილებლობის ხარისხის დასადგენად. ამ გარემოებაზე მიუთითა მოსამართლე დევიტმა ირლანდიის სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლოში 1948 წელს; მან განაცხადა: „იმის თქმა, რომ პირი მართავს (მანქანას — მ. უ.) განუსჯეული

19 იხ. მორლენდი, დასახ. ნახშრ., გვ. 28-29.  
 20 Б. С. Никиторов, დასახ. ნაშრ., გვ. 419.  
 21 Turner and Armitage, დასახ. ნაშრ., გვ. 151.  
 22 იხ. მორლენდი, დასახ. ნაშრ., გვ. 31. მორლენდის მსგავსად განმარტავს „განუსჯელობას“ ჰეტუარტი ჩვენთვის უკვე ნაცნობ ბეიტმანის საქმის გამო (იხ. Turuer and Armitage, დასახ. ნაშრ., გვ. 148).  
 23 იხ. მორლენდი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.  
 24 ციტირებულია ბ. ნიკიტოროვის დასახ. ნაშრომის მიხედვით; გვ. 419.  
 25 ამ საკითხის საფუძვლიანი ანალიზი იხ. ვ. მაყაშვილის ნაშრომებში: Волевой и интелектуальный элементы умысла „Советское государство и право“, 1966, 7, გვ. 107; ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, 4, გვ. 19.



გულგრილობით ვინმეს სიცოცხლისადმი, ნიშნავს, რომ მას არ ენაღვლება მოკლავს თუ არა კაცს. ფსიქიკის ამგვარი მდგომარეობა ჩვეულებრივად, თუმცა შეიძლება ყოველთვის არა, შეადგენს საერთო განზრახვას, რომელიც საკმარისია murder-ში („მძიმე“ მკვლელობაში—მ. უ. ) ბრალდების დასაბუთებისათვის.<sup>26</sup>

„განუსჯელობის“ გაგებაში არ შეაქვს სიცხადე ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის შენიშვნასაც, რომლის მიხედვით ეს ცნება ნიშნავს „ბრალდებულის უნაღვლელ დამოკიდებულებას მისი მოქმედების შედეგებისადმი, ინდიფერენტულ განწყობილებას სხვათა ინტერესებისადმი.“<sup>27</sup> ამ განმარტებიდან არ ჩანს, რა იგულისხმება „მოქმედების შედეგებად“, საფრთხის შემქმნელი მოქმედების შესაძლო შედეგები საზოგადოდ თუ კონკრეტული შედეგი, რომელსაც პირი ითვალისწინებს.

ცალკეული ცდები გაუფრთხილებლობის შეზღუდვისა „განუსჯელობის“ მომენტით არ იძლევა ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რა ივარაუდება ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში „განუსჯელობად“ ან როგორ გამოიყენება იგი დანაშაულებრივი და არადანაშაულებრივი გაუფრთხილებლობის გასამიჯნად. მართალია, „განუსჯელობის“ ესა თუ ის განსაზღვრება ზოგჯერ უახლოვდება თვითიმედოვნებისა და ევენტუალური განზრახვის ცნებებს, მაგრამ მათი გაიგივება არ იქნებოდა მართებული, რადგან „განუსჯელობა“ მხოლოდ ინგლისურ-ამერიკული სისხლის სამართლის თავისებურებაა, და მას არ მოეძებნება შინაარსობრივი შესატყვისი კონტინენტურ მოძღვრებაში ბრალის ფორმათა შესახებ.

ამრიგად, ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალმა დაამკვიდრა „განუსჯელობის“ ცნება, მაგრამ არ შემუშავებია ამ ცნების ისეთი, ზუსტი განსაზღვრება, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ერთიანი კრიტერიუმის სახით. ეს ფაქტი ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ცნობილი ინგლისელი იურისტის ოსტინის აზრისა: „...არ არსებობს სხვა ცივილიზებული საზოგადოება, ისეთი არათანამიმდევრული სამართლის მქონე, როგორც ჩვენია. იგი არ შეიცავს არც ერთს იმ განსაზღვრებულ პრინციპთაგან, რომელიც საიმედო საშუალებას წარმოადგენენ ცალკეულის შემცნებისათვის.“<sup>28</sup>

ინგლისურ-ამერიკული სისხლის სამართლის ცდა ხარისხობრივი მაჩვენებლით შეეცხო გაუფრთხილებლობის თვისობრივ ნიშანზე დამყარებული განსაზღვრების ნაკლი, მარცხით დასრულდა. ამ მარცხის აღიარებაა ის, რომ „სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის“ პროექტმა, რომელიც უახლეს საკონონმდებლო ტენდენციებს ასახავს, ჩამოაცილა გაუფრთხილებლობას „განუსჯელობის“ ბუნდოვანი ცნება და მიუჩინა მას ადგილი განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის როგორც ბრალის ცალკე შუალედურ ფორმას (§ 2, ნაწ. 2.02 (c)) გაუფრთხილებლობა კი ამავე პროექტში კვლავაც რჩება როგორც ბრალის დამოუკიდებელი ფორმა და განსაზღვრულია ტრადიციული ობიექტივისტური თვალსაზრისით „კეთილგონიერი კაცის“ მასშტაბზე მითითებით (§ 2, ნაწ. 2.02. (d)).

<sup>26</sup> People v. Dunleavy, Turner and Armitage, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

<sup>27</sup> Criminal Law and Practice of New York, Edited and annotated by J. R. Clevenger, New York, 1948. Editional notes to § 1053-a.

<sup>28</sup> John Austin, Lectures on jurisprudence, London, 1911, I, გვ. 467.



## ნასამართლობის გაქაჩყება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

თ. შავჭულიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1. ნასამართლობა არის სასამართლოს მიერ პირისათვის მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგი, რომელიც მსჯავრდებულის უფლებების კანონით განსაზღვრული შეზღუდვით გამოიხატება.

ნასამართლობას ორგვარი შედეგები მოსდევს: ერთი—საერთო სამართლებრივი, ხოლო მეორე—წმინდა სისხლისსამართლებრივი. ნასამართლეს პირის საერთო უფლებრივი შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს საცხოვრებელი ადგილის ამოწმების თვისუფლების, ზოგიერთი თანამდებობის დაკავების უფლების ერთგვარი შეზღუდვით და სხვა.

ნასამართლობის წმინდა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ (იხ. მაგ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი), ან პასუხისმგებლობის დამამძიმებელ (იხ. იქვე 39-ე მუხლის 1 პუნქტი) გარემოებას წარმოადგენს. ნასამართლობას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პირის რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაჭრისათვის (იხ. იქვე, მუხ. 44).

2. კანონით დადგენილია ნასამართლობის ავტომატურად გაქარწყლებისა და მისი სასამართლოს განჩინებითა თუ ამნისტიით მოხსნის წესი.

ნასამართლობის გაქარწყლებისა და მისი მოხსნის მიზანია—საბოლოოდ აღუდგინოს სასჯელმძღვანელობის წინანდელი უფლებრივი მდგომარეობა. ნასამართლობის გაქარწყლება თუ მოხსნა სპობს მსჯავრის სამართლებრივ შედეგებს. ასეთ პირს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი „ნასამართლეს არ არის“.

3. ნასამართლობა საერთოდ არ ჩნდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულია იმის გამო, რომ თუმცა მისი ქმედობა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის II ნაწ.); აგრეთვე, თუ მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ჩამდენი განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით (იქვე, მუხლი 52), ანდა თუ დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მისი თავდებქვემ გადაცემით (იქვე, მუხლი 53).

ბ) თუ გასულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 49 მუხლი).

გ) თუ დანაშაულის ჩამდენი განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან, რადგან გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ვითარება შეიცვალა და ქმედობამ დაჰკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან თვით პირმა თავისი ყოფაქცევით სასამართლოში საქმის განხილვის დროი-



სათვის დაამტკიცა რომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51 მუხლი).

4. ნასამართლობა გაქრწყლებზე რეაბილიტაციის შემთხვევაში, ე. ი. თუ მსჯავრის უსაფუძვლობის გამო პირი განთავისუფლებულ იქნა, ან გამართლდა სასჯელის მოხდის შემდეგ.

5. არ ითვლება ნასამართლევად მსჯავრის მოხდის დღიდანვე:

ა) პირობით მსჯავრებული, რომელსაც გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ახალი დანაშაული არ ჩაუდენია.

ბ) პირი, რომელმაც სასჯელი მოიხდა სადისციპლინო ბატალიონში ან განთავისუფლებულ იქნა იქიდან ვადადღე, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც გამასწორებელი სამუშაოების ნაცვლად მოიხდა სასჯელი ჰაუბტ-ვანტში ყოფნით.

სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ვალდებული, რომელსაც განაჩენის აღსრულება გადადებული ჰქონდა საომარი მოქმედების დამთავრებამდე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის ძალით განთავისუფლდა სასჯელისაგან.

6. ნასამართლობა გაქრწყლებზე გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, ასეთ შემთხვევებში ნასამართლობის გაქრწყლების ვადები ემთხვევა გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადებს.

7. რიგ შემთხვევაში კანონი აწესებს ნასამართლობის გაქრწყლების დიფერენცირებულ ვადებს, რომლებსაც ძირითადად ფაქტიურად მოხდილი სასჯელის სიმძიმეს უკავშირებს. ნასამართლობის გაქრწყლების ვადები შემდეგია:

ა) 1 წელი იმისათვის, ვისაც მისჯილი ჰქონდა საზოგადოებრივი გაკიცხვა-ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა, რაიმე თანამდებობაზე ყოფნისა თუ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ანდა გამოსწორებული სამუშაოები;

ბ) 3 წელი, როცა პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს 3 წლისა, გადასახლება ან გასახლება;

გ) 5 წელი თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ექვსი წლისა.

დ) 8 წელი—როდესაც პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 6 წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლისა.

8. ნასამართლობის გაქრწყლებისათვის კანონმდებელი აწესებს მხოლოდ ერთ პირობას,—სახელდობრ სასჯელმოხდილმა ნასამართლობის გაქრწყლების ვადაში ახალი დანაშაული არ უნდა ჩაიდინოს. ნასამართლობის გაქრწყლების ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა იწყება სასჯელის (როგორც ძირითადის, ისე დამატებითის) მოხდის დღიდან და წყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა სხვა ახალი დანაშაული ჩაიდინა.

9. ნასამართლობის ავტომატური გაქრწყლება არ ხდება, თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით. ასეთ პირებს ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას 8 წლის შემდეგ სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) მოხდის დღიდან მხოლოდ სასამართლოს სპეციალური დადგენილებით, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ მსჯავრდებული გამოსწორდა და საჭირო აღარ არის ნასამართლევად ითვლებოდეს.

10. სასამართლოს უფლება აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციის შუამდგომ-



ლობით პირს მოუხსნას ნასამართლობა კანონით დადგენილ ვადაზე ადრე, თუ იგი სასჯელის მოხდის შემდეგ სამთავროს ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებს რომ გამოსწორდა.

ის წესი, თუ როგორ განიხილავს ნასამართლო შემთხვევას ნასამართლობის მოხსნის შესახებ დადგენილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლით.

11. ნასამართლობა არ შეიძლება მოიხსნას ვადაზე ადრე, თუ სასჯელი, დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, ან პირობით თავისუფლების აღკვეთასთან.

12. იმას ვისაც ნასამართლობა გაუქარწყლდა, ამის დამადასტურებელი საბუთი არ სჭირდება. ნასამართლობის მოხსნის შემთხვევაში კი საჭიროა მითითება იმ ნასამართლო დადგენილებაზე, ან ამნისტიის აქტზე, რომლის ძალითაც ნასამართლობა მოხსნილია.

13. თუ პირს სასჯელი შეუმცირდა ან შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით ამნისტიის თუ შეწყალების შედეგად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ნასამართლოს განჩინებით მსჯავრდებული ვადაზე ან პირობით, ვადაზე გათავისუფლებულია სასჯელისაგან ან მას დანიშნული სასჯელი უფრო მსუბუქით შეეცვალა (კოდექსის მუხლი 44 და 55), მაშინ ნასამართლობის მოხსნის ვადა გამოითვლება ფაქტიურად მოხდილი სასჯელის მიხედვით მისი მოხდის დღიდან.

14. თავისთავად პატიების აქტი არ სპობს ნასამართლობას. თუ პირს პატიების აქტით სასჯელი შეუმცირდა ან შემთხვევაში ნასამართლობის გაქარწყლების თუ მისი მოხსნის ვადები გამოითვლება ფაქტიურად მოხდილი სასჯელის კვალობაზე.

15. თუ პირმა სასჯელის მოხდის შემდეგ ჩაიდინა ახალი დანაშაული ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე, პირველ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გამოითვლება შემდგომი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) მოხდის დღიდან, რადგან „ნასამართლობის გაქარწყლების ვადა ახალი დანაშაულის ჩადენის დროს კი არ ჩერდება, არამედ წყდება და გამოითვლება ხელახლა, უკანასკნელი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ“ (რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 ივლისის დადგენილება ს-ს საქმეზე; იხ. „ВВС РСФСР“ 1965, № 11, стр. 12).

მაგალითად, თუ პირმა მოხდა სასჯელი 4 წლის თავისუფლების აღკვეთის სახით და მეორე 3 წლის შემდეგ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ნასამართლობის გაქარწყლების ვადა, როგორც პირველი, ისე მეორე დანაშაულისათვის დაიწყება ბოლო დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდის დღიდან. ამრიგად ნასამართლობა, დაკავშირებული მეორე დანაშაულთან გაქარწყლდება 2 წლის შემდეგ ბოლო სასჯელის მოხდიდან, ხოლო პირველი ნასამართლობა 5 წლის შემდეგ.

16. „განაჩენთა ერთობლიობით აღმოცენებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადები გამოითვლება პირის თავისუფლების აღკვეთისაგან განთავისუფლების და არა ერთერთი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდის დღიდან“ (რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 29 აგვისტოს დადგენილება ა-ს საქმეზე. (იხ. „ВВС СССР“, 1962, № 12, стр. 13).

17. ნასამართლობა არ უნდა მიიღოს მხედველობაში კანონის მიხედვით გაქა-





რწყლებული ან ამნისტიით მოხსნილი ადრინდელი ნასამართლობა როცა იხილავს საკითხს პირის განსაკუთრებით სამიშ რეციდივისტად ცნობისა, თუ სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ. სასამართლოს არ შეუძლია აგრეთვე მიიჩნიოს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა დამამძიმებელ გარემოებად (იხ. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 25 სექტემბრისა და 1963 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება“ შ-ს საქმეზე. (იხ. „БВС РСФСР“ 1967 № 6, стр 11; „БВС РСФСР“, 1964 № 3, стр. 13; „БВС СССР“, 1965 № 3, стр. 21).

18. საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის უცხოეთის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდა არ ათავისუფლებს საბჭოთა მოქალაქეს სისხლისსამართლებლივ პასუხისმგებლობისაგან საბჭოთა სასამართლოს წინაშე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში ნასამართლობის გაქარწყლების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ საბჭოთა სასამართლო რა მსჯავრს გამოიტანს უცხოეთში სასჯელის მოხდის შემდეგ.





## ქართული სამართლებრივი ტერმინების სემანტიკის ფორმირების ძიებისათვის

დავით ფურცელაძე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

თანამედროვე ქართული სამართლებრივი ტერმინების ძიება წარმოებს დაახლოებით 1920 წლიდან, როდესაც ივ. ჯ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ს. ა. და იოს. ყ. ი. ფ. შ. ი. ძ. ი. ს. მონაწილეობით გამოიცა მოკლე „რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“. მას აქვთ დიდი წარმატება მოპოვებული — მრავალი საბჭოური საკანონმდებლო აქტის შედგენად, ასევე ვრცელი ორიგინალური და ნათარგმნი სპეციალური ლიტერატურისა და მეცნიერულ-ტერმინოლოგიური მუშაობის წყალობით ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია ძირითადად ჩამოყალიბდა. ამ საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპის დასასრულად შეიძლება ჩაითვალოს ენათმეცნიერებისა და ეკონომიკის ინსტიტუტებში მომზადებული „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილი, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა.

ცხადია, ვერ ითქმის, ვითომ ამით საქმე საბოლოოდ დაგვირგვინებულიყოს. ჯერ ერთი, დასამთავრებელი და გამოსაცემია ხსენებული ლექსიკონის ქართულ-რუსული ნაწილი, რომლის დანიშნულება ისიც არის, რომ ახალი შინაარსით გააცოცხლოს სამართლისმიერი მნიშვნელობის ანდა საამისო ელფერის დიდძალი სიტყვა თუ გამოთქმა, რაც ჩვენმა წარსულმა მწიგნობრობამ და ხალხის მეტყველებამ შემოვიტანა, ხოლო ჯერ კიდევ უქმად არის დარჩენილი. მეორე მხრივ, ტერმინოლოგია უძრავ რასმე არ წარმოადგენს, იგი ნიადაგ იცვლება და ფართოდგება, გამუდმებულ დახვეწას, სრულყოფასა და გამდიდრებას მოითხოვს.

ორსავე ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორში. მაგრამ ეს როდი კმარა. ეჭვი არ უნდა, კარგ ნაყოფს გამოიღებდა, თუკი მეცნიერი იურისტების, იუსტიციისა და სათანადო ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეთათვის ტერმინოლოგიური საკითხები მათ ძირითადი საქმიანობის საჭიროებით გზადგავსა წამოჭრილი კერძო ამოცანები კი არ იქნებოდა მხოლოდ, არამედ ყოველდღიური ყურადღებისა და კრიტიკულ-შემოქმედებითი დამოკიდებულების საგნად მოგვევლინებოდა. მაშინ ბეჭდვით სიტყვაშიაღწევა წინადადებათა ახალი ტერმინების შემოსაღებად თუ მოქმედთა გასაუქმებლად დღევანდელივით კანტი-კუნტად როდიდა გამოჩნდებოდა; უფრო მეტი სასარგებლო შენიშვნა გამოითქმოდა აგრეთვე „იურიდიული ტერმინოლოგიის“ ზოგი ხარ-

ვეზისა და უზუსტობის თაობაზე, რომელნიც მას, რასაკვირველია, გამოყოლილი აქვს და ფხიზელ თვალს არ გამოუხარება.

ამას გვინდა ცოტა რამ დავძინოთ, თუმცადა ახალი და საცილობელი თითქოს არაფერი უნდა იყოს. წინა დროის იურიდიულ-ტერმინოლოგიურ მუშაობაში გასაგებ გარემოებათა გამო თარგმნითობა სჭარბობდა. ამაში დასაძრახისი არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბეჯითი ძიებისა და შემოქმედებითი მიდგომის ნაცვლად მთარგმნელობა ხშირად პირდაპირ, სიტყვასიტყვით გადმოღებვას წარმოადგენდა. ასეთი გზით მიღებული ქართული შესატყვისები მეტწილად საყოველთაო ხმარებაშია შემოსული, მაგრამ ბევრჯერ უკეთესიც მოიძებნება. და როცა ამგვარი რამ გამოჩნდება ხოლმე, მას წინ ადრინდელის „დამკვიდრებულობის“ ჯებირი ეღობება. ტერმინოლოგიის სიმყარე ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს და ამიტომ დამკვიდრებულობა მაგარი და ანგარიშგასაწვევი საბუთია, ოღონდ გაუმართლებელი კონსერვატიულობით არ უნდა იყოს ნაკარნახევი. მის შეფასებაში აუცილებელია ზომიერება, ინერციის ძალა შემთავაზებული სიახლის მოხერხებულობას და შინაარსობლივსა და ენობრივ დასაბუთებულობას უნდა შეეწონოს. აღნიშნული თვალსაზრისით, მრავალადრინდელ მარჯვე მინაგნებს რომ აღარ გამოვეკიდოთ, ამ ახლო ხანში გამარჯვებული ტერმინების მაგალითად იკმარებს თუნდაც განსჯადობა და მტკიცებულება ვახსენოთ.

სწორედ ამ ორი ტერმინის დასახელება იმიტომაც ვამჯობინებ, რომ, ადვილად გავრცელების მიუხედავად, მათზე ახლახან მიტანილია იერონი ნ. კეველიცვილი ს მიერ („კვიდე ერთხელ ვნის სიწმინდის დაცვის შესახებ“ — „საბჭოთა სამართალი“, 1967, 1, გვ. 56-59) და „ზოგი მისი შენიშვნის განხილვა ჩვენ წერილის მიზანს პირდაპირ უკავშირდება.

მტკიცებულება, თქმა არ უნდა, ერთგვარი ხელოვნურობის კვალი ატყვია. Доказательство-ს შესატყვისად მას ვხედავთ 1937 წლის რუსულ-ქართულ ლექსიკონში და შემდეგ „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“. მის გაზიარებას საფუძვლად უძევს შემდეგი: ა) ძველად იხმარებოდა აღმოჩენა, აღმოჩინება და მტკიცება, დამტკიცება (ნ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი... 1961;





დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887; მისივე Русско-грузинский словарь, 1901; აგრეთვე: ქართ. სამართ. ძეგლ., I, 1963, სამართალი ბერძნული, მუხ. 143; ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, მუხ. 260; სამართალი ბატონისშვილის დავითისა, 1964, მუხ. 40), მაგრამ აღმოჩენას, აღმოჩინებას ДОКАЗАТЕЛЬСТВО-ს მნიშვნელობა სადღეისოდ არ შერჩენია, ისევე როგორც დამტკიცებას, ხოლო მტკიცებობასაგან სხვა უკეთესი ფორმა, ჯერხანად მაინც, ვერ მოიხიზა; ბ). საბუთი, რომელიც აგრეთვე იხმარებოდა ჩვენთვის საინტერესო აზრით (მაგ., „სამოქალაქოს სჯულებილება“, II, 1966, ნაკვ. 15<sub>16</sub>), უფრო არგუმენტა და დოკუმენტს ნიშნავს (ნ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი); რაც შეეხება დამამტკიცებელ საბუთს, აღნიშნულის გარდა მხედველობაში მისაღები ისიც, რომ ორსიტყვიან ტერმინებს შეძლებისდაგვარად უნდა ვერდიოთ, რადგან ხმარებაში ისინი მაინცაღმამინც მოსახერხებელი როდია.

ამიტომაც არის, ალბათ, რომ ენობრივსა და ტერმინოლოგიურ საკითხებში ჩახედული გ. კვარაცხელია, თუმცა მტკიცებულების საწინააღმდეგოდ რამდენსავე მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს, მაინც მას ემხრობა და დასძენს, „ჯერჯერობით უკეთესი ტერმინი ამ ცნების გამოსახატავად არა გვაქვს“-ო.

ნ. კველიშვილი არ ეთანხმება გ. კვარაცხელიას დასკვნას და ამბობს: „რატომ „მტკიცებულება“ და არა მტკიცება ან მტკიცებე“-ო? შემდეგ იგი ნიმუშად ასეთნაირად თარგმნის კანონის გამოთქმას *обязанность доказывания и представления доказательств*: „მტკიცებისა და მტკიცებებათა წარდგენის მოვალეობა“ (გვ. 56). მაგრამ ეს ნიმუში არათუ არ შევიღის ავტორს, პირიქით მის საწინააღმდეგოდვე მოწმობს; *доказывание* — მტკიცების პროცესი — და *доказательство* — თვითონ მტკიცებულება — ორი სხვადასხვა შინაარსისა და ორივე აუცილებლად საჭირო ტერმინია, მოტანილ თარგმანში კი ისინი განსხვავებული არ არიან; ძნელია ვიწამოთ, რომ იკმარებს მოქმედების სახელი (*доказывание* — მტკიცება) მრავლობითში გადავიტანოთ (მტკიცებათა) და ამით ესოდენ გართულებული ტერმინოლოგიური საკითხი გადაიჭრება. მერმე-და, რა გქნათ მაშინ, როცა საუბარი ერთ მტკიცებულებაზეა და არა რამდენიმეზე? შეუწყნარებლად ვეჩვენება აგრეთვე კანონის ტექსტში უჩვეულო შემოკლება-კომპოზიტი „ნივთმტკიცება“ (იქვე).

ასლა განსჯადობაზე. ეს ტერმინი ნ. კველიშვილს „შეთხზულად“ მიაჩნია და თანაც ჰგონია, ვითომ განსჯადობა გულისხმობდეს თვითონ მოსარჩელის „განსჯას“, რომელ სასამართლოში შეიტანოს თავისი სარჩელი, და ამდენად *подсудность*-ს არ გამოსატყვევებს; იგი უსაყვედურებს განსჯადობის „ავტორს“, თუკი თავისი ტერმინის ვარგისობა სჯე-

როდა, რატომ არის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლში „საქმის უწყებრივი დაქვემდებარების“-ო? განსჯადობის ნაცვლად ნ. კველიშვილი ქვემდებარებობას გვთავაზობს“ (გვ. 58-59).

პირველად ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას *подсудность*-ის ცნების გაგებისათვის. სამართალი იცნობს ორ ცნებას: *подведомственность*-სა და *подсудность*-ს პირველი შეეხება კომპეტენციის გამიჯვნას სასამართლოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის, ე. ი. იმას, სასამართლოს განსახსრულია საქმე თუ სხვა რომელიმე უწყების განსახილველი და გადასაწყვეტი; მეორე — სასამართლო საქმეების განაწილებას ნაირი სახისა თუ ინსტანციის სასამართლოებს შორის, ე. ი. თვითონ სასამართლო კომპეტენციის შიგნით (ნ. თუნდაც *Гражданский процесс*. Под ред. ...Клейнмана А. Ф., 1940, გვ. 87, აგრეთვე 93 და სხვ.).

იმედია, არ მოგვეთხოვება იმის მტკიცება, რომ თავისთავად განსჯადობა უსათუოდ მოსარჩელის განსჯას როდი ვარაუდობს.

არ მართლდება, რაც მთავარია, ნ. კველიშვილის განცხადება განსჯადობის შეთხზულობის თაობაზეც. ასეთი აზრის გასაქარწყლებლად საკმარისი იყო მოგონებოდა: სჯა, სჯული (=სამართალი), განსჯა, მსჯული (=მოსამართლე), მსჯავრი (=სჯის, განსჯის შედეგი, განაჩენი, გადაწყვეტილება), სასჯელი (=გადახდევინება უმართლობისათვის).

იგ. ჯავახიშვილი დაწვრილებით იხილავს სათანადო ტერმინოლოგიას (ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, კარი მესხეთე, I..., თავი პირველი — გვ. 471-483). მას გამორკვეული აქვს, რომ ძველი ქართული სასამართლო პროცესისათვის სჯა, განსჯა, მსჯული, მოსჯული, მსჯავრი, სამსჯავრო სახლი უპირატესიც კია განსამართლებასა და დასამართლებასთან (= დასჯა; ძველად მოსამართლე — XIII-XIV საუკუნემდე — და სასამართლო არა ჩანს) შედარებით; თვითონ სამართალი კანონსაც ნიშნავდა. სამართლიანსაცა და მსჯავრსაც; ბჭე, ბჭობა, განბჭობა, საბჭო უფრო გვიანდელია და შეხედულულიც გამოყენების დროს მისხედვით, თუნდაც არაფერი ითქვას იმაზე, რომ ბჭე კარსაც, ხოლო ბჭობა უბრალოდ თათბირსაც ნიშნავდა და ნიშნავს კიდევც (გვ. 473-477, 499). განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქართულ სამართალს ძველადვე შემუშავებული ჰქონია ტერმინი ტერიტორიული განსჯადობის აღსანიშნავად; ასეთია, სახელდობრ, „სასჯული სამარებლო“ (გვ. 471, 472).

განსჯა, განსჯა, სარჯული, სასჯული, სასჯელი, სასჯელი ჩვენს ლექსიკონ-



რფაში, ძველშიცა და ახალშიც, მტკიცედ დაკავშირებულია სამართალწარმოებასთან.

უფრო მეტიც, უკვე დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში (1901) подсудимый თარგმნილია: „განსჯადი, ქვემდებარე განსჯისა“ (ხაზგასმა ჩვენი). განმარტებით ლექსიკონში განსჯადის შესახებ ვკითხულობთ: „ძვ. წიგნ. ვისი (რის) განსჯაც შეიძლება“. დასასრულ, ერთტომეულსა და სამტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში (1937; 1956-1959) გვაქვს: „Подсудность... განსჯადობა... Подсудный... განსჯადი...“

ჩვენ ბოლოსთვის მოვიტოვეთ ნ. კველიშვილის შენიშვნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლზე, რადგან მას სიტყვა ქვემდებარეობის გამოყენებასთანაც მივყავართ. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ, თუ მხარე ან საქმეში ჩაბმული სხვა პირი სასამართლოს არ დასწრებია, მას სათანადო საბუთების პირების გაგზავნით პროცესის ვითარება უნდა ეცნობოს; ასეთი საბუთებია საქმის არსებობად გადაჭრული გადაწყვეტილება ანდა განჩინება ერთერთ შემდეგ საკითხზე: საქმის შეჩერებისა თუ მისპობის, სარჩელის განუხილველობის ან „საქმის უწყებრივი დაქვემდებარებით გადაცემის შესახებ“; უკანასკნელი (მართლაც უხეირო რედაქცია კი არის) ნიშნავს, რომ საქმე სასამართლო კომპეტენციისა подведомственности-ის; ნ. ზემოთ) არ გამოიღვა და შესაბამის უწყებას გადაეცა. ამრიგად აქ განსჯადობა არაფერ შუაშია და ამ ტერმინის გამოყენება შეუფერებელიც იქნებოდა.

ქვემდებარე, ქვემდებარეობა, ქვემდებარეობა და ზემორე, კანონში ნახმარი და ქვემდებარეობა ნიშნავს დამოკიდებულებას, გამგებლობაში ყოფნას, დამორჩილებას, ხელქვეითობას (ქვემდებარეობა, ქვემდებარეობა = подлежит და მოითხოვს აღნიშნული იყოს ვისი თუ რისი, ვის დმი თუ რის დმი. Подсудность-ის ქართული შესატყვისი ასე რომ ვაწარმოთ, მივიღებთ სასამართლო თან სასამართლოს ქვემდებარეობას, ე. ი. ორნატიკიან ტერმინს, რაც სასურველი არ არის, და ამასთანავე ისეთს, რომელიც უფრო სასამართლო გამგებლობას, подведомственность-ს გამოხატავს და არა განსჯადობას. ამიტომ „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ განსჯადობის (= подсудность), განსჯადის (= подсудный) და განსასჯელის (= подсудимый) საპირისპიროდ подведомственности-ისათვის გამოყენებულია საქვეუწყებობა, ხოლო подведомственный-ისათვის — საქვეუწყებო.

მაგრამ „იურიდიული ტერმინოლოგია“ ვერ იცავს თანამიმდევრულობას подследственный-ის შესატყვისის დადგენაში. იქ არის: „1. გამოძიებაში ყოფნა (подследственный ... გამოძიებაში მყოფი“. — დ. ფ.); 2. საგამოძიებო ქვემდებარეობა“. მე-„2“ ნიშნავს, რომ ესა და ეს საქმე თუ პირი ამა და ამ საგამოძიებო ორგანოს გამოსაძიებელია, რის გამოსახ-

ტავად აჯობებდა გამომძიებობითობა თუ გამომსაძიებლობა ყოფილიყო.

შეიძებოდა ნ. კველიშვილს სხვაშიაც გამოედავებოდით, მაგალითად, დასაბუთებულობის (გვ. 56), სავალდებულობის (გვ. 58), დედანი საბუთის (გვ. 57) შეგვეკვა-გაუბრანობის წინადადებათა გამო, მაგრამ აღარაღირს. ყურადღების საგნად გავხდით მხოლოდღა ორ მის შენიშვნას, რომლებიც, ისევე როგორც განსჯადობის კრიტიკა, საბაზს იძლევა ტერმინოლოგიური მუშაობის კიდევ ერთი ცხადი და უუცველი პირობა განცხნეთ, სახელდობრ ის, რომ საჭიროა სათანადო ცნებების გარკვევა, მათ შინაარსის ზედმიწევნით ცოდნა.


ნ. კველიშვილი განცვიფრებას არის „განაჩენის კანონიერი ძალით“. რის მაქნისია ეს ტერმინი-გამოთქმა, უკანონო განაჩენი ძალას როგორ მოიპოვებს, ხოლო ძალაში შესული განაჩენი უკანონო ვის გაუვიანო (გვ. 57)? მაგრამ საქმე ის არის, რომ სამისოდ დადგენილი პირობებისა და ვადების შესრულების შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განაჩენი ისეთსავე ძალას იძენს, როგორც კანონს ახასიათებს, კანონივით საყოველთაოდ სავალდებულო და ურყევი ხდება. სასამართლოს გადაწყვეტილება-განაჩენის კანონიერი ძალა პროცესის თორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია; მისთვის მიძღვნილ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს განსვენებული ქართველი მეცნიერის დ. პოლუმოორ დვინოვის მონოგრაფიასაც Законная сила судебного решения (თბილისი, 1964. ნ. აგრეთვე სისხლისა თუ სამოქალაქო პროცესის რომელ სახელმძღვანელოშიც გინდა).

ტერმინ „საწარმდგენლობა ბუთი სიტყვა საწარმდგენლო „ენის ვასატებისა“-ო. აცხადებს ნ. კველიშვილი და განაგრძობს, „რად გინდა სიტყვების ასეთი ვარჯიში... ვთქვით „წარმომადგენლობის საბუთი“-ო (გვ. 58). საწარმდგენლოდ ისეთი საბუთი იწოდება, რომლითაც მასთან დაკავშირებული უფლებები ეკუთვნის იმას, ვისაც იგი იმემაღდ ხელთ უყრია და ვინც მას მოვალე ფიზიურსა თუ იურიდიულ პირს ვასანადგებლად წარუდგენს; ასეთებია, მაგალითად, საწარმდგენლო ჩეკი, საწარმდგენლო აქციისა საპირისპიროდ სახელობითი წიკისა თუ აქციისა, რომლებშიაც უფლებამოსილი პირი თავიდანვე დასახელებულია (ნ. თუნდაც: სამოქალაქო სამართალი, II, 1947, გვ. 220). წარმომადგენლობის საბუთი კი მინდობილობის ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული პირისათვის მიცემული რწმუნებულება, რწმუნების ქალაღი, წერილი იქნება.

ასლა, საკმაოდ გავრძელებული შესავალი მსჯელობის შემდეგ, გინდა მკითხველს რამდენიმე ტერმინის შემუშავების ცდაც გავუზიაროთ.

ზოგ სამართლის სისტემაში გვხვდება სამართალ-





დარღვევის დაყოფა სიმძიმე-სიმსუბუქის კვლობაზე სამ მოვარ ჯგუფად: დანაშაულად, გადაცდომად და დარღვევად (преступление, проступок და нарушение). ამ დაყოფის სადაურობასა და დროინდლობაზე სიტყვას ადარ ჩამოვადგებთ, გვიხსენებთ მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის ცნობებსა და მოსაზრებებს შესაბამისი ტერმინოლოგიის თაობაზე (ქართ. სამართ. ისტ., II<sub>2</sub>, 1929, გვ. 251-263). ჩვენი მწერლობისა და სასართლის ძველების მოწმობით, აღნიშნული სამწვერანი დაყოფა ქართულ სამართალსაც სცოდნია (დიდი, საშუალო და მცირე; მსუბუქი, მძიმე და უძიმესი). მაგრამ ნორმის გარდასვლასთან, გარდახდომასთან (ნ. ავრთვეს ს. ერებრიაკოვის „ძველქართულ-რუსული ლექსიკონი“, 1962: გარდასვლა, გარდაქმნა) თუ დათრგუნვასთან და გარდამავლობით მოქმედებასთან (=გარდამავლობასთან), როგორც სამართალდარღვევის ზოგად ცნებასთან, ერთად ცნობილი ისეთი უფრო კერძო სახელები, როგორც იყო შეცოდება, ბოროტმოქმედება (← ბოროტის მოქმედი), ძვირმოქმედება ← ძვირისმოქმედი) და დანაშაული, სიმძიმის მიხედვით ჯგუფებს არ უკავშირდება; „მხოლოდ ბოროტმოქმედება... დანაშაულზე უფრო მძიმე შეცოდების გამოხატული უნდა ყოფილიყო“. რაც დანაშაულს შეეხება, სულხან-საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს: „შეცოდება, ესე იგი არს შავად ქნა საქმისა“ (თხზულებანი, IV<sub>1</sub> და 2, ლექსიკონი ქართული) და ივ. ჯავახიშვილი დასძენს, თავდაპირველად ასეც რომ გულისხმებულყოფ, დაშაგება აგრეთვე ვნების მიყენებას ნიშნავდაო (საბასთანვე: „დაშაგება ზვიზვიად შექ(მ)ნა“; და ასლაც ნიშნავს); იგი ამბობს აგრეთვე, რომ ეს ტერმინი XIV საუკუნემდე არა ჩანს. ასეა თუ ისე, დაშაგება, დამანაშავე, დანაშაული ახლანდელი მნიშვნელობით XVI საუკუნიდან მინც იხმარება (ქართლ. ცხ., II, 1959, გვ. 363; ქართ. სამართლ. ძველ., II, 1965, გვ. 221 და სხვა); ასევე შემდგომი ჩვენი ლექსიკოლოგები ამ სიტყვებს მკვეთრად преступление-ს რიგშიც განმარტავენ. რაკი ასეა, ტერმინ დანაშაული და დამკვიდრებლობას преступление-ს შინაარსით ხელი არ შეემატება.

სხვა ვითარება გადაცდომის საკითხში. არც ძველებში და არც ლექსიკონებში იგი თითქოს არ გვხვდება, განმარტებით ლექსიკონის გარდა, სადაც „მცირე და აუღალ“ არის ახსნილი; ნიშანდობლივია, რომ სამეტყუელი რუსულ-ქართული ლექსიკონი გადაცდომას არ ითვისებს (ნ. проступок), ერთტომეულში (1937) კი проступок იურიდიული მნიშვნელობით თარგმნილია გარდახდომის ილთბად. თუცა გადაცდომის შესულია „იურიდიულ ტერმინოლოგიაშიცა“ და კანონმდებლობაშიც (მაგ., საქართ. სსრ უმაღლ. საბჭ. პრეზ. 1966 წლის 26. I ბრძანებულება — დებულება საქართვ. სსრ სასამართ-


ლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მუხ. 3), მინც მას ფეხი მტყეცედ არ უნდა ჰქონდეს მოკიდებული. იგი ახლდ არის შეთხზული, აშკარაა გარდასვლის, გარდახდომისა თუ გარდამავლობის მიხედულობით და ამგვარადვე ნაწარმოები, მაგრამ, თუ უკანასკნელები აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ, გადაცდომას ერთგვარად პასურობის იერი გადაჰყავს.

ადვილი შესამჩნევია, რომ გარდასვლას, გარდახდომასა თუ გარდამავლობას და преступление-ს, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ, სრულიად ერთნაირი ეტიმოლოგია აქვთ („გარდაცხედლი... მცნებასა“ — преступные заповеди. ივ. ჯავახ. დასახ. თხზ., II<sub>2</sub>, გვ. 253). ასევე ახლთა ერთმანეთთან ამ მხრივ преступление და проступок ამიტომ проступок-ის შესატყვისად გადაცდომის მაგივრად ჩვენ მხარს დავუჭერდით გარდახდომას (ნ. განმარტ. ლექს: „გარდაცდება... ძვ. გრდუვ. დინამა... 2. ვადატ. ასცდება, გადაუხვევს. უგულებელყოფს...“) ან გარდამავლობას.

ცოტა არ იყოს გაძნელდა რიგიანი შესატყვისის მონახვა намеренне-სათვის, სათანადო ტერმინი კი აუცილებლად საჭიროა. Намеренне მეტად ახლთა განზრახვასთან, სახელდობრ მას შეიძლება პირდაპირი განზრახვის ბირთვი ეწოდოს; ამდენად იგი დამასასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს დანაშაულის ცდისა და მომზადების ბუნებისათვის, რადგან ეს ქმედობები სწორედ ამგვარ განზრახვას გულისხმობს და არაპირდაპირ, ევენტუალურ განზრახვას არ უთავსდება.

ჩვეულებრივ намеренне განზრახვადვე (რუს.-ქართ. იურიდ. ლექს.; რუს.-ქართ. ლექსიკონები, 1937 და 1956-1959; საქართვ. სსრ სისხ. სამართ. კოდ., 1963, მუხ. 17) ან განზრახვარტული კომპოზიტით (იურ. ტერმ.: გულზრახვა) ითარგმნება. გულ-ის გამოყენება ამ ტერმინის შესაქმნელად სულაც არ არის საფუძველს მოკლებული: საბასთან გული-ს-თქმა, იგულვა (ნ. ავრთვე ფიქრი, წადილი), ძველქართულ-რუსულ ლექსიკონში გულ-ლება, გული-ს-ზრახვა, გული-ს-თქმა, გული-ს-სიტყვა, ნ. ჩუბინიშვილთან გულგება, გული-ს-თქმა, გული-ს-სათქმელი, გული-ს-სიტყვა, გული-ს-წადილი, დ. ჩუბინიშვილთან გულგება, გულვა, გული-ს-თქმა, გული-ს-ნდომა, გული-ს-ნება, გული-ს-სათქმელი, გული-ს-წადილი, ავრთვე ქ. დათიკაშვილთან (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1953-1959) გული-ს-ზრახვა, გული-ს-თქმა, გული-ს-პასუსხი, დაბოლოს, განმარტებით ლექსიკონში გული-ს-თქმა, გული-ს-ნადები, გული-ს-პასუსხი, გული-ს-მა, — ყველა ეს მეტნაკლებად ვარაუ-





დის, ზრახვის, მისწრაფების, ნდომის, სურვილის და წადლის მოშველიებით არის ნაწარმოები თუ გახსნილი (ბ. აგრეთვე ალ. ნ. ე. მ. ა. ნ. თ. ა. ნ. „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“; 1951: განგულევი ბ. თა-ვისი მითითებითურთ), რაც намерение-ს შინაარ-სისათვის არსებითია (ბ. В. Даль, Толковый словарь... 1955, Намеривать... Намерение... намеренный...). ყურადღებას იქცევს საბასთან გა-ნიგულე, რუსულ-ქართულ ლექსიკონში (1937. ბ. Намерение-ში) განგულევი ბ., „ქართლის ცხოვ-რებაში“ მრავალგან განგულე ბ. განზრახვის, და-პირების, გადწვევტილების აზრით (II, გვ. 333, 334, 388, 387, 397, 413, 427, 450, 464, 475, 539), ასევე ხელმოწივის კარის გარიგებაში (ე. თაყაიშვილი, დასახ. ძეგლ. პუბლ., 1920. გვ. 8) განგულე ბ. ით (ბ. ქართ. სამართ. ძეგლებიც, II, გვ. 128 და ბევრი სხვა: გულევა, ვიგულეთ). მოვიტანთ ორ მაგალითს „მამის ბატონმა თეიმურაზ იზრახა და განიგულა და-პყრობა დიდოეთისა და სწადა იქიდან რუხეთის გზას შოვნა...“ (ქართ. ცხ., II, გვ. 421), „...მოიქცენა (თეიმურაზ მეფემ. — დ. ფ.)... ძვირ ზურბა ერის-თვისა და... იმარჯუებდა ჟამსა და განიგულა აი-კუდილი მისი...“ (იქვე, გვ. 414. შდრ. ზემოთ наме-рение-ს სამართლებრივი შინაარსი).

შეიძებოდა намерение-ს შესატყვისის ამოსავ-ლად გამოგვეყენებინა ზმნა: აპირებდა, ვაპირებ (საბა: „ქმნას ლამობდა“, „ვლამი“), და აპირებ (განმ. ლექს.: „განიზრახავს, მოინდომებს, მოემზადე-ბას“), მაგრამ მისგან საჭირო ფორმების წარმოება განმელებოდა და თანაც და აპირებ ალექსანდრე ნიშნავს. ამიტომ განგულევი ბ. და გულ-ევი ბ. ვამჯობინებთ: намереваться — გან-გულევა (განიგულევა), намерение — გან-გულევა (მოქმედების სახელი) და ნაგულე-ვი ბ. (არსებითი სახელი), намеренный — განგულ-ევი ბ., ნავულევი ბ., преднамеренный — წინანა-გულევი ბ. და ა. შ.

ზედმოთქი არ იქნება ამჯერად კიდევ ორი სისხლის-სამართლებრივი ტერმინის გაუმჯობესებზე ვიზრუ-ნით.

ასეთია დანაშაულებრივი გულგრი-ლობა. (преступное безразличие), რომე-ლიც თითქმის, ზოგის აზრით კი მთლიანადაც არა-პირდაპირ განზრახავს ემთხვევა. ამრჯად ისეთი ვი-თარება გვაქვს, როდესაც დანაშაულის ჩამდენს არ სურდა ის არამართლზომიერი შედეგი, რომელიც მი-სი უშუალო მიზნის მისაღწევად მიმართულ მოქმე-დებს დამატებით თან მოჰყვა, მაგრამ ურიგდებოდა ამ შედეგის შესაძლებლობასაც.

თუმცა გულგრილობას მხარს უჭერს რუსულ-ქართული ლექსიკონები, მაგრამ არცთუ მთლად უცი-ლობლად; გულგრილობა, უხალისობა (1937, 1956-1959); განურჩევლობა (1937); безразличный... უგულისყურო (1956-1959). დ. ჩუბინაშვილთან (1901) безразличие-ს შესატყვისებს შორის ვხე-

დავთ და უხედავობას, რომელიც ურიგდ არ იქნებოდა (ბ. აგრეთვე დ. ჩუბ., 1887), იმთავითვე უხედავდევლობასთანაც (ბ. დ. ჩუბ., 1840, 1887: დახედვა; ასევე — ქ. დათიკ.: დაუხე-დაობა) რომ არ იყოს დაკავშირებული ან მხოლოდ „რთული ფუძის მიერ შემაღდენელ ნაწილად“ (წინ-დაუხედაობა) აღიარებული (განმ. ლექს.).

სხვა ლექსიკოგრაფიული მასალა გულგრი-ლობის ზედმიწევნილობაში კიდევ უფრო გვაგებ-ვებს. დ. ჩუბინაშვილისეული (1887) განმარტება-хладнокровие-დ სულ არაფერი მოსატანია, მაგრამ ვერც ქ. დათიკაშვილის მიერ равнодушие-დ თარგ-მანი დავევამაყოფილებს, განმარტებით ლექსიკონში კი გულგრილი ან სასხნელად მართებულად გამოკვე-თილია, რომ მასზე ერთბაშად „არაფერი“ მოქმედებს, და შესაჯამებლად სწერია „გულცივი“-თ (ბ. აგრეთვე ქართ. სინონ. ლექს.).

უთუოდ ჩვენს შემთხვევაში безразличие-ს გა-მოსახატავად უნადვლელობა უფრო გამოდ-გებოდა. განმარტებით ლექსიკონში ნადვლეობს, ნადვლეობის, უნადვლეობის შინაარსში შე-სულია დარდი, ჯავრი, წუხილი, ამდენად საყურად-ღებოა: რა იმის დარდია, სადარდელია, საჯავრე-ლია, იმას რა ეწუხება და მისთან. ქ. დათიკაშვილ-თან ნადვლეობას ვეუკნათქვამია: заботиться... беспокоить და ფრაზოლოგიაში ვხედავთ: „მას რა ენადვლება... и горя мало... ему наплевать... ему что за дело?... ему что за печаль?... უნადვ-ლელობას მხარს უჭერს ძველი ლექსიკონ-ბიც. საბასთან „მონადვლე... მზრუნავი“-ა, ნ. ჩუბი-ნაშვილთან: ნადვლეობი „მსოფლიურად“ არის ზრუნვა, ურვა, ნადვლეობა, забота, ხოლო ნადვ-ლეობა გარდა ამისა — დაფიქრება, თავსმედება და მითითებულია მგამა; მგამას, გავცას განსამარტავად კი აღებულია: „რამგამა რა მე-ნადვლება... какая мне нужна... არამგამა არ მენადვლება, არ დავსდევ (ბ. საბასთანაც: „მგამა მზრუნება“); ამასვე ვხედავთ დ. ჩუბინაშვილთან (1840, 1887; ნადვლეობი, მევა, მგამა, გავვა, გავა).

მართალია, ამჟამად საკანონმდებლო აქტები დანა-შაულის აღმომი დიდრეკილებას (склон-ность и преступлению) არ იხსენიებს, მაგრამ ეს ტერმინი, აღნიშნული სახით, შესულია „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ და ეს მართებულად არის, რადგან ერთისა და იმავე პირის მიერ კვლავ და კვლავ იმგვა-რივე დანაშაულის ჩადენა შესაბამისი ცნებების შე-მუშავებას მოითხოვს. ასეთი ცნებები აკი არსებობს კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში და კრიმინოლო-გიური კვლევა-ძიების განვითარება მათ საჭიროებას კიდევ უფრო უჭველსა ხდის.

მაგრამ, რას ვერჩით ახლანდელ მიდრეკილე-ობას? მაინცდამაინც არაფერს, თუ არ ვიტყვით, რომ, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილი მას, ეტ-ყობა, „ბუნებითი ზნისგან“ დიდად არ ანსხვავებდა



(რუს.-ქართ. ლექს., 1901, წ. СКЛОННОСТЬ) და ას-  
ლაც განმარტებითი ლექსიკონი სათანადო ახსნაში  
პირველ ადგილას „ბუნებით განწყობილებას“ აყენებს:  
მეორე მხრივ, თუ სათანადო სპეციალური სამართლებ-  
რივი ტერმინი მოგვეპოვებოდა, რად მივივიწყოთ, რა-  
ტომ არ უნდა ავალორძინოთ იგი?

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი მოგვითხრობს, რომ სა-  
სულიერო-სამართლებრივ მწერლობაში დანაშაულის  
მრავალგზისის, ზნედ გამხდარ ჩადენას მისდაში წ ა რ-  
მ დ ე ბ ო ბ ა ეწოდებოდა; მას მოტანილი აქვს  
იოანე მმარხველის ნათქვამი, „მეძაი არ მას ეწოდე-  
ბის, რომელ ვრთ-გზის... არამედ რომელი განზრახვით  
და წარმდებ[ობ]ით იყოს მოქმედი ცოდვისა“—ო  
(დასახ. თხზ., II, გვ. 273-274). საგულისხმო დაკ-  
ვირებას იძლევა წ ა რ მ დ ე ბ ი ს საბასეული გან-  
მარტება: „...თ ა ნ ა მ დ ე ბ ი არს, რომლისა საქ-  
მისა ქ(მ)ნა მართებდეს საქნელად და მას ზედ(ა)-  
ედვას, ვითარცა მოვალესა...; ხოლო წ ა რ მ დ ე ბ ი ყო-  
ვლადვე მისგან უქნელი და უგზო და არა (+ იყოს...) მისი  
საქმე, მისი მოქმედი...“ მასასაღამე, წ ა რ მ დ ე ბ ი  
ბ ი ს ყოფილა, ვინც ნიადავ მისთვის უმართებულო

რასმე სჩადის. წ ა რ მ დ ე ბ ო ბ ი ს ასეთი მნიშვნე-  
ლობა სამართლებრივ ძეგლებშიაც დასტურდება. თამა-  
რის შეწირულების სიგელში შიომღვიმისადმი (1201)  
განწესებულია „წყაროს მკაზმავები“ და გარიგებუ-  
ლია წყალსადენის მოვლა-პატრონობის წესი; მერმე  
ამასთან დაკავშირებით სწერია: „...ვინცაღა ესე ჩუენი  
გაკებული შეცვალოს და წ ა რ მ დ ე ბ ი დ და უდე-  
ბებით იურვოდეს წყაროასა საქმესა...“ და შემდეგ:  
„...ვინცა... დააკლოს, შეცვალოს და წ ა რ მ დ ე ბ-  
ბ ე ბ ი თ აღარ ჰკაზმოს და არ იურვოს...“ (ქართ.  
სამართ. ძეგლ., II, გვ. 32, 34. ხაზგასმა ჩვენი).

ამრიგად გამართლებული იქნება, თუ ტერმინ  
склонность к преступлению-ს შესატყვისად და-  
ნაშაულისადმი წარმდებობას შემოვიღებთ.

ჩვენ არ ვიჩემებთ, ვითომ ზემორე წარმოღვენილი  
წინადადებანი ყოვლად უნაკლო იყოს და უყოყმანოდ  
განსახორციელებელი. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ამ-  
გვარი მეცადინეობით შეიძლება სამართლებრივ პრაქ-  
ტიკასა და მეცნიერებას ზოგი მოსწრებული ტერმინი  
მაინც შეეძინოს და ამასთან ერთად ჩვენი დედაენის  
უშრეტ მადანსაც მეტი გამოყენება მიეცეს.



# ქიზიყა და მიჭოიოჯი



## საქართველო საზოგადოებრივი სახელმწიფო პარტიის სრულყოფის საქმისათვის\*

გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. მენაბდის წიგნი — „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები“. ამ ნაშრომის აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება ახლანდელ პირობებში, როდესაც ხორციელდება ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური რეფორმა, უდიდესი ყურადღება ექცევა პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.

ავტორის მიზანს შეადგენდა ვ. ი. ლენინის უკვდავი მოძღვრების უქმნე განხილვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის, აღნიშნა მიღწეული შედეგები და მიეთითებინა არსებულ ნაკლებზე, აგრეთვე წამოეყენებინა ზოგიერთი წინადადება სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. შესავალში (გვ. 3-12) მხილებულია კლასობრივი ბუნება კაპიტალისტური სახელმწიფოსი, რომელიც „გახდა მონოპოლისტური ბურჟუაზიის საქმეთა მართვის კომიტეტი“<sup>1</sup>. აქვე ლაპარაკია პროლეტარიატის დიქტატურის გარდაქმნაზე საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, აღნიშნულია ამისი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა და მოცემულია საერთო-სახალხო სახელმწიფოს ზოგადი დახასიათება. ავტორი მოკლედ განიხილავს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და კომუნისტური თვითმმართველობად მისი თანდათანობითი გადაზრდის კანონზომიერებას, სოციალისტური სამართლის ნორმების გარდაქმნას კომუნისტური ქცევის წესებად.

I თავში (გვ. 13-18) ავტორი ახასიათებს საბ-

ჭოთა სახელმწიფო აპარატს, გვიჩვენებს მის ნამდვილად ხალხურ ბუნებას და განმარტავს სოციალისტური სახელმწიფო აპარატის ცნებას. იგი კრიტიკულად განიხილავს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას და, ჩვენი აზრით, მართებულად ემხრობა, და ასაბუთებს კიდევ, მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ყველა ორგანოს აქვს სახელმწიფოებრივ-ხელისუფლებრივი უფლებამოსილება. დაბოლოს მოცემულია საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ორგანოს განსაზღვრა.

ნაშრომის II თავი (გვ. 18-62), მიძღვნილია საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის ძირითადი პრინციპებისადმი. მის პირველ პარაგრაფში განხილულია სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ხალხის ფართო მასების მონაწილეობის საკითხები. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების მექანიკური გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოს კვდომის შესახებ და არ შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენი განვითარების გენერალურ კურსს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციის საქმის გაუმჯობესების აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ „სრული და ზუსტი ინფორმაცია საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძლიერების საუკეთესო მაჩვენებელია“ (გვ. 25). მეორე პარაგრაფში ავტორი ახასიათებს საბჭოთა დემოკრატიულ ცენტრალიზმს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ბურჟუაზიულ ცენტრალიზმთან, ხაზს უსვამს ფორმალური კოლექტივობის, ბიუროკრატიზმის მავნეობასა და მათ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის საჭიროებას. მესამე პარაგრაფი გვისურათებს პარტიის ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცებისათვის. იმოწმებს რა პარტიის ახალ პროგრამას, ავტორი მოითხოვს მკაცრი სისჯე-

\* А. К. Менабде, Советский государственный аппарат и вопросы его дальнейшего совершенствования, изд. «Мецниереба», Тб., 1965 год 8,26 печ. л.

1 სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 29.





ლის გამოყენებას ძნელად გამოსწორებადი რეციდივისტი დამნაშავეების მიმართ და მიზანშეწონილად მიაჩნია დანარჩენი მოსახლეობისაგან მათი სრული განცალკევება სპეციალურ იზოლირებულ რაიონში გადასახლებით, სადაც ისინი საკუთარი შრომით იცხოვრებენ (გვ. 39). მეოთხე პარაგრაფში ავტორი ახლებურად აყენებს კადრების სწორი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს, გვთავაზობს ყურადსაღებ წინადადებებს, ამხილებს საბჭოთა იურისტებისა და აუტრიდიული ცოდნის ერთგვარ შეუფასებლობას. უკანასკნელი პარაგრაფი ეხება შესრულების შემოწმების ფორმებს, მეთოდებს, ხარისხსა და მათი სრულყოფის ღონისძიებებს.

წიგნის ყველაზე დიდი ნაწილია (62 — 124 გვ.) III თავი „პარტიისა და ხალხის ბრძოლა სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის“, რომელიც 7 პარაგრაფისაგან შედგება. პირველ მათგანში ლაპარაკია საბჭოთა სახელმწიფო აპარატის განუწყვეტელი სრულყოფის აუცილებლობაზე, ხოლო მეორესა და მესამეში — მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებზე. ავტორს, ცხადია, არ შეეძლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა გათვალისწინება (წიგნი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1965 წლის 8 თებერვალს), რის გამოც ამ პარაგრაფების ზოგიერთი ადგილი აშკარად არსებითად მოძველებულია, მაგრამ ა. მენაბდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გაბედულად აღნიშნავს მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის (1957 წ.) ცალკეულ ნაკლოვანებებს (გვ. 66—70, 72). სწორია ავტორი, როდესაც აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში ადგილობრივი საბჭოების როლის შეუფასებლობას. მისი აზრით, საჭიროა მტკნების რეორგანიზაციის შედეგების, მისი სამეურნეო და ორგანიზაციული ეფექტურობის ღრმა მეცნიერული შესაწავლა ამა თუ იმ რაიონის პირობების გათვალისწინებით: მეცნიერებამ უნდა გარკვევოს, რა და როგორ უნდა განვითარდეს და რა არის გამოსასწორებელი (გვ. 81). მე-4 პარაგრაფში განხილულია პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სრულყოფისათვის, ხოლო მე-5-სა და მე-6-ში — მმართველობითი შრომისა და საქმის წარმოების მექანიზაციისა და გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი, ბოლო (VII) პარაგრაფი ერთგვარად ანვითარებს და აჯამებს კიდევ წიგნის წინა ნაწილებში წამოყენებულ მოსაზრებებს. მასში განხილულია სამმართველო აპარატის შემცირების, სრულყოფისა და გათავების უფრო ზოგადი ხასიათის საკითხები და წი-

ნადადებანი. მაგალითად, ავტორი წინააღმდეგაა შტატების მექანიკური შემცირებისა და მისი წინადადებით შემცირების გამო დათხოვნილ მუშაკს უნდა მიეცეს დახმარება მისი ხელფასის ოდენობით სხვა სამუშაოზე გადაყვანამდე.

ასეთი ზოგად ხაზებში ა. მენაბდის ნაშრომი. თავისი მოსაზრებების დასასაბუთებლად ავტორს ხშირად მოაქვს საინტერესო მაგალითები პრაქტიკიდან და მეტწილად კარგად აანალიზებს მათ, აკეთებს სათანადო დასკვნებს. მისი ბევრი წინადადება, წამოყენებული საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქმიანია და, ექვი არ არის, ჯეროვან ყურადღებასაც მიიქცევს.

ამასთანავე წიგნს, სამწუხაროდ, აქვს ნაკლოვანებებიც. შეეჩერდეთ ზოგ მათგანზე.

1. ავტორის მსჯელობის ძირითად საგანს შეადგენს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფის პრობლემა. წიგნში წამოჭრილ სხვა საკითხებს ერთგვარად დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ; მეტწილად ავტორი მსჯელობს მათზე იმდენად, რამდენადაც ეს ხსენებული ძირითადი საგნის გასაშუქებლად ესპეცირება ასეთი საკითხების განხილვა შეიძლება ითქვას, შესავლის როლს ასრულებს. ნაშრომში არაა წარმოდგენილი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ზოგადი, თეორიული პრობლემების ყოველმხრივი და ამომწურავი მეცნიერული ანალიზი. ამიტომ უკეთესი იქნებოდა წიგნი ცოტა სხვაგვარად დასათავურებელიყო, მაგალითად, ასე: „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფის საკითხები“.

2. სახელმწიფო ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპების ჩამოთვლა ნაშრომის II თავის დასაწყისში (გვ. 18) სრული არ არის. მაგალითად, არაა დასახელებული სახელმწიფო აპარატისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი, მასში შესრულების შემოწმება, რომელიც ცალკე პარაგრაფშია განხილული და ავტორს „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციული მუშაობის უმნიშვნელოვანეს პრინციპად“ მიაჩნია.

3. III თავის პირველი პარაგრაფის სათაურაა „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის განუწყვეტელი სრულყოფის აუცილებლობა“ და, მამასადასამე, ამ პარაგრაფში ავტორს საფუძვლიანად უნდა დაესაბუთებინა აღნიშნული თეზისი. სინამდვილეში კი ამ საკითხს არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება. მასზე რატომღაც უფრო ცოტაა ნათქვამი, ვიდრე თავისთავად დიდმნიშვნელოვან, მაგრამ პარაგრაფის საგანთან ნაკლებად დაკავშირებულ საკითხებზე (სახელმწიფო მართვა-გამგებობის ორგანოთა გარდაქმნის მეთოდი, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება).



4. ავტორის მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი დადებითად აფასებს რაიონების რაოდენობის შემცირებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნომბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, მომხრეა მსხვილი რაიონული რგოლისა (გვ. 78, 86 — 87). ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მსხვილი რაიონების დაწვრილვით, რაც ამ ბოლო ხანს განხორციელდა, უდავოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

5. არსებული წესის თანახმად, ავტორს უნდა მიეთითებინა ვ. ი. ლენინის თხზულებათა V რუსული გამოცემა, ის კი სარგებლობს IV-თი და არ აღნიშნავს, თუ რომელი გამოცემიდან მოაქვს ციტატები. ეს ერთგვარ უხერხულობას ქმნის: როცა ციტირებული ნაშრომის რამდენიმე გამოცემა არსებობს, ხოლო ავტორი არ მიუთითებს, თუ რომლით სარგებლობდა, მკითხველი ციტატის სისწორის შესამოწმებლად, ჩვეულებრივ, ბოლო გამოცემას მიმართავს. ვ. ი. ლენინის თხზულებათა IV და V გამოცემები კი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

6. წიგნში იშვიათია, მაგრამ მაინც არის ბეჭდვითი შეცდომა (გვ. 39). ზოგჯერ გვხვდება არაზუსტი გამოთქმა, დებულება თუ სხვ. ასეთია, მაგალითად: „საზოგადოებრივად საშიში დანაშაული“ (გვ. 38), სადაც სიტყვები „საზოგადოებრივად საშიში“ ზედმეტია, რადგან საზოგადოებრივად არა საშიში დანაშაული არ არსებობს, ყოველი დანაშაული აუცილებლად საზოგადოებრივად საშიშია (განსაზღვრული საზოგადოებრივი საშიშროება აქცევს ქმედობას დანაშაულად).

როგორც ვხედავთ, ნაშრომი შინაარსით იმაზე ვიწროა, რასაც სათაური გვპირდება; იგი ვერ ამოწურავს თემის ყველა ძირითად საკითხს და თანაც მისი ცალკე ნაწილებიც არაა თანაბრად შესრულებული. მართალია, თემის სიფართოვე და უღრესი აქტუალობა გვიკარნახებს მეტ მომთხოვნელობას წიგნისადმი, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მეტად რთული პრობლემის ყოველმხრივი შესწავლა ჭეშმარიტად აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს და მოითხოვს მეცნიერ მუშაკთა კოლექტივის ერთობლივ მეცადინეობას.

სარეცენზიო წიგნი, როგორც სამართლიანად აღინიშნა მისი განხილვისას მოსკოვში, წარმოადგენს პოლიტიკური პუბლიცისტიკის ნიმუშს, მკითხველთა ფართო მასისათვის იოლად გასაგები ენით დაწერილ მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევს. იგი, ნაქლოვანებების მიუხედავად, სათანადო დახმარებას გაუწევს როგორც საბჭოთა და პარტიულ მუშაკებს, ისე საკითხის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარებს და ხელს შეუწყობს სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

**ი. ფუტბარაძე,**

**იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**





# თინათინ ჯარათელი — დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი

1966 წელს გამოქვეყნდა თ. წერეთლის მონოგრაფია „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“, რომელშიც ავტორისათვის ჩვეული სიღრმით გამოკვლეულია სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისათვის უადრესად მნიშვნელოვანი საკითხები. დანაშაულებრივი ქმედობის ცნებას, რომლის განხილვითაც წიგნი იწყება, დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ზოგადი ცნების აგებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის.

რა ადგილი ეკუთვნის ქმედობას პასუხისმგებლობის დასაბუთებაში? არის თუ არა იგი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი? როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის თეორიაში ეს საკითხი ერთნაირად არ წყდება. მაგალითად, სოციოლოგიურ სკოლას ქმედობა აინტერესებს როგორც დამნაშავეს საშიშროების გამოვლინება, როგორც სიმპტომი, რომელიც ადასტურებს პიროვნების საშიშ ხასიათს. ცხადია, რომ აქ ქმედობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა და წინ წამოწეულია პიროვნება; ისევეა პიროვნება და არა ქმედობა. განსახილველი შრომის ავტორს სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია უკავია. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, იგი მხარს უჭერს და ასაბუთებს იმ პროგრესულ აზრს, რომ სასჯელის მუქარა უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ გარეგან ქმედობას. რომელიც საზოგადოებრივად საშიშია. „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა ქმედობისათვის და არა სუბიექტის პირადი საშიშროებისათვის“ (გვ. 7). „...ამის შესაბამისად ქმედობა წარმოადგენს არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და არსებით პირობას, არამედ ამ პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კონსტიტუციურ ნიშანს“

(გვ. 9). მაგრამ ახლა იბადება კითხვა, რა არის ადამიანის მოქმედების არსებითი ნიშანი?

გასული საუკუნიდან მოკიდებული, კრიმინალისტთა შორის გაცხოველებული კამათი მიმდინარეობს იმაზე, თუ რა იგულისხმება ადამიანის მოქმედებად. ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში სოციოლოგიური სკოლის ზეგავლენით ერთხანს კრიმინალურმა პოლიტიკამ დაჩრდილა სისხლის სამართლის დოგმატიკა<sup>1</sup> და ამიტომ მოქმედების გამო ატეხილი დავაც ერთგვარად დაცხრა. მაგრამ ვითარება მალე კვლავ შეიცვალა, კამათმა მთელი ძალით ხელახლა იფეთქა და დღეისათვის მისმა სიმწვავემ, შეიძლება ითქვას, კულმინაციურ წერტილს მიაღწია. დასაყვანებელ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამჟამად ორი ძირითადი მიმდინარეობა ებრძვის ერთმანეთს: კაუზალური და ფინალური მოქმედების მოძღვრება. რა არის მოქმედების არსებითი ნიშანი, კაუზალობა თუ ფინალობა? პირველი მოძღვრება უხეში ნატურალიზმის ჭაობში ეფლობა, მეორე კი გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს სუბიექტურ მომენტს ობიექტური მომენტის ხარჯზე.

თ. წერეთლის წიგნში გაკრიტიკებული ორივე ზემოაღნიშნული მიმდინარეობა და ჩამოყალიბებულია დანაშაულებრივი ქმედობის ისეთი ცნება, რომელიც მოიცავს „როგორც დადებით მოქმედებას, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებას, როგორც განზრახ დანაშაულებრივ ქმედებას, ისე გაუფრთხილებელს, როგორც დამთავრებულ დანაშაულს, ისე მომზადებას და მცდელობას და ა. შ.“ (გვ. 9-10). დანაშაულებრივი ქმედობის ასეთ საერთო ცნებად ავტორს მიაჩნია ქმედობა როგორც ადამიანის ნებისყოფის აქტი (გვ. 10). საბჭოთა ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით ფრიად ორიგინალურად არის დასაბუთებული ნებელობითი აქტის არსი. ჯერ გამოკვლეულია შეგნე-

<sup>1</sup> E. Mezger, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, Berlin—München, 1950, გვ. 7.



ბული და გეგმაზომიერი მოქმედების უნარი და გამოტანილია, ჩენი აზრით, სწორი დასკვნა, რომ ადამიანს ცხოველისაგან სწორედ შეგნების უნარი განასხვავებს, გეგმაზომიერი მოქმედების უნარი კი ადამიანის გარდა შეიძლება ცხოველებსა და მწერებსაც აღმოაჩნდეთ (გვ. 10-11).

შემდეგ მოცემულია ნებელობითი აქტის განსხვავება იმპულსური მოძრაობისაგან. აქ ძირითადია იმის გარკვევა, თუ რა როლს ასრულებს შეგნების მომენტი ნებელობითი აქტის ჩადენისას. იმპულსური მოძრაობა არაფრით არ არის გაშუალებული; გარეგანი გამოწვევებისა და უშუალოდ მოქმედებს ადამიანზე და იწვევს მოძრაობას. ნებელობითი აქტის ჩადენისას „...კავშირი გარეშე სიტუაციის იმპულსებსა და ადამიანის ნებელობით მოქმედებას შორის უშუალო და ერთმნიშვნელო კი არ არის, არამედ გაშუალებულია შეგნების მომენტით“ (გვ. 11).

ნებელობით მოქმედებას, ავტორის აზრით, ორი მხარე აქვს, ობიექტური და სუბიექტური. ადამიანი, ვიდრე რამეს მოიმოქმედებდეს, განსაზღვრულ მიზანს ისახავს (სუბიექტური მომენტი), ხოლო შემდეგ ახდენს ზემოქმედებას (დასახული მიზნის მიხედვით) გარესამყაროზე (ობიექტური მომენტი) (გვ. 12-13). ამით დაძლეულია, ერთი მხრივ, კაუზალური, მეორე მხრივ, ფინალური მოძღვრების ნაკლი.

ნებელობითი მოქმედება გამორიცხვლია რეფლექსური მოქმედებისა და დაუძლეველი ძალის დროს (*vis absoluta*). საცემით სწორად არის გარკვეული ფსიქიკური ძალადობის (*vis compulsiva*) შემთხვევა. მართლაც, ფსიქიკური ძალადობა არ გამორიცხავს მოქმედების ნებელობით ხასიათს, და მათსადაე, არც არჩევანის თავისუფლებას (საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს ტრანინი). სინტერესოდ არის დასაბუთებული ფიზიოლოგიურ აფექტის ვითარებაში ჩადენილი მოქმედების ნებელობითი ხასიათი (გვ. 21-22).

ამის შემდეგ თ. წერეთელი გადადის უმოქმედობის პრობლემაზე, რომელიც სისხლის სამართლის თეორიაში სადავოდ ითვლება. წარმოადგენს თუ არა უმოქმედობა ადამიანის ნების ისეთსავე გამოვლინებას, როგორსაც მოქ-

მედება? ცნობილია, რომ გერმანული სისხლის სამართლის თეორია ამ საკითხში შესამჩნევად მერყეობს. განსახილველ ნაშრომში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ სხეულებრივი მოქმედებისაგან თავის შეკავება შეიძლება წარმოადგენდეს „ისეთსავე პირობების შექმნას განსაზღვრული შედეგის განხორციელებისათვის, როგორც ადამიანის დადებითი მოქმედება“ (გვ. 24). საკითხის ასეთ გადაწყვეტას გარკვეული აზრი აქვს უმოქმედობის დროს მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებისათვის,<sup>2</sup> რომელსაც კაუზალური მოძღვრების წარმომადგენლები, როგორც წესი, უარყოფენ.

თ. წერეთელი სპეციალურად განიხილავს მოქმედების ბურჟუაზიულ თეორიებს. როგორც ვიცით, ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მოქმედების მრავალი მოძღვრება არსებობს, მაგრამ მომეტებულად გავრცელებულია კაუზალური და ფინალური მოქმედების მოძღვრება. სარეცენზიო წიგნში განსაკუთრებით დაწვრილებით არის განხილული ფინალური მოძღვრება. ავტორი პირველწყაროებზე დაყრდნობით და კრიტიკული ლიტერატურის გათვალისწინებით სრულად წარმოგვიდგენს ფინალისტების (ველცელი, მაურახი და სხვ.) მოძღვრებასა და მის რეაქციულ არსს. ფინალური მოქმედების მოძღვრება დასავლეთგერმანული სისხლის სამართლის მეცნიერების უახლესი ნაყოფია; ქართულ ლიტერატურაში დღემდე იგი თითქმის არ ყოფილა გაშუქებული. ამიტომ დაინტერესებული მკითხველისათვის თ. წერეთლის წიგნი ამ მხრივაც დიდად სასარგებლოა. კარგი იქნებოდა, მის ავტორს განეხილა აგრეთვე სოციალური მოქმედების მოძღვრება, რომელიც ამჟამად საქაოდ გავრცელებულია დასავლეთში (შმიდტი, მიჰოფერი, იემეკი).

დანაშაულებრივი ქმედობის ცნების განსაზღვრის შემდეგ თ. წერეთელი იკვლევს დანაშაულის შედეგს. ამ ნაწილში წამოჭრილი პირველი საკითხი შეეხება მოქმედებისა და შედეგის დამოკიდებულებას: შედის თუ არა შედეგი მოქმედების ცნებაში? ამ საკითხს კაუზალური მოძღვრების წარმომადგენლები და-

2 იხ. ამ საკითხზე Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, Москва, 1963, გვ. 259—282.





საქართველოს  
ხელნაწილების  
სამართლის

დებითად წყვეტენ, რაც მოქმედების წმინდა ნატურალისტური გაგებისაგან მომდინარეობს. შრომაში გაკრიტიკებულია გერმანელი კრიმინალისტების ფ. ლისტისა და ე.მეცგერის შეხედულებანი (გვ. 45-46). ერთგვარ არათანმიმდევრობას იჩენს ზოგიერთი საბჭოთა ავტორიც; მაგალითად, ნ. დურმანოვი ობიექტის ზოგიერთ არაარსებით ცვლილებას მოქმედებას მიაწერს. თ. წერეთლის მიერ ნაჩვენებია ამ დებულების სუსტი მხარეც (გვ. 47).

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ეხება საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულ ე. წ. „ფორმალური“ და „მატერიალური“ დანაშაულის თეორიას. თ. წერეთელი სამართლიანად უარყოფს დანაშაულების დაყოფას „ფორმალურ“ და „მატერიალურ“ დელიქტებად და ემხრობა იმ აზრს, რომლის თანახმადაც შედეგი ყველა დანაშაულის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სწორ აზრს იურიდიულ ლიტერატურაში ყველა ერთნაირად როდი ასაბუთებს. ზოგს მიაჩნია, რომ აღნიშნული დავა გამოწვეულია დანაშაულის შედეგის ცნების იმ არასწორი გაგებით, თითქოს შედეგი ობიექტისათვის მხოლოდ მატერიალური ზიანის მიყენებას გულისხმობს (ტრაინინი).

თ. წერეთლის აზრით, ეს დავა იმისაგან წარმოდგება, რომ სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შედეგის ცნებას ორი, ფართო და ვიწრო გაგებით ხმარობს. დანაშაულის შედეგი ფართო გაგებით ყველა დანაშაულს ახლავს, ხოლო ვიწრო გაგებით, მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულის აუცილებელი ელემენტია (ე. წ. „მატერიალური“ დელიქტი გვ. 50).

შედეგი ფართო გაგებით გულისხმობს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ზიანს, როგორც ფაქტიურ ზიანს ისე მის შესაძლებლობას: ამავე დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, აღნიშნულია თუ არა ის სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში (გვ. 51). რაც შეეხება დანაშაულის შედეგს ვიწრო გაგებით, ეს „არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში როგორც შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი“ (გვ. 53).

ჩვენი აზრით, დავა, რომელმაც იურიდიულ ლიტერატურაში ე. წ. „ფორმალური“ და „მა-

ტერიალური“ დანაშაულის თეორია წარმოიშვა, იმან გამოიწვია, რომ სისხლის სამართალი იცნობს ორი სახის დანაშაულს: საფრთხის შემქმნელ დელიქტსა და დაზიანების დელიქტს (საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს კუდრიავცევი). პირველი სახის დელიქტი დამთავრებულია მაშინ, როცა შესრულდა გარკვეული სახის მოქმედება, რამაც შექმნა განსაზღვრული ზიანის შესაძლებლობა (ცრუ დასმენა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 196 მუხ., ცრუ ჩვენება, მუხ. 197 და მრავალი სხვა); მეორე სახის დელიქტის დამთავრებისათვის აუცილებელია რეალური ზიანი (მკვლელობა, ქურდობა). ამიტომ გავრცელდა შეხედულება, რომ ერთ შემთხვევაში დანაშაულს „ფორმალური“ ხასიათი აქვს, რადგან დანაშაულად მიჩნეულია მხოლოდ თვითონ მოქმედება; მეორე შემთხვევაში კი მოქმედება საკმარისი არ არის და იმისათვის რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს, რაიმე ზიანი უნდა მოხდეს. ამის გამო ასეთი სახის დანაშაულს „მატერიალური“ უწოდეს.

რასაკვირველია, „ფორმალური“ და „მატერიალური“ დანაშაულის თეორია საკმაოდ უნაყოფოა დელიქტების ამ ორგვარი ბუნების ახსნის თვალსაზრისით. სავსებით სწორია, ჩვენი აზრით, თ. წერეთლის მტკიცება, „რომ ყოველ დანაშაულს აქვს შედეგი, რომელიც ობიექტური გარესამყაროს განსაზღვრულ ცვლილებას გულისხმობს“ (გვ. 51). მაგრამ ჩვენ სადავოდ გვეჩვენება მის მიერ წამოყენებული დებულება, თითქოს სისხლის სამართლის კანონი შედეგს ორი, ფართო და ვიწრო, გაგებით ხმარობდეს. ავტორის აზრით, ორივე სახის შედეგისათვის საერთოა ის, რომ ყველა შემთხვევაში ობიექტური გარესამყაროს განსაზღვრული ცვლილება იგულისხმება, ხოლო შედეგი ვიწრო გაგებით გარესამყაროს ისეთი ცვლილებაა, რომელიც შეტანილია კანონის დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი, და ამდენად, სასამართლოში სპეციალურად უნდა დამტკიცდეს. სწორედ ამიტომ კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებს ავტორი შედეგიან დელიქტებს ზიანუვნებს (გვ. 61). ნაშრომის 51-ე გვერდზე ვკითხულობთ: „...დანაშაულის შემადგენლობის ყველა ობიექტური ნიშნის შესრულება, რომე-



ლიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში, ყოველთვის გულისხმობს დანაშაულის შედეგის განხორციელებას ჩვენ მიერ აღნიშნული ფართო გაგებით. თუ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ობიექტური ნიშნის შესრულება ყოველთვის გულისხმობს დანაშაულის შედეგის განხორციელებას, თუნდაც ფართო გაგებით, მაშინ როგორღა რჩება ეს შედეგი შემადგენლობის მიღმა, ის ხომ შემადგენლობის აუცილებელი ელემენტიც უნდა იყოს? სხვა საკითხია, რომ ზოგჯერ შედეგს სპეციალურად სჭირდება მტკიცება. ჩვენი აზრით, ეს დამოკიდებულია შედეგის თავისებურებაზე. ხშირად შედეგი ისეთ მოწყვეტილი მოქმედებას, რომ შეიძლება ყოველთვის არ მოყვეს მას (მაგალითად, მკვლელობის დროს). ასეთ შემთხვევაში სისამართლომ უნდა დაადგინოს, ჩადენილია თუ არა მოქმედება, და კიდევ ისიც, გამოიწვია თუ არა ამ მოქმედებამ კერძოდ ეს შედეგი. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოქმედებას შედეგი აუცილებლად მოსდევს; მაშინ მას ცალკე მტკიცება აღარ სჭირდება და ამიტომ კანონმდებელი დისპოზიციაში მხოლოდ მოქმედებას უთითებს. ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს, ვითომ აქ შედეგი შემადგენლობაში არ შედიოდეს. თ. წერეთლის აზრით, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 133) შედეგგარეშე დანაშაულია (გვ. 57). დაფუძვით, რომ ვინმემ სცადა, თავისი მტერი ოთახში ჩაეკეტა, მაგრამ დანაშაული ვერ დაამთავრა, რადგან ხელისუფლების წარმომადგენელმა მოუსწრო, შედეგი არ განხორციელდა; დანაშაული მცდელობის სტადიაში შეჩერდა. შედეგი, ე. ი. თავისუფლების აღკვეთა შემადგენლობაში რომ არ შედიოდეს, დანაშაული დამთავრებულად უნდა გვეცნო, იმისდა მიუხედავად, ნამდვილად, აღიკვეთა მსხვერპლს თავისუფლება თუ არა.

თუ საფრთხის შემქმნელ დელიქტში საფრთხეს შედეგად მივიჩნევთ, მაშინ შედეგი, აბსტრაქტული საფრთხე იქნება ეს თუ კონკრეტული, დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტიც უნდა იყოს. შემადგენლობაში არ შევა ის შედეგი, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აფუძნებს. მაგალითად, შეგნებულად ცრუ დასმენის შემთხვევაში შედეგის განხორციელების თუნ-

დაც აბსტრაქტული საფრთხე დანაშაულის შემადგენლობის ელემენტიც; მაგრამ თუ ამ ქმედობას შედეგად მოჰყვა უდანაშაულო პირის პასუხისმგებლობაში მიცემა, ეს უკვე შემადგენლობის გარეშეა და სწორედ ამიტომ მხოლოდ სასჯელის ზომაზე მოქმედებს. რაც შეეხება დაზიანების დელიქტებს, იქ ძირითადი შედეგი ყოველთვის შემადგენლობის ელემენტიცა.

სარეცენზიო შრომის მესამე თავში განხილულია სასამართლო პრაქტიკისათვის დიდად მნიშვნელოვანი საკითხი: დანაშაულის შედეგის მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ზოგჯერ კანონმდებელს მძიმე შედეგი შემადგენლობაში შეაქვს როგორც პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოება, მაგალითად, ასეთია ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თუ უფლებამოსილების გადაჭარბების დროს არსებითი ზიანის მიყენება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ანდა მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. მუხ. 186, 187). თუ ქმედობას ეს მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, მაშინ თავისთავად ხელისუფლების ბოროტად გამოყენება საკმარისი არ არის სასჯელის დასადებად. მაგრამ ბრალით უნდა იყოს გამოწვეული აღნიშნული მძიმე შედეგი თუ ბრალის გარეშე? თ. წერეთელი ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანად აკრიტიკებს ვერმანულ სისხლის სამართალში გავრცელებულ „დასჯადობის ობიექტური პირობების“ თეორიას, რომელიც ასეთ შემთხვევაში მძიმე შედეგის ბრალისმიერობას არ მოითხოვს. დამარწმუნებლად არის დასაბუთებული, რომ „...მძიმე შედეგები პასუხისმგებლობის ობიექტურ პირობებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იყვნენ მოცული სუბიექტის ბრალით“ (გვ. 65). გაკრიტიკებულია აგრეთვე ე. წ. „ტიპობრივი რისკის“ თეორია, რომელიც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვერდით ბრალის რაღაც მესამე ფორმის შეკოწიწებას ცდილობს; სინამდვილეში ეს შეხედულება ბრალის პრინციპის უარყოფას წარმოადგენს (გვ. 63-64).

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ე. წ. მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები. ასეთია,



მაგალითად, სხეულის განზრახ მიმე დაზიანება, რომელმაც მსხვერპლის სიკვდილი გამოიწვია, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხ., გაუპატიურება, რასაც განსაკუთრებით მიმე შედეგი მოჰყვა. (მუხ. 117) და სხვა. ამ დელიქტებისათვის დამახასიათებელია, რომ ძირითადი შედეგი პასუხისმგებლობას აფუძნებს, ხოლო მიმე შედეგი მაკვალიფიცირებელია, ე. ი. პასუხისმგებლობას ამძიმებს. დამნაშაულის ბრალისმიერი პასუხისმგებლობა ძირითადი შედეგისათვის ეჭვს არ იწვევს. პრობლემატურია მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი. თ. წერეთელი კრიტიკულად მიმოიხილავს ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებულ შეხედულებებს ამ საკითხზე. აგრეთვე გერმანიის კანონმდებლობას და საიმპერიო სასამართლოს პრაქტიკას. საბჭოთა სისხლის სამართალში ადრე ეს საკითხი დავას იწვევდა. ამჟამად როგორც კანონმდებლობაში, ისე სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულია აზრი, „...რომ პასუხისმგებლობა მიმე შედეგისათვის გულისხმობს ბრალულ დამოკიდებულებას ამ შედეგის მიმართ“ (გვ. 74).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სარეცენზიო ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი. ავტორი სავსებით სწორად აკრიტიკებს გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ეს მუხლი ყოველთვის გულისხმობდეს შერეულ ბრალს, ე. ი. განზრახვას ძირითადი შედეგის მიმართ და გაუფრთხილებლობას მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი. მისი აზრით, ზოგჯერ მაკვალიფიცირებელი შედეგი შეიძლება განზრახვაც იყოს გამოწვეული (გვ. 77-78).

და ბოლოს, განხილულია ის შედეგი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში არ შედის და პასუხისმგებლობის ზოგად დამამძიმებელ

გარემოებას წარმოადგენს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი). უკანასკნელი პარაგრაფი კი ეხება იმ საკითხს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ქმედობის დასჯადობაზე საზიანო შედეგის არარსებობა.

აქ ჩვენს ყურადღებას ერთი პატარა საკითხი იქცევს, რომელიც ავტორს რატომღაც არ განუხილავს. გამოსაყენებელია თუ არა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი მიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტისათვის ან იმ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ დასჯადობის აუცილებელ პირობას მიმე შედეგი წარმოადგენს? ჩვენ აზრით, აღნიშნული პუნქტი მაშინ მოქმედებს, როცა მიმე შედეგი კონკრეტულად არის მიითებული შემადგენლობაში. მაგალითად, 110-ე მუხლის მეორე ნაწილში მიითებულა ისეთი მიმე შედეგი, როგორცაა მსხვერპლის სიკვდილი, თუ ამ ქმედობას კიდევ სხვა მიმე შედეგი მოჰყვა, იგი მოგვევლინება პასუხისმგებლობის ზოგად დამამძიმებელ გარემოებად 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე.

სარეცენზიო წიგნი დაწერილია მეტად მაღალ თეორიულ დონეზე. როგორც ზემოთ დავინახეთ, მისი ავტორი არ სკეპტდება საბჭოთა კრიმინალისტთა შეხედულებების განხილვას. პირველწყაროებზე დაყრდნობით ის ფართოდ მიმოიხილავს ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა კონცეპციებს და იძლევა მათ დამაჯერებელ კრიტიკას. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის პრაქტიკული ღირებულება. უკანასკნელი თავი ამის ნათელი დადასტურებაა.

ჩვენი აზრით, წერეთლის მონოგრაფია „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ საბჭოთა იურიდიული აზროვნების მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ო. გამყრელიძე.



## საინსტიტუტო გეოგრაფიკა თანამედროვე გერმანიაში სახელმწიფოს შესახებ

1966 წელს გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოუშვა პოლონელი პროფესორის ს. ზავადსკის წიგნი „კეთილდღეობის სახელმწიფო“. ამ ნაშრომის მიზანია გააცნოს მკითხველს ბურჟუაზიულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორია და გარკვევის მარქსისტული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ Welfare state ძირითადი იდეა საკმაოდ უბრალოა. ადრე, ამბობენ მისი წარმომადგენლები, ეკონომიკური ლიბერალიზმისა და „laissez-faire“-ის პრინციპის ბატონობის დროს სახელმწიფოს არ შეეძლო ჩართულიყო საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში, მისი ფუნქციები „ღამის დარაჯის“ როლით იყო შეზღუდული, ამჟამად კი ისინი ამტკიცებენ, რომ საკითხი სახელმწიფოს მონაწილეობისა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ძირფესვიანად შეიცვალა. ამერიკელი ეკონომისტის კლარკის სიტყვებით, სახელმწიფო „პოლიციელისაგან გადაიქცა პოზიტურ ეკონომიკურ ძალად“, რომელიც თავის მიზნად თვლის საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

სწორედ ამ კონცეფციის ძირითადი პრინციპების ანალიზს შეიცავს ს. ზავადსკის გამოკვლევა. მასში ნაჩვენებია კონცეფციის იდეოლოგიური წყაროები და ჩამოყალიბების ეტაპები. ავტორი დეტალურად განიხილავს „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის გავლენას ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებზე, ამავე დროს იგი არ იზღუდება საკითხის იურიდიული ანალიზით და გადააქვს მეცნიერული კვლევა ეკონომიკურ, სოციალურსა და პოლიტიკურ ასპექტებში. ფრიალ საყურადღებოა თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის შეცვლის ანალიზი მარქსისტულ-ლენინური თეორიის პოზიციებიდან; ავტორი ეხება ამ თვალსაზრისით აგრე-

თვე არაიმპერიალისტურ ქვეყნებს და ახლადწარმოქმნილ სუვერენულ სახელმწიფოებს.

ნაშრომში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ეკონომიკურად მძლავრ, განვითარებულ ქვეყნებზე, კერძოდ, ინგლისზე, როგორც „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ტიპიურ ნიმუშზე.

ს. ზავადსკის ღრმად შეუსწავლია ბურჟუაზიული სახელმწიფოების საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური მხარეები და იგი ამ პრაქტიკას განიხილავს „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის თვალსაზრისით. კლასობრივ ძალთა თანაფარდობის თანამედროვე პირობებში, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორეტიკოსები ცნობენ მშრომელთა მასების სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნების სამართლიანობას. ავტორი მართებულად ასკვნის, რომ ამგვარი დათმობა სოციალურ სფეროში და მართვის ლიბერალურ-დემოკრატიული მეთოდების შენარჩუნების მოთხოვნა მიზნად ისახავს კლასობრივ კონფლიქტების შენელებას და, საბოლოო ანგარიშში, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არსებობის გახანგრძლივებას. ობიექტური აუცილებლობის გამო ბურჟუაზიული პარტიები იძულებული არიან ირჩიონ დათმობის გზა, მაგრამ ის საფასური, — ამბობს ავტორი, — რომელიც ბურჟუაზიამ გადაიხადა ცალკეული სოციალური რეფორმების სახით თავისი უსაფრთხოებისათვის, ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც მან მოიგო სახელმწიფო ხელისუფლებისა და კაბიტალისტური სისტემის შენარჩუნებით. ავითარებს რა ამ აზრს, ს. ზავადსკი დამაჯერებლად გვიჩვენებს აშკარაწინააღმდეგობას „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიულ დებულებებსა და მის პრაქტიკულ საქმიანობას შორის.

ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკურ-



რი ცხოვრების ანალიზი სრულ საფუძველს აძლევს ს. ზავაძის დასკვნას, რომ კაპიტალიზმის თანამედროვე სტადიის არსის დასახასიათებლად კვლავაც ყველაზე ზუსტია მისი ლენინისეული განსაზღვრება „სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმად“. ეს სტადია მოიცავს ისეთ მოვლენას, როგორცაა სახელმწიფოს გამოყენება მონოპოლისტური კაპიტალის მიერ თავისი მიზნებისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურსა და კულტურულ სფეროში.

წიგნი გამოყენებულია დიდი ფაქტობრივი

მასალა და მრავალრიცხოვანი ლიტერატურული წყაროები, რაც მას კიდევ უფრო დამაჯერებელსა და მიმზიდველსაც ხდის. ავტორისავე აღიარებით, ზოგიერთი საკითხი დეტალურად არ არის დამუშავებული, ზოგიერთის გაშუქება კი შეიძლება სადავოდ ჩაითვალოს. მთლიანად ს. ზავაძის წიგნი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძირითადი პრობლემებისა, რაც უთუოდ საინტერესოა როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ლ. გიორგაძე



# ინფორმაცია



## აქონომიკისა და საეკონომიკის ინსტიტუტის საეკონომიკის სამსახურის ათი წელი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავზე, რომელსაც ზემოთ აღნიშნავა მთელი პროგრესული კაცობრიობა, საბჭოთა კავშირის მშრომელები აჯამებენ თავიანთ წარსულ მუშაობას, რათა ანგარიშით წარდგინენ ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორი ამ დღად თარიღს ათი წლის მუშაობის შედეგებით ხვდება.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სამართალმცოდნეობის მიმართულებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 1957 წლიდან დაიწყო, როდესაც მაშინდელ ეკონომიკის ინსტიტუტში სამართლის განყოფილება დაარსდა.

თავდაპირველად სამართლის განყოფილება სულ ხუთი სამსახურით ერთეულისაგან შედგებოდა, მაგრამ ინტენსიური კვლევითი მუშაობის გაშლამ და სამართლის კოდიფიკაციის დიდმნიშვნელოვან საქმეში უშუალო მონაწილეობამ მალე შეუქმნა კარგი ნიადაგი მის ზრდა-გაფართოებას: 1963 წლის სექტემბერში აკადემიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ცნო გადაკეთებინა ეკონომიკის ინსტიტუტი ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტად, ხოლო სამართლის განყოფილებას ბაზაზე შეექმნა სამართლის სექტორი (გამგე პროფ. თ. წერეთელი). სექტორი აერთიანებდა ორ განყოფილებას — სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილებას (გამგე დოც. გ. ჟვანია) და სისხლის და სამოქალაქო სამართლის განყოფილებას (გამგე პროფ. თ. წერეთელი). სამართლის სექტორში ახალგაზრდა მეცნიერი კადრების სისტემატურმა მომზადებამ და ამავე დროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელება ზრდაში საჭირო გახდა სექტორის შემდგომი გაფართოება: 1967 წლის იანვარში სამართლის სექტორში ჩამოყალიბდა მესამე განყოფილება, სახელდობრ, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი აკად. ი. დოლიძე).

ამჟამად სამართლის სექტორის სამ განყოფილებაში 21 თანამშრომელია (მათ შორის — იურიდიულ მეცნიერებათა ორი დოქტორი და 14 კანდიდატი), რომლებიც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას ეწევიან სამართლის მრავალ დარგში; ეს დარგებია: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საბჭოთა სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი, საერთაშორისო სამართალი, სამოქალაქო

სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკითხებს შორის მთავარი ყურადღება ექცევა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციათა შესწავლას, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების კანონზომიერებათა ანალიზს, კომუნისტური პარტიის სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობის საკითხებს და სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას. ძირითადად სწორედ ეს საკითხებია გაშუქებული უფროს მეცნიერ თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხ. როგავას წიგნი „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის პერიოდში“ (რუს. 1966).

აღსანიშნავია აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის ზოგადი საკითხის დამუშავება უფროს მეცნიერ თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. მენაბდის სტატიაში.

საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კონცენტრირებული იყო უმთავრესად საქართველოს სსრ ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხებზე, რასაც შედეგად მოჰყვა ა. მენაბდისა და ხ. როგავას მიერ რამდენიმე სტატიის გამოქვეყნება. ამავე თანამშრომლების სხვა სტატიები მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორცაა საბჭოთა ფედერაციის განვითარება, საბჭოთა სახელმწიფოს როლი კომუნისტური მარქსისტულ-ლენინისტური მარქსიზმში და სხვა. კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი გაშუქებულია უმცროს მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერების კანდიდატის ა. აბესაძის სტატიაში.

საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური პრობლემების კვლევა-ძიების მიმართულებით. ამ მხრივ აღსანიშნავია უფროს მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. მენაბდის წიგნი „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები“ (რუს. 1965), რომელიც დადებითად იქნა შეფასებული სპეციალისტების მხრივ, მისივე მეორე წიგნი „საერთო-სახალხო კონტროლი“ (1965 წ.) და სტატია მინისტრთა საბჭოს აქტების



შესახებ, აგრეთვე ა. აბესაძის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი „სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებები სახელმწიფო მმართველობის სფეროში და მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვა“, რომლის ძირითადი ნაწილი ავტორმა სტატიების სახით გამოაქვეყნა.

საბჭოთა საქართველოში სამართლის მეცნიერების დარგთა შორის, შეიძლება ითქვას, უმრავლესობა საერთაშორისო სამართლის მეცნიერება. ამ დარგში პირველი ორიგინალური გამოკვლევა 1959 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე; ესაა დოც. გ. ჟვანიას წიგნი „ერთნაირი უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები“, რომელიც ამავე დროს ერთადერთი მონოგრაფიაა ამ პრობლემაზე საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ლიტერატურაში. ავტორი პრობლემას იკვლევს ისტორიული მასალის ანალიზით, საფუძვლიანად აკრიტიკებს ერთნაირი ჩარჩოებში არსებობდა, აგრეთვე ამ სისტემის თეორიული დასაბუთების ცდებს ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში, და აყალიბებს საყურადღებო დასკვნებს აღნიშნული პრობლემის დემოკრატიული გადაწყვეტის საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებების შესახებ. გ. ჟვანიას გამოკვლევას მაღალი შეფასება მიეცა ქართულსა და საკავშირო პერიოდიკაში. გ. ჟვანიას მეორე მონოგრაფიაში „სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი“ (1963) გაშუქებულია ნეიტრალიტეტის სამართლის ისტორიული განვითარება, კრიტიკულადაა განხილული ჰააგის მოქმედი კონვენციები და წამოყენებულია ორიგინალური დებულებანი ნეიტრალიტეტის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მედროვე ნეიტრალიტეტის წყაროები, მისი იურიდიული შედეგები, ნეიტრალიზმის პოლიტიკის იურიდიული არსი და სხვა). ეს ნაშრომიც დადებითად იქნა შეფასებული რეცენზენტების მიერ. საერთაშორისო სამართლის სხვა საკითხებიდან, რომლებიც სამართლის სექტორში კვლევის საგანს წარმოადგენდა, აღსანიშნავია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სოციალური ფუნქცია, მისი როგორც შედნაშენური კატეგორიის არსი, კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეჟიმი, კოლონიალიზმის საერთაშორისო მართლწინააღმდეგობა, საერთაშორისო სამართალში ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის დამკვიდრება და სხვა. ამ კვლევის შედეგები მოცემულია გ. ჟვანიას სტატიებში.

ეკონომიკის ინსტიტუტში სამართლის განყოფილების ჩამოყალიბებისთანავე დიდი ყურადღება ექცეოდა სისხლის სამართლის საკითხებს. მონოგრაფიულად დამუშავებულია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის უმნიშვნელოვანესი საკითხები, განსაკუთრებით საკითხები, რომლებიც შეეხებიან მოძღვრებას დანაშაულის შესახებ.

პირველ რიგში მოსახსენებელია მონოგრაფია „მიწვეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ (პროფ. თ. წერეთელი), რომელიც პირველად 1957 წ. თბი-

ლისში გამოიცა, ხოლო მეორედ, გადაიშუქებული და შეესებოდა სახით გამოიცა მოსკოვში (1963). ნაშრომში გარკვეულია მიწვეზობრივი კავშირის ცნების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაჩვენებია, თუ რა ადგილი უჭირავს მიწვეზობრივი კავშირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა წინამძღვრებს შორის და როგორ შეგავლენას ახდენს მიწვეზობრივი კავშირის ცნება სხვა სისხლისსამართლებრივი ცნებათა აგებაზე.

ნაშრომში გაკრიტიკებულია ის თეორიები, რომლებიც ცდილობენ შეავიწროონ მიწვეზობრივი კავშირის ცნება სისხლის სამართლის სპეციფიკურ მონოგენილებათა შესაბამისად. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ე. წ. „აუცილებელი მიწვეზობრიობის“ თეორია არ შეესაბამება მიწვეზობრივი კავშირის არსს დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით და ამავე დროს გამოსადეგი არ არის პასუხისმგებლობის პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ადამიანის მოქმედება მიწვეზობრივი კავშირშია შედეგთან ყოველთვის, როდესაც იგი ამ შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა (conditio sine qua non). მაგრამ ამავე დროს ობიექტურ საზოგადოებრივი სამიზრობის ადამიანის მოქმედება, როგორც დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა, მხოლოდ მაშინ წარმოადგენს, როდესაც მისი ჩადენის მომენტში ადამიანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა შემოქმედება მოეხდინა გარემოებათა ფაქტურ კონკრეტულ მსგეულობაზე.

ნაშრომში გატარებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც მიწვეზობრივი კავშირში დანაშაულებრივი შედეგთან შეიძლება იყოს არა მარტო დადებითი მოქმედება, არამედ უმოქმედობაც. ეს ხდება მაშინ, როდესაც: ა) განსაზღვრული ქმედობის ჩადენა კანონზომიერად მოსალოდნელი იყო იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა პირს საზოგადოებრივი ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროში; ბ) ასეთი მოქმედების ჩადენა სუბიექტისათვის შესაძლებელი იყო და გ) ამ მოქმედების მეშვეობით თავიდან იქნებოდა აცილებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი.

დასახელებულმა მონოგრაფიამ გამოჩნაურება პპოვა საბჭოურსა და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში.

დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიეძღვნა აგრეთვე მონოგრაფია „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ (პროფ. თ. წერეთელი, 1966). მასში გარკვეულია ადამიანის ნებელობითი აქტის არსი, თანაც ნაჩვენებია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებული იქნეს მხოლოდ სპეციალურად აღადამიანურ, ე. ი. შეგნებულ, მიზანდასახულ მოქმედებასთან, დასაბუთებულია, რომ ნებელობითი ქცევა შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობითაც, რამდენადაც მასში გამოვლენებულია ადამიანის დამოკიდებულება გარემო სამყაროსადმი.



სისხლსა და სამოქალაქო სამართლის განყოფილებაში დამუშავებულია აგრეთვე სასოფადობრივი საშიშროებისა და დანაშაულის შემადგენლობის საკითხები. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ სასოფადობრივი საშიშროება წარმოადგენს ნიშანს, რომელიც სპეციფიკურია არა მარტო დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე სამართალდარღვევის სხვა სახეებისთვისაც (პროფ. თ. წერეთელი, უფროსი მეცნიერთანამშრომელი თ. შავგულიძე). ნაჩვენებია, რომ სასოფადობრივი საშიშროება დანაშაულის შემადგენლობის შექმნის საფუძველია. ამიტომ იგი ახასიათებს შემადგენლობას მთლიანად და არ შეიძლება გათანაბრებული იქნეს შემადგენლობის სხვა ელემენტებთან. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი და ქმედობის სასოფადობრივი საშიშროება დანაშაულის ცნების შემადგენელი ნიშნებია (პროფ. თ. წერეთელი).

შუარაცხაობის პრობლემიდან დამუშავებულია ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელსაც მიეძღვნა რამდენიმე წერილი (იურიდ. მეცნ. კანდიდატი ა. გაიანი). ამავე თემაზე დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში ავტორი აღნიშნული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის იშველიებს ფორმულას — *actio iib-  
ra in rauxa*, ე. ი. გადააქვს ნებელობითი ქცევა და ბრალიც იმ მომენტში, როდესაც პირი შეგნებულად დათვრა, თუმცა იცოდა ან შეეძლო სცოდნოდა, რომ სიმთვრალეში შეიძლება ჩაიდინოს განსაზღვრული სასოფადობრივად საშიში ქმედობა.

რამდენიმე შრომა მიეძღვნა ბრალის საკითხს (პროფ. თ. წერეთელი). ნაშრომში „ბრალის ცნების საკითხისათვის“ დასაბუთებულია, რომ სასოფადობრივი საშიშროების შეგნება განზრახვის აუცილებელ მომენტს წარმოადგენს და რომ ეს მომენტი არ შეიძლება შეცვლილი იქნეს ასეთი შეგნების შესაძლებლობით. მეორე ნაშრომში, რომელიც ბრალს მიეძღვნა და 1967 წელს უნგრულ იურიდიულ ჟურნალში გამოქვეყნდა (თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი), ნაჩვენებია, თუ როგორი თანდათანობით განვიითარდა და ჩამოყალიბდა საბჭოთა სისხლის სამართალში პრინციპი — არ არის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე. განსაკუთრებით დაწვრილებით არის აქ განხილული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის შინაარსი და მნიშვნელობა.

განყოფილებაში დამუშავებულია პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა პრობლემაც. სსრ-ელდობრ, მთელი რიგი სტატეები და სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა აუცილებელ მოგერიებას, როგორც დანაშაულთან მოსახლეობის ბრძოლის ერთ-ერთ ქმედობის საშუალებას (უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, იურიდ. მეცნ. კანდიდატი. თ. შავგულიძე, 1966).

ნაშრომის ავტორი იმ აზრს ავითარებს, რომ

აუცილებელი მოგერიება არის უფლება და იგი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მოვალეობა, ვინაიდან გულისხმობს თავდასხმის მოგერიებას თავდასხმელისათვის ზიანის მიყენების გზით. თანამდებობის პირთა მოვალეობა სათანადო შემთხვევაში მიმართონ ძალადობას დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, გამომდინარეობს არა აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტიდან, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობით დაკისრებული ფუნქციიდან.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება უნივერსალური უფლებაა, რომელიც ეკუთვნის ყოველ ადამიანს (თუნდაც შუარაცხს) ყოველი ობიექტურად საშიში ხელყოფის მიმართ.


თავისებურად არის განხილული აუცილებელი მოგერიების გადაწყვეტის საკითხიც. დასაბუთებულია იმ შეხედულების უსაფუძვლობა, რომლითაც აუცილებელი მოგერიება გადაწყვეტად უნდა ჩაითვალოს, თუ კი გადარჩენილი სიკეთე ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე ის, რომელიც საფრთხეში იყო. არადროული მოგერიება ავტორს არ მიაჩნია აუცილებელი მოგერიების ფაქტორის გადაწყვეტად, არამედ მოჩვენებითი მოგერიების ერთ-ერთ სახედ.

პასუხისმგებლობის გამომრიცხველ სხვა გარემოებათაგან დამუშავებულია დანაშაულის შეპყრობის პრობლემა. ამ საკითხისათვის მიძღვნილ წერილებში (თ. შავგულიძე) დასაბუთებულია, რომ დანაშაულის შეპყრობა თავისი იურიდიული ბუნებით არ შეიძლება გაიგივებულ იქნას აუცილებელ მოგერიებასთან, არამედ შესატანია სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოება.

მთელი რიგი ნაშრომები მიეძღვნა დანაშაულის განვითარების სტადიებს. ამ ნაშრომთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია მონოგრაფია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ (პროფ. თ. წერეთელი, 1961). მასში გატარებულია შეხედულება, რომ, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს ქმედობის სასოფადობრივი საშიშროება წარმოადგენს, ამდენად მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც, როგორც წესი, სასოფადობრივი საშიშროებას მოკლებულია, უნდა ისჯებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის ავტორი იყენებს რეალური შესაძლებლობის კატეგორიას.

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა თანამონაწილეობის და დანაშაულის დაფარვის პრობლემებს. ამ ნაშრომთა შორის უფრო მნიშვნელოვანია „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (პროფ. თ. წერეთელი, 1965). მასში ნაჩვენებია, რომ მიზეზობრივი კავშირის ცნებას ორგანიზაციის მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეობისათვის. ჟენერით, თანამონაწილეობა არ არსებობს, თუ მოქმედება არ წარმოადგენდა დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას და, მეორე, — თანამონაწილეობა გამიჯვანს საფუძვლად უდევს პირობათა კაუზალური უთანას-





წორობის იდეა. ნაშრომში დასაბუთებულია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან და უარყოფილია როგორც ძველი, ჰიპერაქცესორული თეორია, ისე თეორია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრული დამოუკიდებლობის შესახებ.

განყოფილებაში დამუშავებულია აგრეთვე სასჯელის საკითხებიც. ამ ნაშრომთა შორის მნიშვნელოვანია გამოკვლევა დანაშაულთა ერთობლიობის შესახებ (უფროსი მეცნიერთანაშრომელი, იურიდიული მეცნიერების კანდიდატი გ. ტყემულიაძე, 1965 წ.). აღნიშნული პრობლემა ნაშრომში განხილულია როგორც სასჯელის დანიშნვის, ისე დანაშაულთა ერთიანობისა თუ სიმრავლის თვალსაზრისით. ავტორის შეხედულებით დანაშაულის ერთიანობა განისაზღვრება თვით შემადგენლობით. მნიშვნელობა არ აქვს, ერთი მოქმედებით განხორციელდა იგი, თუ რამდენიმით. თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენის დროს დანაშაულის ერთიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, განახორციელეს თუ არა თანამონაწილეებმა ერთი ძირითადი შემადგენლობის ნიშნები.

რამდენადაც დანაშაულთა ერთობლიობა დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახეობაა, ამდენად საჭირო შეიქმნა დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეების განსაზღვრა. ნაშრომში განხილულია, კერძოდ, განმეორებისა და რეციდივის ცნებები და მათი დამოკიდებულება დანაშაულთა ერთობლიობის საკითხისადმი.

არც სისხლის სამართლის კერძო ნაწილის საკითხები დარჩა ყურადღების გარეშე. ამ დარგში მომზადებულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მონოგრაფია „პასუხისმგებლობა მექრამეობისათვის“ (გ. მაყაშვილი, გ. ტყემულიაძე, 1964). ავტორებს მექრამეობა მიაჩნიათ ერთიან ორმხრივ დანაშაულად, რომელშიც ორგანულად დაკავშირებულია ქრთამის მიცემისა და ქრთამის ამღების ქმედობანი (აუცილებელი თანამონაწილეობა). ამ ასპექტში გაშუქებულია რიგი საკითხები, (დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარე, სუბიექტი და სხვა) და გაკეთებულია შესაბამისი პრაქტიკული დასკვნები.

გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე სამოქალაქო სამართლის საზიოთაც. ამ დარგში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე მუშაკის დაშავების ან სიკვდილის შემთხვევაში (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ცაგურია, 1965). მასში დასაბუთებულია, რომ აღამიანის ჯანმრთელობის ბრალიანი დაზიანება, იმისდა მიუხედავად, არსებობდა თუ არა ზიანის მიყენებამდე რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ზიანის ამნაზღაურებელსა და დაზარალებულს შორის, წარმოშობს მხოლოდ დელიქტურ ვალდებულებას.

გაუფრთხილებლობით ვნების მიყენებასთან დაკავშირებით ავტორი თავისებურად წყვეტს საკითხს ობიექტური და სუბიექტური მამტაბის ერთობლივი გამოყენების შესახებ. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ

სამოქალაქო სამართალში გაუფრთხილებლობითი ბრალის დასადგენად, როგორც წესი, საჭიროა ორივე მასშტაბის გამოყენება — ობიექტურისა და სუბიექტურისაც, ხოლო, როცა საკითხი იურიდიული პირის პასუხისმგებლობას შეეხება, სუბიექტური მასშტაბით სარგებლობა ძნელდება და ხშირად შეუძლებელიც ხდება.

სამოქალაქო სამართლის პროცესში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი მონოგრაფია ექსპერტიზის საკითხების შესახებ (უფროსი მეცნიერთანაშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ლილუაშვილი, 1967).

ავტორის აზრით ექსპერტიზა არის ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოსაყენებლად. გარკვეულ პირობებში სასამართლოს შეუძლია ამ მიზნით ჩააბას პროცესში სახელმწიფო მმართველობის ორგანო ან მიიწვიოს სპეციალისტი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმ ფაქტების განსაზღვრას, რომელთა დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს სამოქალაქო დავათა განხილვის დროს.

ასლებურადაა დაყენებული და გადაწყვეტილი საკითხი სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა დასკვნის მნიშვნელობის შესახებ. დასაბუთებულია დებულება, რომ ისინი წარმოსადგენენ მტკიცებულებათა დამოუკიდებელ სახეს. ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო წინადადება აღნიშნული დასკვნების გამოყენების წესების შესახებ. ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ექსპერტისა და სპეციალისტის ფუნქცია. მისი აზრით, სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო სპეციალისტის მიწვევის შესაძლებლობა, არამედ ასეთი მიწვევის წესიც.

მეორე ნაშრომი სამოქალაქო პროცესის დარგში მიეძღვნა მტკიცების სავანსა და ტვირის სამოქალაქო პროცესში (თ. ლილუაშვილი, 1957).

მასში დახასიათებულია მტკიცების სავანის ზუსტად განსაზღვრის მნიშვნელობა და წესი, დაწვრილებითაა შესწავლილი იმ ფაქტების შინაარსი და ხასიათი, რომლებიც მტკიცების სავანს მიეკუთვნება.

ავტორი მიჯნავს ერთმანეთისაგან მტკიცებასა და მტკიცების ტვირთს: მტკიცება არის საქმიანობა, მიმართული ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისაკენ, მტკიცების ტვირთი კი მოვალეობაა, რომლის შეუსრულებლობას შეუძლია ერთგვარი არასასურველი შედეგი გამოიწვიოს. ამით ორიგინალურად გადაწყვეტილია ლიტერატურაში არსებული დავა იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს მტკიცების სუბიექტი. მტკიცების სუბიექტი არის საქმეში მონაწილე ყველა პირი, ვინც ხელს უწყობს ფაქტების დადგენას. მტკიცების ტვირთის სუბიექტები კი მხოლოდ და მხოლოდ ის პირებია, ვისთვისაც ფაქტის დაუმტკიცებლობას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგი.



განყოფილებაში დამუშავებულ სისხლის სამართლის პროცესის პრობლემებს შორის აღსანიშნავია უფროსი მეცნიერთანამშრომლის, მეცნიერებათა კანდიდატი ა. შუშანაშვილის საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სასამართლო განხილვის საქვეყნობა“, რომელშიც ახსნილია საქვეყნობის პრინციპის კლასობრივი არსი, დასახიათებელია მისი პოლიტიკური და პროცესუალური მნიშვნელობა, დასახულია კონკრეტული გზები ამ დემოკრატიული პრინციპის სრული და ყოველმხრივი განხორციელებისათვის.

მუშაობა ქართულ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში წარმოება და წარმოებს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, სათანადო ძველების შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად, ხოლო, მეორეს მხრივ, ცალკეული პრობლემებისა თუ საკითხების გამოსაკვლევადა.

ჩვენი სახელმძღვანელობის ძველების სისტემური შესწავლა — გამოქვეყნება თანამედროვე მეცნიერების დონეზე უკანასკნელი თხუთმეტი წლის საქმეა და, ორიოდ ნაშრომის გარდა, აკადემიის წილში ხორციელდება. ამ საქმიანობით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლო ათწლეულს ეკუთვნის, მყარი საფუძველი ექნება წარსული იურიდიული ცხოვრების გემანომიერ დოგმატიკურ — შედარებითსა და ისტორიულ განზოგადოებით კვლევა-ძიებას.

ამ დარგში პირველად აღსანიშნავია ძველი სამართლებრივი ძველების გამოცემები გამოკვლევებითურთ (აკად. ი. დოლიძე), „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“ (1957) და „ბექასა და აღბუღის სამართლის წიგნი“-ს ქართულ-რუსული ტექსტი (1960; რუსული თარგმანი შესრულებულია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. დონდუას მიხედვით).

დაიწყო „ქართული სამართლის ძველების“ გამოცემა რამდენიმე ტომად (აკად. ი. დოლიძე); გამოქვლია უკვე: ტომი I (1963), რომელშიც შეიცავს ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულს და ტომი II (1965), რომელშიც შესულია X-XIX საუკუნეთა საერო საკანონმდებლო ძველები.

ცალკე უნდა ითქვას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პოზიტიური სამართლის წყაროებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა ხანებში გაჩაღებული სარეფორმო მოღვაწეობის შედეგად შექმნილი კანონპროექტების შესწავლასა და გამოქვეყნებაზე. ამ მიზანს ემსახურება გამოცემები: „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ (აკ. ი. დოლიძე 1960); 1815 წლისათვის რუსეთის მთავრობის მიერ შეკრებილი „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“-ს აუტენტური ქართულ-რუსული ტექსტი; „ქართველ მთელთა სამართლის ისტორიისათვის“ (უფროსი მეცნიერთანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ფუტყარაძე, 1964), რომელშიც საფუძვლიანად გამოკვლეულია და გამოქვეყნებულიც ერეკლე II შვილების ლევანისა და

ვახტანგის „განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა“ ყოფილ არაგვის საერისთავოსათვის; „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ (უფროსი მეცნიერთანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი დ. ფურცელაძე, 1964) და „სამოქალაქო სჯულილება“, მისივე რომლის პირველი ნაკვეთი (1960) შეიცავს გამოკვლევას, სოლო II (1966) თვითონ ამ ძველის ტექსტს. უკანასკნელი ორი წიგნი პირველი შრომებია, რომლებიც დასახელებული კანონპროექტების შესწავლა-გამოქვეყნებას მიეძღვნა; პირველი ამ კანონპროექტთაგანი წარმოადგენს მთელი ქართული სამართლის კოდინფიკაციის ცდას განათლებული მონარქიის იდეების გავლენით, მეორე — კრებულს არსებითად იმავე მიმართულების ცალკეული აქტებისა, რომლებიც უმთავრესად ქალაქის მოსახლეობის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ცალკე პრობლემებისა თუ საკითხების ისტორიული კვლევა-ძიების სახით ყურადღებას იმსახურებს მონაწილეობა ორ დიდ საკავშირო გამოცემაში (ი. ფუტყარაძე). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიი“-ს II და III ტომებში იბეჭდება 3 პარაგრაფი საქართველოს სსრ სახელმწიფო-სამართლებრივი განვითარების შესახებ (1921-1941 წ. წ.), სოლო „იურიდიჩესკაია ლიტერატურა“-ს გამოცემაში „მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული სახელმწიფოებრიობა“ — ორი თავი: I. „საქართველოს სსრ ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება“ და II. „საქართველოს სსრ სახელმწიფოებრიობა თანამედროვე ეტაპზე“.

ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია შესწავლილი ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან; ზოგი მათგანის შესახებ დაბეჭდილია მონოგრაფიული გამოკვლევებიც.

მათ შორის აღსანიშნავია სახელმწიფო სამართლის განვითარება, გვიანი შუა საუკუნეების საზოგადოებრივი წყობილება და სხვ. საფუძვლიანად გამოკვლეულია საოჯახო სამართალი (უფროსი მეცნიერთანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ნადარეიშვილი, 1965), კერძოდ, ცოლქმრისა და მამა-შვილთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი და მათი თავისებურება, ნაჩვენებია ქართული სამართლის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებულობა შუა საუკუნეებში; საყურადღებოა მეგვიდრეობის სამართლის შესწავლა, რამაც მისი ისტორიული განვითარების სურათთან ერთად გამოარკვია ზოგი თავისებურება, კერძოდ, მეგვიდრეთა წრისა და საგალო პასუხისმგებლობის საკითხებში და სახელდობო, ისიც, რომ ჩვენში მაიორატული მეგვიდრეობა არ ჩამოყალიბებულა (გ. ნადარეიშვილი, 1965).

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ქართული სასამართლო პროცესის გამოკვლევას (გ. ნადარეიშვილი,



საქართველო  
საქართველო

1962, სექტორის ყოფილი უფროსი მეცნიერთანა-  
მშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი  
ლევკეიშვილი, 1963).

საყურადღებო შედეგებია მიპოვებული აგრეთვე  
ქართული სასჯელთა სისტემის კვლევა-ძიებაში  
(გ. ნადარეიშვილი). იგი შეეხო „სისხლისა“ (რო-  
გორც დანაშაულის კერძოსამართლებრივი სა-  
ზღაურის) და სასჯელის ცნებათა ურთიერთდამოკი-  
დებულებას, ამ სანქციების შეერთებას ბევრ შემთ-  
ხვევაში და სხვა; ირკვევა, რომ გვიან შუა საუკუნე-  
ებში საჯაროსამართლებრივ სასჯელებს მეტი ადგი-  
ლი ჰქონდა, ვიდრე აქამდე იყო მიჩნეული.

მუშავდებოდა აგრეთვე, როგორც გზადაგზა, ისე  
საგანგებოდაც, ქართული სამართლის ისტორიულად  
პროგრესულობა — ჩამორჩენილობის საკითხი.  
ნათელყოფილია მისი განვითარების მაღალი დონე,  
კერძოდ, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში  
(გ. ნადარეიშვილი, 1959).

სამართლის სექტორმა თავიდანვე დაისახა ერთ-  
ერთ მთავარ მიზნად დაემუშავენა ქართული იური-  
დიული ტერმინოლოგია, რომელსაც უადრესად დიდი  
მნიშვნელობა აქვს როგორც სამართლის მეცნიერების  
განვითარებისათვის მშობლიურ ენაზე, ასევე სახელ-  
მწიფო ორგანოებისა და განსაკუთრებით მართლმსა-  
ჯულების ორგანოების საქმიანობისათვის საქართვე-  
ლოში. ამ მიმართულებით რამდენიმე წლის დაძაბუ-  
ლი მუშაობის შედეგად 1963 წელს გამოქვეყნდა  
„იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული  
ნაწილი)“ შედგენილი გ. ჟვანიას, დ. ფურცელაძის,  
პ. ქავთარაძისა და თ. წერეთლის მიერ. მუშაობა  
ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დახვეწა-  
შეესებისათვის და ქართულ-რუსული ნაწილის შესა-  
დგენად სამართლის სექტორში კვლავ გრძელდება.

სამართლის სექტორის თანამშრომლები აქტიურად  
მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკულ

საქმიანობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისეთი  
მნიშვნელოვანი აქტები, როგორცაა საქართველოს  
სსრ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის,  
სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები შე-  
მუშავებული იქნა სექტორის თანამშრომელთა უმ-  
უალო მონაწილეობით. სექტორის ზოგიერთი თანა-  
მშრომელი კონსულტანტად მუშაობს საქართველო-  
სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს  
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ  
კომისიაში და სხვა ორგანოებში. გარდა ამისა, სა-  
მართლის სექტორი იხილავს სხვადასხვა კანონებისა  
და ქვეკანონური აქტების პროექტებს, რომლებსაც  
შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უგზავნიან სექ-  
ტორს შენიშვნებისა და დასკვნების მისაღებად.

სექტორში დიდი ყურადღება ექცევა ახალ-  
გაზრდა მეცნიერი კადრების მომზადებასა და სა-  
ერთოდ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.  
ეს მიზანი ხორციელდება როგორც ასპირანტურის  
საშუალებით, ასევე სექტორის თანამშრომელთა მიერ  
საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებითა და შემდეგ  
დისერტაციების მომზადებით. ამ საქმეში სამართლის  
სექტორს დიდ დახმარებას უწევენ მოსკოვის სამე-  
ცნიერო-იურიდიული დაწესებულებანი და ცნობილი  
სპეციალისტები.

განვლილი წლების განმავლობაში საკანდიდატო  
დისერტაცია წარმატებით დაიცვა სამართლის სექტო-  
რის 9 თანამშრომელმა და ასპირანტმა; საკანდიდა-  
ტო დისერტაციები ძირითადად მომზადებული აქვს  
სამ პირს, რომლებმაც ასპირანტურა დაამთავრე-  
ს. ოთხი ახალგაზრდა ასპირანტურაშია და წარმატებით  
მეცადინეობს. გარდა ამისა საკანდიდატო დისერტა-  
ციებზე მუშაობს სექტორის ოთხი უმცროსი მეცნიერი  
თანამშრომელი, ხოლო სამ თანამშრომელს უკვე  
წარდგენილი აქვს სადოქტორო დისერტაციები.





ფაილი 50 443.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР